"თუ გვინდა, რომ შევარდნაძის წისქვილზე დავასხათ წყალი, მაშინ უნდა ვხოცოთ ერთმანეთი..." A2

კვირის TV-პროგრამა B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 15 ნოემბერი, 2002 წელი. №166

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### „საკრებულომ უნდა იხსნას ქალაქი განადგურებისგან"

"15 ნოემბერს საკრებულო მიიღებს სპეციალურ გადაწყვეტილებას. იმ ადგილებში, სადაც იყო სკვერები, ტყე-პარკები, სათამაშო მოედნები ან მწვანე საფარი, ყოველგვარი მშენებლობა შეწყდება. ის, რაც უკვე აშენებულია, ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ სასამართლოს ძალით დაინგრეს", - განაცხადა გუშინ საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა.

A3

## ეკონომიკა

### პარლამენტი „თბილავიამშენის" აქციების ნიუ-იორკის ბირჟაზე გაყიდვას მოითხოვს

თვითმფრინავმშენებელი საწარმო საკუთრების ახალ ფორმაზე გადასასვლელად ემზადება. შემდგომი განვითარებისთვის "თბილავიამშენმა" საზღვარგარეთელი პარტნიორი უნდა ეძიოს.

A4

## უცხოეთი

### ჩინეთის 76 წლის პრეზიდენტმა ხელისუფლება ახალი თაობის ლიდერებს დაუთმო

გუშინ ჩინეთის მმართველი კომუნისტური პარტიის ლიდერმა და ქვეყნის ხელძღვანელმა ძიან ძემინმა თანამდებობა დატოვა. ის პარტიის მე-16 ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში აღარ შეიყვანეს. თუმცა, ამის სურვილი თავად ძიან ძემინსაც არ ჰქონდა.

A5

## სამართალი

### რამდენიმე დღეში საპროკურორო ციებ-ცხელება დაიწყება

ქვეყანაში დაწყებული სამართლებრივი რეფორმის მეორე ეტაპი, სასამართლო რეფორმის შემდეგ, პროკურატურის სისტემის რეფორმა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ერთის მხრივ, თავად პროკურატურის წარმომადგენელთა წინააღმდეგობამ და მეორეს მხრივ, ქვეყანაში რეფორმისათვის საჭირო სახსრების არარსებობამ, სასამართლო ხელისუფლების მეორე შტოს რეფორმა რამდენიმე წლით გადაწია.

A7

## თვალსაზრისი

### პრინცი

ქვეყანას სჭირდება გმირები. შევარდნაძის ერა დასასრულს მიუახლოვდა. მისი მმართველობა, დამოუკიდებლობის პერიოდში მაინც, იყო შესატყვისობაში ქართველი ხალხის უმრავლესობის პოლიტიკურ ნებასთან. პრინცის ზეობა გარანტირებული იყო ბაზრის პრინციპით: მოთხოვნილება ბადებს პროდუქტს.

A8

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 13 |
| ქუთაისი | 18 |
| ბათუმი | 18 |
| სოხუმი | 16 |
| ფოთი | 18 |
| თელავი | 12 |
| ზუგდიდი | 18 |
| გორი | 10 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1900 |
| ევრო | 2.2025 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4690 |
| რუბლი | 0.0688 |

# რისთვის გვჭირდება ჯარი?

## დამოუკიდებლობის მეთერთმეტე წელს საქართველოში ჯერ კიდევ ეძებენ პასუხს ამ კითხვაზე



იური მეჩითოვის ფოტო

რამდენიც გინდა ითვალე, ჯარისთვის ფული არ არის.

ზაზა წულაძე

*ზუსტად ერთ კვირაში პრეზიდენტი შევარდნაძე, პრაღაში, ნატო-ს ქვეყნების სამიტზე ოფიციალურად სთხოვს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს, თავის რიგებში მიიღოს საქართველო - ქვეყანა, სადაც დამოუკიდებლობის მეთერთმეტე წელს, ჯერ კიდევ ეძებენ პასუხს კითხვაზე - რისთვის გვჭირდება ჯარი? გუშინ ამ კითხვით თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი სამხედრო საბჭოს სხდომაზე, სადაც სამინისტროს დაუფინანსებლობის პრობლემებზე მსჯელობდნენ, თავდაცვის მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ერთმანეთს რამდენჯერმე მიმართეს.*

**"ჯერ მითხარით, რისთვის გჭირდებათ ჯარი და შემდეგ დამაფინანსეთ, რომ დაკისრებული ამოცანები შევასრულო. თუ გინდათ, ჯარს მხოლოდ სარიტუალო, საპატიო სტუმრების დახვედრა-გაცილებისა და აღლუმების გამართვის ფუნქცია ჰქონდეს, მაშინ თანახმა ვართ, სახელმწიფომ ჯარზე კიდევ უფრო დიდი ეკონომია გასწიოს, ახალი ჩოხა-ახალუხის ყიდვა და კარგი სამხედრო ორკესტრის შექმნა გაცილებით ნაკლები სახსრებითაც შეიძლება, ხოლო თუ გსურთ, რომ ჯარმა ქვეყანას აარიდოს რეალური საფთხე, რომელიც გარედან გვემუქრება, ასეთი დაფინანსებით ეს ამოცანა ვერ შესრულდება,"** – თქვა დავით თევზაძემ.

ჯარის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე ყველაზე უკეთ ციფრები მეტყველებს. თავდაცვის სამინისტრო 1997 წელს 79 მილიონით დაფინანსდა, 1998-ში – 67 მილიონით, 1999-ში – 54 მილიონით, 2000-ში - 43 მილიონით (აქედან 23 მილიონი სეკვესტრში მოყვა), 2001-ში - 33 მილიონით და წელს - 36 მილიონიანი ბიუჯეტით, რომელიც 10 თვის მაჩვენებლებით, უკვე 11-მილიონნახევრით არის გარღვეული.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ქართველი და რუსი მესაზღვრეები თანამშრომლობის შენარჩუნებას ცდილობენ

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

*სასაზღვრო საკითხებში ერთობლივი თანამშრომლობის შესახებ 17 ოქტომბერს ერევანში ხელმოწერილი ოქმის შემდეგ, ქართველი და რუსი მესაზღვრეები ორმხრივი ურთიერთობების პერსპექტივებს ხუთშაბათს თბილისში არკვევდნენ. ამ მიზნით 14 ნოემბერს საქართველოში ჩამოვიდა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული სასაზღვრო სამსახურის შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი პუტოვი. თუმცა, მაშინ, როცა ქართველი და რუსი მესაზღვრეები თანამშრომლობის სულისკვეთების შენარჩუნებას ცდილობენ, პოლიტიკოსები, კავკასიის ქედის ორივე მხარეს, სულ უფრო საგანგაშო განცხადებებს აკეთებენ.*

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სასაზღვრო უწყებათა ხელმძღვანელების უკანასკნელმა შეხვედრამ ერევანში საბოლოოდ დაუსვა წერტილი რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთ-ინგუშეთის მონაკვეთის ერთობლივი პატრულირების შესახებ მითქმა-მოთქმას. ყოველ შემთხვევაში, 17 ოქტომბერს გენერალ ვალერი ჩხეიძისა და კონსტანტინ ტოცკის მიერ ხელმოწერილ ოქმში, მხარეებმა

გაგრძელება A3 გვერდზე

## ყადაღადადებული საბითუმო ბაზარი ენერგოკრიზისით იმუქრება

*დიდუბე-ჩუღურეთის საგადასახადო ინპექციამ ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის სატრანსფერო ანგარიშს ყადაღა დაადო. საბითუმო ბაზრის გენერალურმა დირექტორმა ალბერტო სოლისმა ამის შესახებ კანცელარიაში გამართულ სახელმწიფო მინისტრისა და ენერგეტიკოსების შეხვედრაზე განაცხადა. სოლისმა საქართველოს მთავრობა გააფრთხილა, რომ მოსალოდნელია, ყადაღის გამო ქვეყანაში წარმოიქმნას ენერგეტიკული კრიზისი, კერძოდ, ველარ განხორციელდეს ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტი, რისთვისაც ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა 38 მილიონი დოლარი გამოყო.*

სოფო კვინტრაძე

ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის ანგარიშს, სამი დღეა, ყადაღა ადევს, თუმცა, ამის გამო ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის პროცესი ქვეყანაში არ შეჩერებულა. საბითუმო ბაზარმა წერილები დაუგზავნა დენის მომწოდებლებსა და მყიდველებს, რათა მათ ანგარიშსწორება უშუალოდ ერთმანეთის ანგარიშებით აწარმოონ. რაც შეეხება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილ შეღავათიან კრედიტს, საბითუმო ბაზრის პრესსასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნინო პოტრჟეპსკაიას შეტყობინებით, ბაზარს უნდა მოეხდინა ამ კრედიტის პროცენტით მომსახურება. დაყადაღებული ანგარიშის პირობებში კი, ცხადია, ეს ვერ განხორციელდება.

გაგრძელება A4 გვერდზე

## გაშველება მავნებელია, დაე, მუდამ იყოს ჩხუბი!



პარლამენტის ავტორიტეტი ისევ ჩაიწიხლა.

გიორგი ასანიშვილი

რაც დრო გადის, პარლამენტში სულ უფრო მატულობს დეპუტატების "საბრძოლო სულისკვეთება". ისინი პლენარულ სხდომებამდე ვეღარ ითმენენ და შერკინებებს უკვე საკომიტეტო მოსმენების დროსაც მართავენ. ცალკე აღნიშვნის ღირსია ხალხის რჩეულთა ენერგიულობა და ფიზიკური მომზადება: მიუხედავად იმისა, რომ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომა გუშინ, თითქმის, ხუთ საათს გრძელდებოდა, ედვარდ სურმანიძისა და ბორის კაკუბავას ორთაბრძოლაში დამქანცველი პოლიტიკური მარათონის კვალი სულაც არ იგრძნობოდა. პირიქით: "დემოკრატებისა" და "აღორძინების" წარმომადგენლები ისეთი განსაცვიფრებელი შემართებითა და დახვეწილი ოსტატობით ხმარობდნენ ხელ-ფეხს, რომ ძალაუნებურად,

გაგრძელება A3 გვერდზე

## უმცროსი ალიევი პრეზიდენტობისთვის ემზადება

შოთა უტიაშვილი

"ნანატრი დამოუკიდებლობის პირველი დღეები, რომლისთვისაც ამდენი იბრძოლა ხალხმა, ძალზე რთული გამოდგა. ქვეყანაში არასტაბილური ვითარება იყო, გამეფდა სრული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, გამწვავდა ბრძოლა ძალაუფლებისათვის, ქვეყანაში დათარეშობდნენ უკანონო შეიარაღებული რაზმები. მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი და განხორციელდა უცხო ქვეყნის აგრესია ჩვენს წინააღმდეგ. ეს ფაქტორები დომინირებდა ჩვენი დამოუკიდებლობის პირველ წლებში. ამას ემატებოდა მთავრობის უკიდურესი არაკომპეტენტურობა. ქვეყანაში გაჩნდა სეპარატისტული განწყობები და ტენდენციები. ამ ყველაფერმა სახელმწიფო დაშლის პირას მიიყვანა.

1993 წელს ხელისუფლებაში პრეზიდენტ ალიევის მოსვლის შემდეგ დაიწყო სტაბილიზაციის პროცესი. ყველა შეიარაღებული ფორმირება განაიარაღეს. შეწყდა ომი სომხეთთან... პოლიტიკურმა სტაბილიზაციამ ეკონომიკური ზრდის პროცესს შეუწყო ხელი. ჩვენ უკვე უზარმაზარი მიღწევები გვაქვს ეკონომიკური განვითარების მხრივ და კიდევ უფრო დიდი პოტენციალი...

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 კვირის TV-პროგრამა B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** აჭარის ავტონომიის მეთაური, საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ასლან აბაშიძე მოსკოვიდან ბათუმში დაბრუნდა. ასლან აბაშიძემ მოსკოვში ერთკვირიანი ვიზიტისას მოლაპარაკებები გამართა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პრობლემაზე, აგრეთვე, ბათუმსა და მოსკოვს შორის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე.

ასლან აბაშიძე უახლოეს დღეებში თავად გააკეთებს განცხადებას ამ ვიზიტის თაობაზე. აბაშიძის მოსკოვში ახლდა მისი ვაჟი, ბათუმის მერი გიორგი. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში რადიაციული წყაროების მოძიების ოპერაციისა და მონიტორინგის ჩატარება ხეობაში სიტუაციის გამოსწორების შემდეგ გახდება შესაძლებელი, - აცხადებს რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების სამსახურის უფროსი სოსო კაკუშაძე. პანკისში აღნიშნული ოპერაციის ჩატარება ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ უსაფრთხოების გარანტიები უზრუნველყოფილი არ იყო. ქართველ სპეციალისტებს საქართველოს მასშტაბით ოპერაციის ჩატარებაში უცხოელი ექსპერტები ეხმარებიან, რომლებიც გაანხიათ უმაღლესი დონის ძვირადღირებული აპარატურა. უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობის სანაცვლოდ გაეროს-მ დაავენა თავისი მოთხოვნა - უცხოელების გარანტირებული უნდა ჰქონდეთ უსაფრთხოება. "ვინაიდან პანკისის ხეობა უსაფრთხო ზონას არ წარმოადგენს, იქ ოპერაციის ჩატარება არ შეიძლებოდა, თუმცა, მომავალში მონიტორინგი და ოპერაცია აუცილებლად ჩატარდება," - განაცხადა კაკუშაძემ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** სოხუმში გაიმართება ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიების №3 სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების შეხვედრა, რომელიც აფხაზეთა მიზეზით უკვე წელიწადნახევარია არ გამართულა. შეხვედრას ქართული მხრიდან დაესწრება განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე. სეპარატისტულ რეჟიმს წარმოადგენს პრემიერ ანრი ჯერგენია და ვიცე-პრემიერი ეკონომიკურ საკითხებში ლეონიდ ლაკერბაია. გაეროს მისიის შეხვედრაზე საქართველოში გაეროს-ს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელის ნაცვლად მისიის მთავარი სამხედრო დამკვირვებელი კაზი აშფაკ ახმედი და პოლიციური მრჩეველი ესწრება.

შეხვედრის განხილვაზე აფხაზეთის ამჟამად შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარებას. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**გალი.** რაიონის გამგებლის მოადგილედ დანიშნული "ტყის ძმების" ლიდერი დათო შენგელია ქართველ პარტიზანებთან ურთიერთობის განცხადებას არ აპირებს. "ჩემგან ჩინოვნიკი არ გამოვა და ნურავის ჰგონია იმედი, რომ კაბინეტში დავჯდები. რასაც ვაკეთებდი, მომავალშიც იმას გავაკეთებ", - განაცხადა დათო შენგელიამ, რომლის თქმით, ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ იგი "დუდის მკვლელებისთვის დანაშაულის შერჩენას" არ აპირებს და სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლას გააგრძელებს. შენგელიას თქმით, მისი დანიშვნის გარკვეულწილად სოხუმის ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელთან მისი კარგი ურთიერთობების გამოც მოხდა. თავის სამომავლო გეგმაზე საუბრისას, გალის რაიონის გამგებლის ახალი მოადგილე აცხადებს, რომ "ისე იმოქმედებს, როგორც ქართული საქმე მოითხოვს". **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**ქუბურხინჯი.** გალის აფხაზური ადმინისტრაციის უშიშროების უფროსი სერგეი ნარმანია პირობას იძლევა, რომ მომავალში გალის რაიონში დაცვნებული მოსახლეობის უკანონო მასობრივი დაპატიმრება არ მოხდება. ამის შესახებ ნარმანიამ მორიგ ოთხმხრივ შეხვედრაზე განაცხადა, რომელზეც ქართულმა მხარემ პრეტენზიები გამოთქვა გასულ კვირას გალის რაიონის სოფელ ოტობაიასა და ფიჩორიში განხორციელებული სადამსჯელო ოპერაციის ფარგლებში მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. ნარმანიამ უარყო აფხაზურ ადმინისტრაციას დაქვემდებარებულ მილიციელთა მიერ მინის გადასახადის გადაუხდელობის გამო მშვიდობიანი მოსახლეობის ავადმყოფი ფაქტი და განაცხადა, რომ დაკავებულთა უმეტესობას პირადობის დამადასტურებელი საბუთი არ ჰქონდა. ქუბურხინჯში დღევანდელ შეხვედრაზე მხარეებმა ასევე ენგურჰესის თალოვანი კაშხლის უსაფრთხოების დამატებითი მექანიზმების შემუშავებაზე იმსჯელეს. გასაბრძოლად ლონისძიებების კონკრეტული გეგმის შესამუშავებლად მხარეების წარმომადგენლებმა თალოვანი კაშხლის ტერიტორიაზე არსებული ვითარება ადგილზე შეისწავლეს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეი-ი-ეს თელასსა" და მომხმარებელს შორის ხელშეკრულებების გაფორმება ჯერაც არ დაწყებულა, რის მიზეზადაც კომპანიაში ტექნიკური საკითხების მოუგვარებლობას ასახელებენ. გასამრავლებელია ხელშეკრულების ფორმა, რასაც გარკვეული დრო სჭირდება. „ეი-ი-ეს თელასს" სულ 380 ათასი აბონენტი ჰყავს. შეგახსენებთ, რომ 7-გვერდიანი ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის ურთიერთვალდებულებებს, კერძოდ, რა შემთხვევაში აგებს „ეი-ი-ეს თელასი" პასუხს მომხმარებლის წინაშე და პირიქით, რა პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს კომპანიის მიმართ. ხელშეკრულების გაფორმება 1 ნოემბრიდან უნდა დაწყებულიყო. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**კრასნოდარი.** თურქ მესხებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ლტოლვილის სტატუსის მიღების სავსებით რეალური შანსი აქვთ. როგორც ნოვოროსიისკის ადამიანის უფლებების კომიტეტის პრესსამსახურიდან გვაცნობეს, პრობლემის განსახილველად კრასნოდარში ამ დღეებში იმყოფებოდა სამთავრობო დელეგაცია ამერიკის შეერთებული შტატებიდან. კრასნოდარის მხარეში ამჟამად 13 ათასი თურქი მესხი ცხოვრობს, რომლებიც საქართველოდან 1944 წელს იყვნენ დეპორტირებული. ევროპის საბჭოში შესვლისას საქართველომ აიღო ვალდებულება, 2010 წლამდე შეიმუშაოს კანონპროექტი და დაიწყოს თურქების ეტაპობრივი რეპატრიაცია. დელეგაციასთან შეხვედრას ესწრებოდნენ კრასნოდარის მხარის ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები და თურქი მესხების საერთაშორისო საზოგადოების საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამხარეო განყოფილების თავმჯდომარე სარვარ თედოროვი. აღინიშნა, რომ ადგილი აქვს თურქი მესხების დისკრიმინაციას ეროვნული ნიშნით კრასნოდარის მხარის ხელმძღვანელობის მხრიდან, ამასთან რუსეთში ადამიანთა უფლებების დაცვის გარანტი-პრეზიდენტი პუტინი ამას არანაირად არ უშლის ხელს. მხარეებმა აღნიშნეს, რომ არსებობს პრობლემის გადჭრის რამდენიმე საშუალება- ფედერალური და სამხედრო ხელისუფლების მიერ თურქი მესხების აღიარება რუსეთის მოქალაქეებად, რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში-საქართველოში ან ლტოლვილის სტატუსით აშშ-ში გადასახლება. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პირველი ორი გზა ამჟამად საკმაოდ პრობლემურია, ხოლო ლტოლვილის სტატუსის მიღება აშშ-ში შესაძლებელია. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორმა გენერალ-პოლკოვნიკმა კონსტანტინ ტოცკიმ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ეუთოს მისიის მოღვაწეობის ეფექტს "ნულოვანი" უწოდა. ტოცკის თქმით, ისინი მხოლოდ კვირაში ერთხელ ჰაერიდან ათვალიერებენ საზღვრის მონაკვეთს, სადაც მწვანე ტყეებში რაიმეს დანახვა შეუძლებელია და ის, თითქოს ამის შემდეგ დამკვირვებლები ეუთოს ხელმძღვანელობას მოხსენებას უკეთებენ, რომ ყველაფერი წესრიგშია, არის სრული ბოდვა. რუსეთის სასაზღვრო უწყების მეთაური მიიჩნევს, რომ ეუთო "ფულს ჰაერს ატანს", როდესაც აფინანსებს ამ მისიას რუსეთ-საქართველოს საზღვარზე. მას მიაჩნია, რომ ეს მისია უნდა შეწყდეს, რათა ევროპა და მსოფლიო შეცდომაში აღარ შეიყვანონ. **პრაიმ-ნიუსი.**

Visage
ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"
პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიის პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"
MATTIOLLI ENGINEERING
მიკროკრისტალურ დერმობრაზიას "Aesthipeel"
- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნანიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.
ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური899-56-18-52

# ლევან გაჩეჩილაძე: "თუ გვინდა, რომ შევარდნაძის წისქვილზე დავასხათ წყალი, მაშინ უნდა ვხოცოთ ერთმანეთი..."

*თბილისის საკრებულოს პირველი სხდომა ცნობილი სკანდალით და ოპოზიციური ერთობის რღვევით აღინიშნა. დღეს თბილისის საკრებულო გამართავს სხდომას, რომელზეც თბილისის მთავრობის წინააღმდეგ სერიოზული მოქმედების დაწყება იგეგმება. იმაზე, მოახერხებს თუ არა დედაქალაქში გამარჯვებული ოპოზიცია ერთობის მიღწევას, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული არა მხოლოდ თბილისის, არამედ, ზოგადად, ქართული პოლიტიკის მომავალი, ოპოზიციის ქმედითუნარიანობის ხარისხი.*
*გუშინ "24 საათი" ამ თემაზე ესაუბრა საკრებულოში "ახალი მემარჯვენეების" ფრაქციის ლიდერს, პირველი სხდომაზე ატეხილი აჟიოტაჟის ერთ-ერთ მონაწილეს ლევან გაჩეჩილაძეს.*


ლევან გაჩეჩილაძე
ზაურ ბულაშვილის ფოტო

თამარ ხორბალაძე

**- აპირებთ ისევ წამოწიოთ თემა, რომელმაც საკრებულოში დაპირისპირება წარმოქმნა? გეგმავთ კონფრონტაციის გაგრძელებას?**

- საკრებულოში ჩვენ პირველ რიგში დავაყენებთ საკითხს, რომ ძალადობა და ძალმომრეობა დამთავრდეს. ძალადობის დამთავრებაში ვგულისხმობ იმას, რომ თითოეული საკითხის დაყენება და ხმების დათვლა მოხდეს კანონის ფარგლებში. ადამიანი კი არ იყოს კანონი, არამედ კანონი იყოს კანონი. ვეცდებით იმ სამი დეპუტატის უფლებამოსილება (იგულისხმება "ლეიბორისტული" პარტიისგან განდგომილი საკრებულოს წევრები. თ.ხ.) სწრაფად გაირკვეს კანონის ფარგლებში და არა პოლიტიკური გარიგების გამო. თუ კანონიერი თამაშის წესები ჩამოყალიბდა, ჩვენ ნებისმიერი საკითხის განხილვაში მივიღებთ მონაწილეობას.

**- დაუჭერთ მხარს ზოდელავას იმპიჩმენტის მოთხოვნას?**

- რაც შეეხება ზოდელავას საკითხს. ორი მხარე მინდა გამოვყო: პირველი - როცა ნებისმიერ თანამდებობის პირს უცხადებ იმპიჩმენტს, მით უმეტეს - მერს, უნდა მოუსმინო მის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. როგორც მინიმუმ, უნდა მოუსმინო ინფორმაციას 2002 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. უნდა მოუსმინო, რა პრობლემებია ქალაქში და აქედან გამომდინარე მიიღო ის არგუმენტები, რაც მოგცემს საშუალებას, რომ იმპიჩმენტს მხარი დაუჭირო.

მეორე - ფრაქცია "ახალი მემარჯვენეები" განწყობილია ზოდელავას იმპიჩმენტის მხარდასაჭერად, მაგრამ თუ ეს არის მხოლოდ იმისთვის, რომ ატყდეს წივილ-კივილი, მოხდეს თავის წარმოჩინება, შემდეგ კი სხდომაზე "ნაციონალისტების" 14 კაციდან მოვიდეს შვიდი, "ლეიბორისტების" 12 კაციდან მოვიდეს ექვსი და, საბოლოო ჯამში, ორი მესამედიც კი არ შეიკრიბოს, მაშინ ეს ადვილად გაიშიფრება ჩვენ მიერ და ასეთ ბლეფში მონაწილეობას არ მივიღებთ.

ხოლო თუ განწყობა იქნება სერიოზული, იქნება მოყვანილი შესაბამისი არგუმენტები, ჩვენ ზოდელავას იმპიჩმენტს მხარს დავუჭერთ.

აქ კიდევ ერთხელ მინდა ვახსენო კანონიერი თამაშის წესები. თუ მერის რეალური იმპიჩმენტის საკითხი დადგა და ხმების ორი მესამედი მოგროვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი მთავრობა უნდა გადადგეს...

**- თქვენს პარტიას დედაქალაქის მთავრობაში საკუთარი ინტერესებიც აქვს?**

- მთელი მთავრობა დარჩეს იმიტომ, რომ ვიღაც ჟვანიას გუნდის წევრია, ვიღაც "ლეიბორისტია", ვიღაც პრემიერთან გარიგებაშია, ვიღაც - მერთან და ამას მარტო ღვინიაშვილი შეეწიროს, ეს ისევ ჩვეულებრივი პოლიტიკური თამაში და ძალმომრეობა იქნება. თუ მერის იმპიჩმენტის საკითხს ვაყენებთ, ავტომატურად იგულისხმება მთელი მთავრობის იმპიჩმენტიც. თავიდან უნდა მოხდეს მთელი მთავრობის დამტკიცება. თუ ჩვენ ვტოვებთ მთელ მთავრობას და მხოლოდ ერთ ვიცე-პრემიერს ვხსნით, ეს ნიშნავს, რომ სუბიექტური, კორუფციული ინტერესები გამოდის წინა პლანზე. მე სხვანაირ შეფასებას ამას ვერ მივცემ. დღეს არის საუბარი იმაზე, რომ მთელი მთავრობა დარჩეს და არ დამტკიცდეს ღვინიაშვილი. თუ შენ ზოდელავას იმპიჩმენტს უცხადებ, ამ დროს მთავრობას ტოვებ და ღვინიაშვილს ხსნი მარტო იმიტომ, რომ იგი "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერის ნათესავია (დავით გამყრელიძის სიძე გახლავთ, - რედ.), ეს ნიშნავს, რომ შენც ისეთივე კორუფციაში ხარ გარეული, როგორსაც ებრძვი.

**- საკრებულოს თანამდებობების გადანაწილებაში თუ მიიღებთ მონაწილეობას?**

- მივიღებთ, თუ შევთანხმდებით თამაშის კანონიერ წესებზე, თუ იქნება საქმის გაკეთების სურვილი. ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებლობა იმისა, რომ ჩვენ ერთი კომისიის აღებას დავთანხმდეთ. ეს ის კომისიაა, რომლის აღებაც ყველას იმიტომ უნდა, რომ ფული აკეთონ. ჩვენ ფულის კეთება არ გვჭირდება. ჩვენ გვჭირდება კონკრეტულად მერიის და საკრებულოს მუშაობის კონტროლი და მონიტორინგი. ეს სარევიზიო კომისიაა.

ალბათ, ყველა დარწმუნებულია, რომ ამ კომისიაში, მე ფულის კეთებას არ დავიწყებ და ვამხელ, თუ სად და როგორ კეთდება მერიაში ფული, რაც გამარჯვებული პარტიებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს. ამასთან, ეს კომისია თავისი შინაარსით არის ოპოზიციური, რადგან იგი საკრებულოს და სხვა კომისიების მუშაობასაც აკონტროლებს.

**- ამ კომისიის "მიღება" არის იმის პირობა, რომ თქვენს, "ნაციონალისტებსა" და "ლეიბორისტებს" შორის თანამშრომლობა შედგეს?**

- არა. ასეთი თანამშრომლობის პირველი ნიშანი იქნება ძალმომრეობის აღმოფხვრა.

**- კონკრეტულად რას გულისხმობთ "ძალმომრეობის აღმოფხვრაში"?**

- კონკრეტულად ეს გამოიხატება სამი დეპუტატის უფლებამოსილების საკითხის გადაწყვეტაში, ხმის დამთვლელი კომისიის სწორ და კანონიერ მუშაობაში, მთელი მთავრობის იმპიჩმენტში, თუ მერს ვუცხადებთ იმპიჩმენტს. ამის შემდეგ ჩვენ მზად ვიქნებით იმისთვის, რომ მათთან სერიოზულად ვითანამშრომლოთ, ოღონდ არა იმიტომ, რომ ჩვენ კონკრეტულად რაღაც მივიღოთ.

**- ბოლო პერიოდში პარლამენტში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ ოპოზიცია ვერ აკონტროლებს ხმების იმ რაოდენობას, რომლითაც შესაძლოა გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა. რა უნდა ქნას ასეთ შემთხვევაში ოპოზიციამ?**

- მე პირდაპირ ვიტყვი, თუ საკრებულოში გამარჯვებულმა პარტიებმა, პირველ რიგში კი "ნაციონალისტებმა" და "ლეიბორისტებმა", გვერდზე გადადეს საკუთარი მერკანტილური ინტერესები და შეინარჩუნეს ოპოზიციური ერთობა, მაშინ საკრებულო, კონკრეტული საქმეებით, ხელისუფლებასთან ბრძოლის სერიოზულ ორგანოდ იქცევა.

თუ ჩვენ - "ნაციონალისტებს", "ლეიბორისტებს", "გაერთიანებულ დემოკრატებს", სხვებს - გვინდა, რომ შევარდნაძის წისქვილზე დავასხათ წყალი, მაშინ უნდა ვხოცოთ ერთმანეთი. თუ გვინდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს გათენდეს ისე, რომ არ იყოს საქართველოში შევარდნაძის ხელისუფლება, მაშინ პრიორიტეტი ეს უნდა იყოს და გამოსავალი მხოლოდ ერთად ყოფნაშია. რაც უფრო გაძლიერდება ჩვენს შორის კონფრონტაცია, კერძო პარტიული, პიროვნული და ლიდერული ამბიციებიდან გამომდინარე, მით მეტად ვიმუშავებთ ხელისუფლების ინტერესებისთვის და შევარდნაძის ეპოქა არ დამთავრდება. შეიძლება, შევარდნაძის პრეზიდენტობის ეპოქა დამთავრდეს, მაგრამ მისი სისტემის ეპოქა არ დამთავრდება.

**- რა მიგაჩნიათ ოპოზიციური ძალების ერთობის მთავარ მოტივაციად?**

- უნდა გვქონდეს ერთი მიზანი. როცა დღევანდელი ხელისუფლების კონსტიტუციური ვადა გავა, ამ ხელისუფლების მემკვიდრე ქვეყანას აღარ უნდა მართავდეს. თუ იქნება ეს მიზანი, მაშინ უკვე გაადვილდება კონკრეტულ საკითხებში კონკრეტული შეთანხმებების მიღწევა.

**P.S. ლევან გაჩეჩილაძესთან ინტერვიუ უკვე ჩაწერილი გვქონდა, როცა "ლეიბორისტთა" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ მისი ფრაქცია აპირებს თბილისის მთელი მთავრობის იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას. "ნაციონალისტთა" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა "24 საათთან" საუბარში მთავრობის გადაყენების საკითხში მხარდაჭერა აღუთქვა "ლეიბორისტებს" და განაცხადა, რომ კონსულტაციები გრძელდება ზოდელავას იმპიჩმენტთან დაკავშირებით.**

# ზვიად ძიძიგური კვლავ კანდიდატია

*გუშინ უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ ბათილად ცნო ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება სამტრედიის მაჟორიტარი კანდიდატის ზვიად ძიძიგურისთვის საარჩევნო რეგისტრაციის მოხსნის თაობაზე და მას სამტრედიის რაიონში 30 ნოემბერს დაგეგმილ პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის ნება დართო. ვერდიქტი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.*
*სასამართლო გადაწყვეტილებას სამტრედიის ყოფილი პრეფექტი, ამჟამად მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი თანამებრძოლი "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებისა და საკუთარი გულშემატკივრების ოვაციის ფონზე ისმენდა.*


ზვიად ძიძიგური განაჩენის მოლოდინში.
ზაურ ბულაშვილის ფოტო

თამარ მჭედლიშვილი

სხვათა შორის, გუშინდელი სასამართლო პროცესი, სხვა მსგავს პროცესებთან შედარებით, მალე დასრულდა. მოპასუხე მხარის ანუ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა, სიმართლე რომ ითქვას, დიდი ენთუზიაზმით არ ახსნეს იმ განკარგულების მიღების აუცილებლობა, რომლის თანახმადაც, ზვიად ძიძიგურს საარჩევნო რეგისტრაცია გაუუქმდა.

შეგახსენებთ, რომ ცესკოს ეს გადაწყვეტილება შემდეგი არგუმენტებით იყო გამაგრებული: **"სხდომის მომზადების წესი დარღვეულ იქნა. კერძოდ, სხდომის მოწვევის თაობაზე არ იყვნენ გაფრთხილებულნი კომისიის წევრები და არ იქნა დარიგებული სხდომის დღის წესრიგი. ამით დაირღვა "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 22-ე მუხლის პირველი პუნქტი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტი. ამასთან, აღნიშნული განკარგულების მიღებისას დაირღვა "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 98-ე მუხლის მესამე "ბ" ქვეპუნქტი, ვინაიდან ზვიად ძიძიგურის მიერ ერთდროულად არსებობდა თანხმობა როგორც ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრობის კანდიდატად, ასევე სამტრედიის საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის ხელახალ არჩევნებში მაჟორიტარ კანდიდატად რეგისტრაციაზე..."**

თანაც, მოსარჩელე მხარემ, "ნაციონალურმა მოძრაობამ," ცესკოს წინააღმდეგ ერთი "მომაკვდინებელი" იურიდიული არგუმენტი გამოიყენა, რომლის თანახმად, კანდიდატის რეგისტრაციიდან მოხსნის პრეროგატივა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ეკუთვნის.

მხოლოდ "სოციალისტი" დენის დავითაშვილი შეეცადა იურიდიული ნიუანსების იმდაგვარად წარმოჩენას, თითქოსდა ცესკოს გადაწყვეტილება სამართლიანი იყო, მაგრამ იგი აშკარად უმცირესობაში აღმოჩნდა.

აქედან გამომდინარე, სხდომის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ უკვე ნათელი იყო, რომ იურიდიული არგუმენტაცია "ნაციონალებს" უმაგრებდა ზურგს. ამას შესანიშნავად გრძნობდა ზვიად ძიძიგურისა და პარტიის მხარდამჭერებით გადაჭედილი დარბაზიც და, შესაბამისად, დენის დავითაშვილის არგუმენტაციას საკმაოდ თავშეკავებული და ღიმილიანი კომენტარებით ხვდებოდა.

უკვე სხდომის ბოლოსკენ დარბაზში თავად მიხეილ სააკაშვილი გამოჩნდა, რომელსაც თანაგუნდელებმა სასწრაფოდ მოახსენეს საქმის ვითარება. როგორც ჩანს, ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ უკვე 10 წუთის შემდეგ მას სასამართლოს დატოვების გადაწყვეტილება მიეღო. თუმცა, მანამდე სააკაშვილმა "24 საათს" განუცხადა, რომ, ბოლომდე მაინც არ იყო დარწმუნებული პროცესის მოგებაში, **"რადგან ის, რაც ზვიად ძიძიგურს გაუკეთეს, იყო კლასიკური შურისძიება საკრებულოს პირველ სხდომაზე ჩვენი გამარჯვების გამო. ეს არის კლასიკური ანგარიშსწორება, თანაც იმ ხალხის მხრიდან, რომელსაც არ აქვს არანაირი მორალური უფლება, რომ ზვიად ძიძიგურს რაიმე წამოაძახოს. მე ვგულისხმობ "სოციალისტებსა" და "მოქალაქეთა კავშირის" წარმომადგენლებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზვიად ძიძიგურის წინააღმდეგ ფულმაც იმუშავა. მის კონკურენტს, პოლიციელ თევზაძეს აქვს ძალიან დიდი ფული და მან ყველაფერი გააკეთა, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოეხსნა რეგისტრაციიდან მისი კონკურენტები. იგი ბოლო წუთამდე იმავეს ცდილობდა თბილისში, რათა რეგისტრაციიდან მოხსნილიყო ჩვენი ბლოკის კანდიდატი".**

მიხეილ სააკაშვილის მიერ სხდომის დატოვებიდან რამდენიმე წუთში სასამართლომ თავისი ვერდიქტი გამოიტანა. **"სასამართლოს გადაწყვეტილება იყო იურიდიულ-სამართლებრივი და არა პოლიტიკური, როგორც ეს თავის დროზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააკეთა,"** – ასეთი ლაკონური იყო თავად ზვიად ძიძიგური, რომელიც, ბუნებრივია, კმაყოფილი იყო პროცესის ფინალით.

არანაკლებ გახარებული ჩანდა პარტიის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ **"სასამართლომ მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება. ამ დავაში იყო სამი მთავარი მომენტი. პირველი: ცესკო თავის ქმედებებში არ ეყრდნობოდა არანაირ იურიდიულ საფუძველს. მეორე: ცესკოს არ ჰქონდა ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, კანდიდატის რეგისტრაციიდან მოხსნა მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს აქვს. თანაც დარღვეული იყო საარჩევნო ვადები. ასე რომ, განაჩენი სამართლიანია. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია პოლიტიკური არგუმენტები: დღეს იზეიმა სამართლიანობამ. ჩვენს მოწინააღმდეგეებს არანაირი იურიდიული საფუძველი არ გააჩნიათ იმისათვის, რომ შეაჩერონ ჩვენი კანდიდატების წინსვლა.**

"24 საათის" კითხვაზე – "ამ პროცესის შემდეგ შეცვლის თუ არა "ნაციონალური მოძრაობა" თავის დამოკიდებულებას უზენაესი სასამართლოსა და, კერძოდ, ლადო ჭანტურიას მიმართ?" ვანო მერაბიშვილმა ასე გვიპასუხა: **"დამოკიდებულებას მხოლოდ მაშინ გადავხედავთ, როცა უზენაესი სასამართლო განიხილავს თბილისის საკრებულოს არჩევნების შემაჯამებელი ოქმის საკითხს. ვიცი, რომ მოვიგებთ. ხელისუფლებას აღარ ეყოფა ნება, რათა წინ აღუდგეს საზოგადოებრივ აზრს და იგი იძულებული გახდება, დაემორჩილოს ხალხის ნებას და, რაც მთავარია, ელემენტარულ ლოგიკას".**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# დამნაშავეა... კანონი

*გუშინ საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი შეეცადა, წერტილი დაესვა იმ გაუგებრობისთვის, რაც თბილისის საკრებულოს მუშაობის პირველ დღეს ხუთი პარლამენტარის (გიორგი ბარამიძე, გიორგი თარგამაძე, ელდარ შენგელაია, ელენე თევდორაძე და გოგი თოფაძე) ქმედებებს უკავშირდება. თუმცა, ხუთსაათიანი მსჯელობა კაკუბავასა და სურმანიძეს შორის ატეხილ ჩხუბსაც რომ არ შეეწყვიტა, საკითხის განხილვას ისეთი პირი უჩანდა, პარლამენტარები საერთო აზრამდე მაინც ვერ მივიდოდნენ. პროსახელისუფლებო ფრაქციათა წარმომადგენლების მტკიცებას, რომ ზემოთ დასახელებულმა ხუთეულმა კანონი დაარღვია და ამიტომ, კონსტიტუციის 54-ე მუხლის საფუძველზე, მათ სადეპუტატო უფლებამოსილება უნდა შეუწყდეთ, მეორე მხარე მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა. ოპოზიციის აზრით, პარლამენტარებს კანონი არ დაურღვევიათ, მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოა, უბრალოდ - გარკვეული ძალები ოპონენტებთან პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ცდილობენ.*

გიორგი ასანიშვილი

**"ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა არ არსებობს. ხუთივე დეპუტატი კანონის წინაშე პირნათელია და, ამდენად, რაიმე ფორმით მათ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება",** - აცხადებს კობა დავითაშვილი, რომელიც, ბევრი თავისი კოლეგის მსგავსად, პრობლემის არსს მხოლოდ კანონმდებლობის ხარვეზებში ხედავს. "ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერის მტკიცებით, ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია მოსული ორგანული კანონი - საარჩევნო კოდექსი და კანონი "პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ". ამ შემთხვევაში კი, უპირატესობა ენიჭება საარჩევნო კოდექსს, როგორც უფრო "მაღალი რანგის" საკანონმდებლო აქტს, რომლის მიხედვით, დეპუტატებს უფლება ჰქონდათ, თბილისის საკრებულოში ეყარათ კენჭი.

**"როდესაც ამბობთ, რომ კანონში ხარვეზია, მთავარი უკვე ეს არის, დანარჩენი კი აბსტრაქციაა"**, - კვერს უკრავს თავის თანაფრაქციელს კოტე კემულარია.

ოპოზიცია გუშინ განსაკუთრებით აღაშფოთა კომიტეტის დასკვნის პროექტის იმ ნაწილმა, რომლის თანახმადაც, თუ დეპუტატმა თუნდაც წამიერად შეითავსა სხვა თანამდებობა, მას აუცილებლად უნდა შეუწყდეს სადეპუტატო უფლებამოსილება. ამ ლოგიკით, აცხადებენ "დემოკრატები", მინიმუმ, 25 კაცი მაინც, ვან ბაიბურთით დაწყებული და იგივე გოგი თოფაძით დამთავრებული, უკვე დღეს აღარ უნდა იყოს პარლამენტარი.

"ნაციონალების" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე კოტე კემულარიას საკითხზე მსჯელობა სულ სხვა მიმართულებით მიჰყავს და აცხადებს, რომ კანონის დარღვევას წარმოადგენს სწორედ საპროცედურო საკითხთა კომიტეტში საკითხის განხილვა.


*საპროცედურო კომიტეტის სხდომა.*

**"დღეს როსტომ დოლიძე საკრებულოს მიერ მიღებული დოკუმენტის კანონიერებას იხილავს, ამის უფლება კი მხოლოდ მაღლა ღმერთსა და მიწაზე სასამართლოს აქვს. ასე რომ, პარლამენტის კედლებში სწორედ როსტომ დოლიძის მიერ ირღვევა კანონი"**, - მიიჩნევს კემულარია. ამასთან, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ტენდენციურობის დასადასტურებლად, იგი იმასაც იხსენებს, რომ წლების განმავლობაში თამაზ ნადარეიშვილი და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს კიდევ რამდენიმე წევრი ორ თანამდებობას ითავსებენ, მაგრამ ამის შესახებ როსტომ დოლიძე ჯიუტად დუმს, რადგან ამ შემთხვევაში საქმე პროსახელისუფლებო ორიენტაციის მქონე პოლიტიკოსებს ეხებათ.

თავის მხრივ, როსტომ დოლიძე ირწმუნება, რომ "ხუთეულთან" დაკავშირებით საკითხის პოლიტიზება ნამდვილად არ ხდება, რადგან **"მათ მართლა დაარღვიეს კანონი"**.

საკომიტეტო მოსმენის მიმდინარეობისას მომხდარი ინციდენტის გამო, საკითხის განხილვა დღეისათვის გადაიდო.თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამით გამოსავალი მოიძებნა. როდესაც "დამნაშავეა" კანონი, რიგით მოკვდავს, მითუმეტეს - პარლამენტარს, ყოველთვის ექნება თავის მართლების საშუალება.

# ქართველი და რუსი მესაზღვრეები თანამშრომლობის შენარჩუნებას ცდილობენ

პირველი გვერდიდან

საზღვრის ერთობლივი დაცვის ყველა ცივილიზებული ასპექტის შესახებ შეძლეს შეთანხმების მიღწევა, გარდა ერთისა. დოკუმენტი უფლებას არ აძლევს როგორც რუს, ისე ქართველ მესაზღვრეებს, თუნდაც ოპერატიული ვითარების უკიდურესად გამწვავების შემთხვევაში, იარაღით ხელში გადაკვეთონ მოსაზღვრე ქვეყნის ტერიტორიები, რისი პრეტენზიაც, კაცმა რომ თქვას, რუსეთს ჰქონდა და არა საქართველოს.

ოქმში ასახული დანარჩენი პუნქტები კი - რადიო-კავშირის სიხშირეებისა თუ ოპერატიული ინფორმაციების გაცვლა და საზღვრის გარკვეულ მონაკვეთზე რეგულარული შეხვედრების ორგანიზება - რა თქმა უნდა, წინგადადგმული ნაბიჯია ხანგრძლივი დაპირისპირებისა და ურთიერთობის სრული გაწყვეტის შემდეგ.

თანაც, როგორც ჩანს, ერევანში ხელმოწერილმა ოქმმა, გარკვეული საფუძველი და წინაპირობა შექმნა, საზღვარზე რეალური თანამშრომლობის დასაწყებად. საქართველოს პრეზიდენტთან არსებული მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსის, პოლკოვნიკ გივი იუკურიძის განცხადებით, თბილისში მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში, შესაძლოა, ასევე დადგეს სამხედრო ტექნიკური დახმარების საკითხიც.

გივი იუკურიძე: ***"შესაძლოა, ეს საკითხებიც დადგეს დღის წესრიგში, იქიდან გამომდინარე, რომ ტექნიკური აღჭურვილობა რუსებს ცოტა უკეთესი აქვთ, ვიდრე ჩვენებს. მაგრამ ჩვენთვის მაინც ბოლომდე პრინციპულია ის, რომ საზღვარი მხარეებმა თავის ტერიტორიაზე უნდა აკონტროლონ და დაუშვებელია აქეთ-იქით გადასვლა"***

საქართველოს საზღვრის დაცვის უწყება, ჯერჯერობით, არ ამჟღავნებს თბილისში მიმდინარე მოლაპარაკებათა შედეგებს. დეტალების დაზუსტებისგან თავი შეიკავა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული სასაზღვრო სამსახურის შტაბის უფროსმა, გენერალმა ვალერი პუტოვმაც. მისი ქართველი კოლეგის, პოლკოვნიკ სალიას განცხადებით კი, მოლაპარაკებათა მთავარ თემას კვლავ ერევნის ოქმში დაფიქსირებული საკითხების განხილვა წარმოადგენს.

კორნელი სალია: ***"სულ რვა საკითხია განსახილველი, ეს არის კავშირის დამყარება ერთმანეთთან, ინფორმაციის გაცვლა, ერთობლივი სწავლების ჩატარება და ა.შ."***

რა თქმა უნდა, სწავლების ჩატარება პლანშეტზეც შეიძლება და, ბოლოსდაბოლოს, სელექტორული კავშირითაც, მაგრამ თუ სასაზღვრო უწყებების ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობის გააქტიურება სრულფასოვანი სასაზღვრო თანშრომლობისკენ არის მიმართული, მაშინ საზღვრის სახიფათო მონაკვეთებზე ერთმანეთის ტერიტორიაზე გადასვლა, თუნდაც სწავლების დროს, დასაშვებია.

მით უფრო, რომ ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყებების თანამშრომლობაში პრიორიტეტულად კვლავ ჩეჩნეთის, დაღესტნისა და ინგუშეთის მონაკვეთებზე არსებული სიტუაცია რჩება. საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერევანში ხელმოწერილი ოქმის შემდეგ, საზღვრის დაცვა ამ მიმართულებით უკვე გაძლიერდა. სასწრაფოდ გადასაჭრელ საკითხთა შორის კი რჩება საზღვრის მთელი პერიმეტრის რეკოგნოსცირება და პატრულირებისთვის ყველაზე არსებითი და სახიფათო მონაკვეთების განსაზღვრა, რაც არცთუ ისე მარტივი საქმე იქნება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი არაპროგნოზირებადი მონაკვეთების რაოდენობა საქართველო-რუსეთის საზღვარზე კვლავ საკმარისზე მეტია.

მაგრამ არსებითი პრობლემა, რის გამოც ვერც ქართველი და ვერც რუსი მესაზღვრეები სრულფასოვან თანამშრომლობას ვერ ახორციელებენ, არის არა თავად სამხედროებში, არამედ პოლიტიკოსებში, რომლებიც თანამშრომლობის პრინციპებს აყალიბებენ. აქედან გამომდინარე, თუკი მართალია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაცია, რომ რუსეთი არა მარტო საავიაციო დარტყმებით, არამედ ბირთვული იარაღის გამოყენებითაც იმუქრება, რაც არ უნდა უბერონ სული ტოცკიმ და ჩხეიძემ, ერთობლივი თანამშრომლობა, რა თქმა უნდა, ამით ვერ გაღვივდება.

# რისთვის გვჭირდება ჯარი?

პირველი გვერდიდან

**"მესამე სამყაროს ქვეყნებში ასეთი დაფინანსებით სამხედრო ორკესტრს ინახავენ. წელიწადში 25 მილიონი ლარი იქ ბატალიონის შენახვასაც ვერ აუვა. თუ ჩვენ გვაფინანსებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიშიმშილოთ და არ ავჯანყდეთ. ასეთი არმიის ყოლას აზრი არა აქვს",** – აუხსნა მინისტრმა პარლამენტის თავმჯდომარეს.

გუშინ თავდაცვის სამინისტრომ პირველად აღიარა, რომ დაუფინანსებლობით შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნას ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით გათვალისწინებულ, საჩხერის სამთო სპეცდანიშნულების ბატალიონის მომზადებას. **"ეს ბატალიონი უკვე დაკომპლექტდა და 16 დეკემბერს ჩვენ უკვე გადავცემთ ამერიკულ მხარეს იმ ჯარისკაცების სრულ სიას, რომლებმაც მომზადება უნდა დაიწყონ, თუმცა, შესაძლოა, ასეთმა დამოკიდებულებამ მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნას,"** – აღნიშნა შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა ჯონი ფირცხალაიშვილმა.

უფულობის გამო თითქმის პარალიზებულია სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და საზღვაო-თავდაცვის ძალები. უკრაინიდან დღემდე ვერ მოხერხდა შეკეთებული სამი მი-8 ტიპის ვერტმფრენის ჩამოყვანა, სამინისტრო სარემონტო სამუშაოების თანხას ვერ იხდის. ამერიკელთა მიერ ნაჩუქარ "იროკეზებს" დღემდე არ გააჩნიათ ნორმალური ტექნიკური მომსახურების შენობები. შეჩერებულია ვარციხის სპეცქონების მეურნეობის სარემონტო სამუშაოები. ეს ქონება თითქმის ღია ცის ქვეშ ინახება და ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეს უქმნის - ბაღდათის, ვანის, წყალტუბოს რაიონებსა და ქუთაისს. თავდაცვის სამინიტროს პირად შემადგენლობას 14-16 თვის ხელფასები არ აქვს მიღებული.

**"ჩვენ, ალბათ, დაგვავიწყდა, სად ვცხოვრობთ. სომხეთი ორ არმიას ინახავს - საკუთრივ სომხეთში და ყარაბაღში, თითქმის - 100 ათას ჯარისკაცზე მეტს. სომხეთის საზღვრიდან თბილისამდე სულ 80 კილომეტრია და სულაც არ არის გამორიცხული, ეს არმიები ჩვენკენ მობრუნდნენ. ამდენივე ჯარისკაცი ჰყავს აზერბაიჯანს, აღარაფერს ვამბობ თურქეთზე და, განსაკუთრებით - რუსეთზე, რომლის ახალ სამხედრო დოქტრინაში პირდაპირ წერია, რომ მათ ჩვენს წინააღმდეგ ნებისმიერ დროს შეიძლება აამოქმედონ აქ განლაგებული სამხედრო ბაზები. ამ დროს ჩვენ, მომზადების ნაცვლად, ფინანსთა სამინისტროსთან ბრძოლით ვართ დაკავებულები. თუ გვეუბნებიან, რომ ვერ დაგვაფინანსებენ და უნდა მოვიცადოთ, მაშინ ის პასუხისმგებლობაც უნდა მოგვიხსნან, რომელიც ფიცის ქვეშ გვაქვს აღებული",** –კატეგორიული იყო დავით თევზაძე.

პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც ზუსტად ანალოგიური, კატასტროფული სიტუაციის მომსწრე გახდა ორი კვირის წინათ სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში სტუმრობისას, სამხედროებს დაჰპირდა, რომ მხარს არ დაუჭერს 2003 წლის ბიუჯეტის პროექტს, თუ მასში თავდაცვის სამინისტროს ინტერესები სრულად არ იქნება გათვალისწინებული. **"რუსები ისე გვბომბავენ, რომ ომის გამოცხადების ღირსადაც არ გვთვლიან, აფხაზები საერთოდ არ კადრულობენ ჩვენთან საუბარს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გვერდით დღემდე უცხო ქვეყნის ჯარისკაცები არიან განლაგებულნი. ამ დროს ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გაგვირკვევია, რაში გვჭირდება ჯარი. მე მრცხვენია ამ სიტუაციის გამო,"** – ემოცია ვერ დაფარა ნინო ბურჯანაძემ.

# გაშველება მავნებელია, დაე, მუდამ იყოს ჩხუბი!

პირველი გვერდიდან

"მკრეხელური" აზრი გაგიელვებდათ - რა უნდა ამ ხალხს პარლამენტში, რაზე ცდებიან, ასეთი მონაცემების პატრონებს უფრო ფართო ასპარეზი უნდა ჰქონდეთ!

დეპუტატების თავგანწირული ქმედებები მით უფრო დასაფასებელი გახდება, თუ ვიტყვით, რომ მუშტი-კრივი სწორედ მაშინ გაჩაღდა, როდესაც მათ თავზე სახარების წაკითხვას აპირებდნენ: საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იყო საკითხი "5-8 ნოემბრის პარლამენტის პლენარულ სხდომებზე მომხდარი **დაუშვებელი** ინციდენტების შესახებ".

რას ჰქვია "დაუშვებელიო" და ... სურმანიძემ და კაკუბავამ ისე დაუშინეს ერთმანეთს, რომ კოლეგებს მათი გაშველება აღარც კი უნდოდათ. თუმცა, ზოგიერთი დეპუტატი შეეცადა, თავისი "ნეიტრალიტეტი" კეთილშობილური მიზნით - მომავალი ჩხუბების პროფილაქტიკით აეხსნა.

**"სანამ იქნება გაშველება, იქნება ჩხუბი",** - ამ დასკვნამდე აკაკი ბობოხიძე, როგორც ჩანს, საბრძოლო ხელოვნების კუთხით პარლამენტში ამ ბოლო დროს დაგროვილი მდიდარი გამოცდილების ღრმა და საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ მივიდა.

სხვათა შორის, არც სურმანიძეა "წარმოშობით" "დემოკრატი" და არც კაკუბავა - "ამღორძინებელი". ორივე საქართველოს ბედკრული ავტონომიების შვილები არიან. თავის დროზე "აღორძინების" მიერ სარბიელზე გამოყვანილი სურმანიძე, უკვე კარგა ხანია, თავის პირველ პოლიტიკურ სიყვარულს უპირისპირდება, ისევე როგორც აფხაზეთიდან არჩეული კაკუბავა - ფრაქცია "აფხაზეთს". თუმცა, პოლიტიკური მამლუქიზმის ეპოქაში, ასეთი ფაქტები გამონაკლისი სულაც არ არის.

ისე, პოლიტიკური ორიენტაცია პარლამენტში, ზოგჯერ, მაინც მეორეხარისხოვანია. მთავარია, სურვილი იყოს, თორემ, ჩხუბის საბაბს რა გამოლევს! მაგალითად, გუშინდელი გაწევგამოწევაც თითიდან გამოწოვილი მიზეზის გამო ატყდა. ყოველ შემთხვევაში, კაკუბავასა და სურმანიძეს ერთმანეთისთვის ახალი არაფერი წამოუძახებიათ: "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელი საუბრობდა მისი ოპონენტების მიერ ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულზე, ხოლო "აღორძინებას" შეკედლებული მისი სპარინგ-პარტნიორი საკუთარ თავს იმაში ადანაშაულებდა,

რომ **"საქართველოს დამაქცევარი ყოფილი მმართველი ძალა ქვეყანაზე ამდენ ხანს ბოგინობს"**.

**"არ შევარჩენ, რომ გამარტყა და სასამართლოში ვუჩივლებ"**, - "არასპორტული ხერხებით" აპირებს კაკუბავა რევანშის აღებას. მანამდე კი, ვიდრე მატჩ-რევანში გაიმართება ან საკანონმდებლო ორგანოში მორიგი საკვალიფიკაციო ბრძოლები ჩატარდება, იქნებ ამ სანახაობათა გაშუქების ჟანრობრივ გამრავალფეროვნებაზეც გვეფიქრა და რეპორტაჟები პარლამენტიდან სპორტული კომენტატორების თანხლებით წაგვეყვანა?

# „საკრებულომ უნდა იხსნას ქალაქი განადგურებისგან"

*"15 ნოემბერს საკრებულო მიიღებს სპეციალურ გადაწყვეტილებას. იმ ადგილებში, სადაც იყო სკვერები, ტყე-პარკები, სათამაშო მოედნები ან მწვანე საფარი, ყოველგვარი მშენებლობა შეწყდება. ის, რაც უკვე აშენებულია, ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ სასამართლოს ძალით დაინგრეს", - განაცხადა გუშინ საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში მოინახულა უკანონოდ აშენებული და ამჟამად მშენებარე ობიექტები, ასევე, ჯერჯერობით, მხოლოდ მონიშნული და ახალი მშენებლობისთვის გამზადებული ადგილები.*

ვერიკო თევზაძე

მთაწმინდა-ავლაბარი-ისანი-საბურთალო - ძირითადად ასეთი მარშრუტი შეარჩია საკრებულოს თავმჯდომარემ და იმ ჯგუფმა, რომელშიც მასმედიის და მესამე სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, ქალაქის მთავარი არქიტექტორი ირაკლი ლოლაშვილი, მთაწმინდა-კრწანისის გამგებელი ირაკლი როსტომაშვილი, მთაწმინდის პარკის დირექტორი თემურ კიკნაძე და დედაქალაქის მერიის თანამშრომლები შედიოდნენ. სააკაშვილი ამჯერად იმ ობიექტებს ეწვია, რომელთა შესახებ საკრებულოში თბილისელ მოქალაქეთა საჩივრები შევიდა.

**"სულაც არ არის კატასტროფა და ქვეყნის დაქცევა",** - ამგვარი "ესთეტიური" შეფასება მოვისმინეთ ქალაქის მთავარი არქიტექტორისგან, როცა მეტროსადგურ "300 არაგველთან" უხეიროდ ჩადგმული კაფე მოვინახულეთ. მეზობელ მეტროსადგურ "ისანთან" სიტუაცია იმდენად მძიმე და უიმედო იყო, ბატონ ლოლაშვილს იხტიბარი წაუხდა და დადუმება არჩია. სამაგიეროდ, საკრებულოს თავმჯდომარემ ვერ დაფარა ემოციები: **"ღმერთმა ნუ ქნას და მეტროსადგურში ცეცხლი რომ გაჩნდეს, ისეა ჩაკეტილი, სახანძრო მანქანა ვერ შეაღწევს. მთელი შენობა დაფარულია, პროექტი კი ისეა გაფორმებული, როგორც მსუბუქი კონსტრუქცია. თუ ასე გაგრძელდა, თბილისი ტრაპიზონის მსგავს ქალაქად იქცევა."**

სააკაშვილს ისინის ბაზრობის მოვაჭრეები შემოესივნენ: **"ამდენ ხანს სად იყავით... მთელი ისანი რომ გაჩეხეს, იმაზე რატომ არაფერს იტყვით..."** მხოლოდ ერთმა ახალგაზრდა მანდილოსანმა დაივიწყა საქვეყნო პრობლემები (იგი, უბრალოდ, გამვლელი იყო) და სააკაშვილის ხილვით გაბადრულმა საკრებულოს თავმჯდომარეს თავისი პატარა ქალიშვილი გააცნო. ოთხი წლის ნინამ ნაციონალური პარტიის თავმჯდომარის ალერსი და კომპლიმენტები დაიმსახურა.

მეტრო "დელისთან" ჩახერგილი, გაურკვეველი წარმოშობის, დაუმთავრებელი შენობის ბედი გუშინვე გადაწყდა: **"უნდა დაინგრეს!"** ასეთია სააკაშვილის განაჩენი. **"თბილისში მდებარე ტყეების, სკვერების, სათამაშო მოედნების თითქმის ყოველი კვადრატული მეტრი კონკრეტულ თანამდებობის პირზეა გაფორმებული... ჩვენ მათ შესყიდული ტყის ტერიტორიებს ვერ წავართმევთ, მაგრამ არც მშენებლობის უფლებას მივცემთ. ჩამოსხდნენ ტყეში ხის ძირას და ისიამოვნონ ცხოვრებით",** - ემოციების შემდეგ სააკაშვილმა მსუბუქ ირონიას უხმო.

საკრებულოს თავმჯდომარე ირწმუნება, რომ გადაწყვეტილება, რომელიც დღეს უნდა მიიღოს საკრებულომ, დედაქალაქში არსებულ ქაოტურ ვითარებას მოაწესრიგებს: **"სკვერების, პარკების, გამწვანების ადგილას შენდება უგემოვნო ნაგებობები, ოთხსართულიანი სახლები, რომლებიც "მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობებად" არის გაფორმებული. საკრებულომ ქალაქი უნდა იხსნას განადგურებისგან. ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას და თბილისში არც ერთი ობიექტი არ აშენდება უკანონოდ."**

**"მიშა, როცა მოიცლი, დავსხდეთ და ერთად მოვილაპარაკოთ, რა გავაკეთოთ და როგორ,"** - საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივას ქალაქის მთავარი არქიტექტორი ირაკლი ლოლაშვილი, ჯერჯერობით, სიტყვიერად უჭერს მხარს.




## მოკლედ

**ბაქო.** კომპანიებმა - Statoil-მა და "ლუკოილმა" ხელი მოაწერეს მემორანდუმს ჩრდილოეთ კასპიის რუსეთის მონაკვეთზე ნავთობის დაზვერვისა და მოპოვების საქმეში ურთიერთგაგების შესახებ. Statoil-ის წარმომადგენლის, კაი ნილსენის თქმით, მემორანდუმი ითვალისწინებს კასპიის ზღვაზე, "იაპამას" საბადოზე გაზისა და ნავთობპროექტებში ერთობლივ მონაწილეობას. ნილსენმა თავი შეიკავა ნორვეგიული კომპანიის შესაძლო ინვესტიციების მოცულობის დასახელებისგან და აღნიშნა, რომ მემორანდუმი ჩარჩო ხასიათისაა და მასში აღნიშნული არ არის მხარეთა კონკრეტული მოვალეობები.

"იაპამას" საბადო მდებარეობს კასპიის ზღვის ჩრდილოეთით, რუსეთის ეკონომიკურ ზონაში. მონაკვეთზე ჩატარებულია სეისმური სამუშაოები. წინასწარი შეფასებით, აქ, ზღვის შელფში, სავარაუდოდ, 150 მილიონი ტონა ნავთობია. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ფოთი.** ამერიკელი ექსპერტების მონაწილეობით ფოთის საბაჟოზე დამონტაჟდება სპეციალური აპარატურა, რომელიც აღმოაჩენს რადიაქტიული ნივთიერებების კონტრაბანდას. როგორც კავკას-პრესს საბაჟო დეპარტამენტიდან აცნობეს, აშშ-მ წარმოადგინა სპეციალური აპარატურა, რომელიც ასევე დამონტაჟდება "წითელი ხიდის" საბაჟო-გამშვებ პუნქტზე.

"დიდი აბრეშუმის გზის" პროექტის განხორციელება საქართველოში, როგორც ტრანზიტულ ქვეყანაში, პერსპექტივების გარდა, ახალ პრობლემებს ქმნის. ექსპერტები აცხადებენ, რომ კონტრაბანდულ ტვირთთან ერთად მოხდება ნარკოტიკებისა და რადიაქტიული ნივთიერებების შემოტანაც. უკანასკნელ პერიოდში სპეცსამსახურებმა ორჯერ დააკავეს ტვირთი რადიაქტიული ნივთიერებებით.

აშშ-ს მიერ გადმოცემული აპარატურის ასათვისებლად ორმა ქართველმა მებაჟემ საგანგებოდ გაიარა სწავლების სპეციალური კურსი რუსეთში. სულ მალე რადიაქტიული ნივთიერებების გამოსავლენად სპეციალისტების მომზადება საქართველოშიც მოხდება.

მომავალში საქართველოს ხელისუფლება აპირებს, აპარატურა სხვა საბაჟო პუნქტებშიც დაამონტაჟოს. ამჟამად არჩეულია ფოთი და "წითელი ხიდი", სადაც ტვირთბრუნვის მაჩვენებელი მაღალია. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში", სატელეკომუნიკაციო კავშირის ITU ეგიდით, მუშაობას შეუდგა ორდღიანი საერთაშორისო სემინარი თემაზე - "ფასწარმოების მოდელები", რომელსაც საქართველოს მოქმედი სატელეკომუნიკაციო კომპანიების საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის წარმომადგენლები, დსთ-ს და ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლები და ექსპერტები დაესწრნენ.

სემინარზე განიხილავენ ტელეკომუნიკაციების დარგში ტარიფიკაციის პროცესებს, ფასწარმოქმნის სისტემის დახვეწისა და განვითარების შესაძლებლობებს და აღნიშნული დარგის დარეგულირების საკითხებს. როგორც კავკას-პრესს საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილემ გიორგი კარბელაშვილმა განუცხადა, ექსპერტები შეაჯერებენ დარგში არსებულ პრობლემებს და რეკომენდაციებს წარმოადგენენ, "ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის გამოცდილების ურთიერთგათვალისწინება და ერთიან რეჟიმში მუშაობა," - განაცხადა კარბელაშვილმა. ღონისძიებას აფინანსებს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი ITU. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** " საქართველო კვლავ "ძირითადად არათავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნად" არის მიჩნეული ვაშინგტონის "მემკვიდრეობის" ფონდის და გაზეთ Wall Street Journal-ის მიერ ჩატარებული გამოკვლევის "ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი - 2002" მიხედვით", - იტყობინება სააგენტო მედიამაქსი.

საქართველო რეიტინგში ხუთი პუნქტით დაბლა დაეშვა და ამჟამად 113-ე ადგილი უკავია. აზერბაიჯანი 14 პუნქტით ზემოთ ავიდა და 104-ე ადგილი დაიკავა. სომხეთი დსთ-ის ქვეყნებიდან ერთადერთია, რომლის ეკონომიკა "ძირითადად თავისუფლადაა" მიჩნეული. 156 ქვეყნის სიაში სომხეთი 44-ე ადგილზეა და გასული წლის რეიტინგთან შედარებით ერთი პუნქტით მაღლა აიწია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ფოთი.** შავი ზღვის აუზში ქაფშიის რეწვის სეზონი იწყება. როგორც „მედია-ნიუსს" სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში აცნობეს, ამ სამუშაოებს ყოველწლიურად, მთავრობათაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე, ქართულ თევზსაჭერ გემებთან ერთად, უკრაინული გემებიც აწარმოებენ.

წლეულს ქაფშიის ჭერაში ორი უკრაინული სამაცივრო გემიც იქნება ჩართული. ისინი ქართული თევზსაჭერი გემებიდან დღე-ღამეში 100 ტონა ქაფშიას მიიღებენ. ფოთის ფირმა „მერლანში" დამონტაჟდა უკრაინიდან მიღებული აღჭურვილობა, რომლითაც ფოთის საწარმო თევზის კონსერვებს გამოუშვებს.

უკრაინელი კოლეგები სატბორე მეურნეობებისთვის თევზის შედარებით დაბალ ფასებში საკვების მიწოდებასაც აპირებენ. უკრაინის მხარე ასევე თანახმაა, საქართველოს აკვატორიაში მოპოვებული ქაფშია საწვავზე გაცვალოს.

საქართველო ქაფშიის ექსპორტს კრასნოდარშიც აპირებს, საიდანაც სანაცვლოდ სხვა პროდუქტებს მიიღებს. სამინისტროს ინფორმაციით, მიღწეულია შეთანხმება მოპოვებული ქაფშიის თურქეთში რეალიზაციაზეც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლეშეკ ბალცეროვიჩის ექსპერტთა ჯგუფის მორიგი სამუშაო ვიზიტი 18 ნოემბერს დაიწყება. როგორც „მედია-ნიუსს" საქართველოსთვის მაკროეკონომიკური და სტრატეგიული რეფორმების საკონსულტაციო პროექტის (ბალცეროვიჩის ჯგუფი) ადმინისტრაციულმა დირექტორმა თამაზ ასათიანმა განუცხადა, 18 ნოემბერს თბილისში ჩამოვა კონტრაბანდის საკითხებზე მომუშავე სამკაციანი ჯგუფი, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში შეუდგება მოღვაწეობას.

23 ნოემბერს მათ ფინანსთა სამინისტროს ერთი კონსულტანტი შეუერთდება. სამინისტროში გამართული კონსულტაციები ფისკალურ საკითხებს შეეხება.

როგორც ასათიანმა განაცხადა, ექსპერტები მიღებულ ინფორმაციას კვლავ ვარშავაში დაამუშავებენ. სულ მალე კი, მისივე თქმით, ბალცეროვიჩის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, სამუშაო დოკუმენტის სახით, სხვადასხვა უწყებას დაეგზავნება კორექტივების შესატანად. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქეთთან დამაკავშირებელი ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის საკითხისადმი საქართველოს პრეზიდენტი ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ხელმძღვანელობას მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდებს.

„საჭიროა, ამ თემაზე თვეში ერთხელ მაინც შევეხმიანოთ თურქეთის შესაბამის უწყებებს," - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. მისივე თქმით, ქართული მხარე ბოლო ხანებში ცოტა მოდუნდა სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით - უწინდელი აქტივობა აღარ შეინიშნება.

ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პროექტი, უკვე რამდენიმე წელია, არსებობს, თუმცა მისი ხორცშესხმა სხვადასხვა მიზეზების გამო ფერხდება. ერთ-ერთი მიზეზია დაფინანსება, რომელიც თურქულმა მხარემ უნდა იკისროს.

მიუხედავად საქართველოს მთავრობის აქტიურობისა და არაერთგზის მცდელობისა, განეხორციელებინა ეს პროექტი, თურქული მხარე, ჯერჯერობით, პასიურობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რთველი ერთ კვირაში დასრულდება. როგორც „მედია-ნიუსს" მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტ „სამტრესტში" აცნობეს, დღეისთვის გადასამუშავებლად ჩაბარებულია 15,3 ათასი ტონა ყურძენი, ხოლო რთველის დასრულებისთვის ეს მაჩვენებელი 16 ათასს არ გადააჭარბებს.

სპეციალისტთა პროგნოზით, წლეულს მოსალოდნელი იყო 260 ათასი ტონა ყურძნის წარმოება. პროგნოზი არ გამართლდა უამინდობის, ვაზის დაავადებების და ფალსიფიცირებული შხამქიმიკატების გამოყენების გამო.

სახელმწიფომ, თავის მხრივ, არ დააფინანსა გლეხებისგან ყურძნის შესყიდვის პროგრამა, რომლისთვისაც „სამტრესტი" ორ მილიონ ლარს ითხოვდა. **მედია-ნიუსი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 9 – 15 ნოემბრის მდგომარეობით




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UKJ | US$ | €uro | Ѓen |
|---|---|---|---|---|
| UKJ | | 0.6293 | 0.6353 | 0.0053 |
| US$ | 1.589 | | 1.0094 | 0.0084 |
| €uro | 1.5743 | 0.9906 | | 0.0083 |
| Ѓen | 190.21 | 119.73 | 120.82 | |

**2002 წლის 15 ნოემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:**

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.2025 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4690 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5030 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1900 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3573 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1818 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0688 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4475 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2364 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1077 ლარი |

# პარლამენტი „თბილავიამშენის" აქციების ნიუ-იორკის ბირჟაზე გაყიდვას მოითხოვს

*პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა გუშინდელ სხდომაზე "თბილავიამშენის" განვითარების პერსპექტივები განიხილა. თვითმფრინავმშენებელი საწარმო საკუთრების ახალ ფორმაზე გადასასვლელად ემზადება. შემდგომი განვითარებისთვის "თბილავიამშენმა" საზღვარგარეთელი პარტნიორი უნდა ეძიოს. სპეციალისტთა აზრით, არც ერთი მსხვილი ავიაკომპანია არ წავა კოოპერაციაზე საწარმოსთან, რომლის ასპროცენტიანი მფლობელი სახელმწიფოა. დამოუკიდებლად არსებობას კი, უდიდესი კონკურენციის პირობებში, "თბილავიამშენი" ვეღარ შეძლებს. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს "თბილავიამშენის" განსახელმწიფოებრიობის საკითხის პირად კონტროლზე აყვანა სთხოვა. აღმასრულებელ ხელისუფლებას "თბილავიამშენის" პრივატიზების კონცეფციის შესამუშავებლად სამთვიანი ვადა დაუნიშნეს და ამ ხნის განმავლობაში სრული კარტ-ბლანში მისცეს.*


*ვაჟა თორდია: საწარმოს განსახელმწიფოებრიობა უმტკივნეულოდ ჩაივლის.*

სოფო ბუკია

"თბილავიამშენი", ოფიციალური მონაცემებით, ერთ-ერთ წარმატებულ საწარმოდ ითვლება. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი აღნიშნავს, რომ სააქციო საზოგადოება "თბილავიამშენის" საწესდებო კაპიტალი 55,6 მილიონ ლარს შეადგენს. დღეისათვის საწარმოს კრედიტორული დავალიანება 3,6 მილიონი ლარია, რაც, 2000 წელთან შედარებით, 17 მილიონი ლარითაა შემცირებული.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საწარმომ საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი მაჩვენებლები: პროდუქციის რეალიზაცია გაიზარდა 2,5-ჯერ, ბიუჯეტში შენატანები კი - 20-ჯერ.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, საწარმოს, უკვე ოთხი წელია, ამზადებენ საკუთრების ახალ ფორმაზე გადასასვლელად. "თბილავიამშენი" სოლიდურ პარტნიორებს ეძებს.

როგორც საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვაჟა თორდია ამბობს, "თბილავიამშენში" ჩატარებულია მთელი რიგი ღონისძიებებისა, რაც საწარმოს განსახელმწიფოებრიობის პროცესს უმტკივნეულოს გახდის. კერძოდ, მოხდა არაპროფილური დარგების რესტრუქტურიზაცია და ძირითადი წარმოების სტრუქტურებიდან გამოყვანა. აგრეთვე, კანონის შესაბამისად, ქონების მართვის სამინისტროს გადაეცა ჭარბი, გამოუყენებელი შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა საზღვარგარეთის ფირმებთან ერთობლივი საავიაციო პროგრამების განხორციელებისათვის. ისრაელის ფირმასთან ერთად საწარმომ დაასრულა "სუ-25-ის" ტიპის თვითმფრინავის მოდერნიზაცია, რაც თვითმფრინავს ნატო-ს სტანდარტებს გაუტოლებს, ასევე დაიწყო ამერიკული ფირმა "მავერიკ ჯეტ"-ის მცირეგაბარიტიანი თვითმფრინავების მოდერნიზაცია და სხვა.

**"თუ ქარხნის პრივატიზაცია დროულად არ მოხდა, ორი-სამი წლის შემდეგ მას ყველა შეკვეთა ამოეწურება და სახელმწიფოს ფუნქციადაკარგული საწარმო შერჩება, რისი მაგალითებიც დღეს მრავლად გვაქვს. საუბარი არ არის თვითმიზნურ პრივატიზაციაზე, არიქა, ეს საწარმო როგორმე გავყიდოთ. მთავარია, შეცდომა არ დავუშვათ,"** – აცხადებს დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძე, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლებისგან საწარმოს პრივატიზების "რაციონალურ წინადადებებს" ელოდება.

გიორხელიძის აზრით, საწყის ეტაპზე სასურველია, "თბილავიამშენის" საკონტროლო პაკეტი საქართველოს რეზიდენტი ეკონომიკური სუბიექტების ხელში დარჩეს. ამგვარ სუბიექტებად გიორხელიძეს "კარგად გაძლიერებული ქართული ბანკები და ფინანსური ჯგუფები" მიაჩნია. რაც შეეხება სახელმწიფოს, მას შეუძლია თავის მფლობელობაში დაიტოვოს აქციათა 15-20 პროცენტი, ხოლო აქციათა 49 პროცენტი, კანონის შესაბამისად, კონკურსის წესით გაყიდულ უნდა იქნეს მსხვილ ავიამშენებელ კომპანიებზე. "24 საათთან" საუბარში დემურ გიორხელიძემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია, აქციათა პირველი პაკეტი გასაყიდად ნიუ-იორკის ბირჟაზეც გავიდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტის თავმჯდომარე უკვე ესაუბრა ვაჟა თორდიას, დაგეგმილია კონსულტაციების გამართვა აღმასრულებელ ხელისუფლებასთანაც.

გიორხელიძის თქმით, "თბილავიამშენის" პრივატიზაციისას ხელისუფლებამ საწარმოს პერსპექტივები უნდა გაითვალისწინოს: **"საწარმოს საკუთრების ფორმის გარდაქმნის მიზანია, გავიჩინოთ რაც შეიძლება მეტი პარტნიორი დასავლეთის უმსხვილესი ავიამშენებელი კომპანიების სახით. ქართული ავიამშენებელი ქარხანა მსოფლიო სტანდარტებს უნდა გაუტოლდეს. მერწმუნეთ, კარგად ვიცი ამ ქარხნის პოტენციალი. ამ თითქოსდა უიმედობის ფონზე, რაც უნდა დიდი მიზანი დავსახოთ "თბილავიამშენის" წინაშე, ეს საწარმო ყველაფრის ამთვისებელია. თუ ეს გავითვალისწინეთ, პრივატიზებისას შეცდომებს არ დავუშვებთ,"** – აცხადებს გიორხელიძე.

ქონების მართვის სამინისტრომ სამი თვის ვადაში "თბილავიამშენის" "რაციონალურად პრივატიზების" კონცეფცია უნდა წარმოადგინოს. დემურ გიორხელიძის თქმით,- **"თუ აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილება სწორი იქნება, პარლამენტი მას აუცილებლად მწვანე შუქს აუნთებს"**.

# გაერო საქართველოს მაღალმთიან რეგიონებს დაეხმარება

ნინო ნარჩემაშვილი

გაერო-ს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) დაფინანსებით საქართველოში მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის განხორციელება დაიწყო. სწორედ ამ პროგრამის განხილვას მიეძღვნა გუშინ, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გამართული სემინარი "IFAD-ის სტრატეგია საქართველოში", რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ IFAD-ის, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროების, აგრეთვე, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და უცხოელი ექსპერტები.

როგორც სემინარზე ითქვა, პროგრამას "რეგიონების განვითარების საერთაშორისო ასოციაცია" (MADI) ახორციელებს და მისი მიზანია საქართველოს მთიან და მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება მათი შემოსავლების სტაბილური ზრდის საშუალებით. პროგრამის მიხედვით, მისი განხორციელების აუცილებელი კომპონენტებია –სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გარემოს დაცვა და რეგიონებში არსებული საკრედიტო კავშირების საქმიანობის გაუმჯობესება.

რაც შეეხება საკრედიტო კავშირებს, IFAD-ი მოითხოვს პროგრამის მსვლელობის პროცესში, მისი მომგებიანობის გარანტირებისათვის, დარეგულირდეს საკანონმდებლო ბაზა და საქართველოს პარლამენტს წარედგინოს წინადადებები საკრედიტო კავშირების მიერ გამოყოფილი სესხების პროცენტის შემცირების შესახებ.

საქართველოში IFAD-ის საფინანსო მენეჯერის, აბდალა რაჰმანის განცხადებით, **"მოსახლეობას, რომელიც მაღალმთიან რეგიონებში, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე ზევით ცხოვრობს, არ შეუძლია მაღალპროცენტიანი სესხის გასტუმრება, ამიტომ აუცილებელია შემცირდეს საკრედიტო კავშირებისათვის გასასტუმრებელი თანხის ოდენობა."**

პროგრამის კოორდინატორის, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის დავით შერვაშიძის განცხადებით კი, **"ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც უშუალოდ მოსახლეობის მხრიდან იქნება გამოთქმული, გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანია. ამიტომაც ჩვენი პროექტის ძირითადი მიმართულებები დაფუძნებულია მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის მოთხოვნილებათა შესწავლის შედეგებზე. პროგრამისათვის გამოყოფილი კრედიტი, დაახლოებით, რვა მილიონი აშშ დოლარია და საკმაოდ შეღავათიან პირობებს ითვალისწინებს – დაფარვის 40-წლიანი ვადა და 0,75 პროცენტი. რაც შეეხება რეალურ საქმიანობას, ასპინძის რაიონში დამონტაჟდა საირიგაციო სისტემა, რომლის საშუალებითაც მოხდება 350 ჰექტარი მიწის ფართობის მორწყვა, ხევსურეთში შენდება 0,5 მეგავატი სიმძლავრის მიკროჰესი, რომელიც ელექტროენერგიით მთლიანად დააკმაყოფილებს ხევსურეთის მოსახლეობას. მომავალი წლიდან დაიწყება სამუშაოები დუშეთში, ამბროლაურსა და შუახევში."**

# ყადაღადადებული საბითუმო ბაზარი ენერგოკრიზისით იმუქრება

პირველი გვერდიდან

ევრობანკის ექსპერტები, რომლებიც ამჟამად საქართველოში იმყოფებიან, დღეს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავას ხვდებიან. შეხვედრაზე "ენგურის კაშხლისა და ჰიდროელექტროსადგურის პროექტის" დეტალებს განიხილავენ. ბანკის ხელმძღვანელობამ ამ კრედიტის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილებას ჯერ კიდევ 1998 წელს მოაწერა ხელი.

საგადასახადო ინსპექციის მხრიდან საბითუმო ბაზრის ანგარიშზე ყადაღის დადება გამოიწვია იმ ვალმა, რომელიც ბაზარს "თბოელექტროცენტრალის" ("თეცი") მიმართ მართებს. ბაზრის დავალიანებამ "თეცისადმი", რომელიც "საქგაზს" (იგივე "იტერას") ეკუთვნის, მილიონნახევარ ლარს მიაღწია. თავის მხრივ, "საქგაზს" დაუგროვდა 560 ათასი ლარის საგადასახადო დავალიანება ბიუჯეტისადმი. საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის თანახმად, ინსპექციამ "თეცის" საბიუჯეტო დავალიანების ამოღება მისი დებიტორი კომპანიისაგან სცადა. როგორც საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ჩახნაშვილი აცხადებს, ყადაღის დადება ყოველგვარი იურიდიული ნორმების დაცვით მოხდა.

**"ჩვენ აგვისტოდან ვაწარმოებთ უშუალო მოლაპარაკებებს საბითუმო ბაზართან ამ ვალის დაფარვაზე. რამდენჯერმე მივაღწიეთ კიდეც შეთანხმებას ვალის თანდათანობით, გრაფიკის მიხედვით გადახდაზე, თუმცა, ბოლო მომენტში ბაზარმა როგორც ყოველთვის გვიმტყუნა და ბიუჯეტში თანხები არ გადმორიცხა. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ყადაღისთვის მიგვემართა, რის შესახებაც შევატყობინეთ კიდეც წინასწარ,"** - აცხადებს ვახტანგ ჩახნაშვილი.


*დავით მირცხულავა*


*ავთანდილ ჯორბენაძე*

საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიუთითებს, რომ ინსპექციას ენერგეტიკის ობიექტებისადმი ლოიალური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა, რაც იმან განაპირობა, რომ, ქვეყანაში არსებული კრიზისული მდგომარეობის გამო, ენერგეტიკა პრიორიტეტულ სფეროდაა აღიარებული. ჩახნაშვილი აცხადებს, რომ ამ პრივილეგიებით ენერგეტიკული კომპანიები ბოროტად სარგებლობენ. მისი თქმით: **"საბითუმო ბაზარს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ცხრა მილიონ ლარამდე დავალიანება მართებს. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევითა და შუამდგომლობით, ჩვენ ამ ვალის რესტრუქტურიზაცია მოვახდინეთ. მიუხედავად ამისა, ბაზარს მაინც უჩნდება პრეტენზიები საგადასახადო დეპარტამენტის მიმართ."**

ჩახნაშვილი ამბობს, რომ ამგვარი შუამდგომლობა მთავრობის მხრიდან არც ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამორიცხული, რადგან, როგორც ცნობილია, ალბერტო სოლისმა სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა უკვე ჩააყენა საქმის კურსში. შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის წინაშე საკმაოდ დილემური საკითხი დგას. წლის ბოლო ახლოვდება და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ციებ-ცხელებაც მატულობს. ახლა საგადასახადო დეპარტამენტის მიერ ამოღებული ყოველი თეთრი მთავრობისთვის პოზიციების შენარჩუნების საშუალება ხდება, მეორე მხრივ, იგი ვეღარაფრით დაუშვებს, ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, ქვეყანაში შარშანდელი მასობრივი სახალხო გამოსვლების განმეორებას. ეს მისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

# უმცროსი ალიევი პრეზიდენტობისთვის ემზადება

პირველი გვერდიდან

ნება მომეცით კიდევ ერთხელ დავადასტურო, რომ აზერბაიჯანი მიისწრაფვის საერთაშორისო საზოგადოებაში მზარდი ინტეგრაციისაკენ და ერთგულია დემოკრატიის პრინციპებისა. ჩვენ ამ გზიდან არ გადავუხვევთ".

ეს სტანდარტული ტექსტი, რომლითაც თავს იწონებენ ხოლმე პოსტსაბჭოთა ლიდერები დასავლური აუდიტორიების წინაშე გამოსვლისას, ამოღებულია აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პირველი ვიცე-პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის, ევროსაბჭოში აზერბაიჯანის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელის, პარტია "ახალი აზერბაიჯანის" თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მოკლედ - პრეზიდენტის ვაჟის ილჰამ ალიევის გამოსვლიდან ვაშინგტონში, ჯონს-ჰოპკინსის უნივერსიტეტში.

ოქტომბრის ბოლოს ამერიკაში ვიზიტისას, უმცროსი ალიევი ვაშინგტონში მრავალ ცნობილ და გავლენიან ადამიანს ესტუმრა, მათ შორის ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის, ენერგეტიკის მინისტრ სპენსერ აბრაჰამს, სახელმწიფო მდივნის მოადგილეს რიჩარდ არმიტიჯს და ბევრ სხვას. მის პატივსაცემად გამართულ წვეულებას თითქმის ყველა მსხვილი ნავთობკომპანიის ხელმძღვანელობა დაესწრო.

ვაშინგტონში ის კარგად მიიღეს "ილჰამ ალიევი ძალზე პატრიოტულად და დახელოვნებულად საუბრობდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მთიან ყარაბაღს ეხებოდა. როგორც აზერბაიჯანის მეგობარმა, შემიძლია გულღიად გითხრათ, როდესაც მე მის საჯარო გამოსვლებს ვესწრებოდი, ვფიქრობდი, რომ ძალზე სასიამოვნო იყო იმისი მოსმენა, რა პროფესიულად ცდილობდა იგი აზერბაიჯანის საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესებას," — ამბობს ბრენდა შაფერი, ჰარვარდის კასპიის კვლევების ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი.



ილჰამ და ჰეიდარ ალიევები.

"დიქტატორებისგან ინტერვიუს აღებას მრავალი უხერხული ასპექტი აქვს. მათ დამათრობელი ხელისუფლება აქვთ, ბრწყინავენ სიამაყისაგან, რადგან შეუძლიათ ადამიანებს მფარველობა გაუწიონ, და შეუძლიათ ახლომყოფთა მიმართ ძალზე მომხიბვლელნი იყვნენ. როდესაც მათ პოლიტიკურ ლაბირინთებში გარკვევას ცდილობ, შეიძლება გაგიჩნდეს გრძნობა, რომ სრულიად უზრდელი ხარ," — წერს კლაუდია როსე, "უოლსტრიტ ჯორნელის" ჟურნალისტი, რომელიც ვაშინგტონში შეხვდა ალიევს. თუმცა, ილჰამ ალიევი ჯერ დიქტატორი არ არის. მამამისი, რომელიც ამჟამად 79 წლისაა, აცხადებს, რომ 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც აპირებს კენჭისყრას (აზერბაიჯანელი იურისტების მტკიცებით, ეს სავსებით კანონიერია, რადგან, მისი პირველი საპრეზიდენტო ვადა, რადგან იგი ახალი კონსტიტუციის მიღებამდე დაიწყო, "არ ითვლება"). 2008 წელს, როდესაც ალიევს პრეზიდენტობის ვადა ამოეწურება, ის უკვე 85 წლის იქნება, და როგორც ბევრი ამტკიცებს, მშვიდად გადასცემს ხელისუფლებას თავის ერთადერთ ვაჟს – ილჰამს.

ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან აზერბაიჯანი, ჯერჯერობით, ერთადერთია, რომელმაც ხელისუფლების გადაცემის "მემკვიდრეობითი" გზა აირჩია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების ლიდერებს ჯერ ძალაუფლების ტრანზიციის საერთოდ არავითარი მექანიზმი არ შეუმუშავებიათ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ზოგი საერთოდ არ აპირებს ხელისუფლებიდან წასვლას, ზოგს კი მიაჩნია, რომ მექანიზმმა შეიძლება მათ საწინააღმდეგოდაც იმუშაოს.

ხელისუფლების გადაცემის პრობლემას პოსტ-საბჭოთა სივრცის თითქმის ყველა ექსპერტი ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში შესაძლო დესტაბილიზაციის ერთ-ერთ უპირველეს მიზეზად მიიჩნევს. ბევრი შიშობს, რომ ამ პროცესმა შეიძლება არა მარტო დემოკრატიზაციის პროცესი, არამედ თავად სახელმწიფოთა არსებობაც დააყენოს ეჭვქვეშ, იმდენად, რამდენადაც, დსთ-ს სახელმწიფოთა უმეტესობა მათი ლიდერების თარგზეა გამოჭრილი. თუმცა, როგორც ჩანს, პრობლემა უფრო ღრმაა, და არა მხოლოდ ლიდერებს, არამედ საზოგადოებასაც ეხება.

სამწუხაროდ, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ხელისუფლების მშვიდობიანი და მეტ-ნაკლებად დემოკრატიული გზით გადაცემა უკვე მოხდა (ელცინი-პუტინი, კრავჩუკი-კუჩმა, შუშკევიჩი-ლუკაშენკო, ტერ-პეტროსიანი-კოჩარიანი, ლუჩინსკი-ვორონინი), ახალმა ლიდერებმა, პრინციპში, ვერ გაამართლეს მათზე დამყარებული იმედები. ჩამოთვლილთაგან, პრაქტიკულად, არც ერთმა თავისი საქმიანობის მთავარი აქცენტი დემოკრატიზაციაზე არ გააკეთა.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ თავისუფლება არ აღმოჩნდა ამ ქვეყნების მოქალაქეთათვის მთავარი ღირებულება? ძნელი სათქმელია.

სადაც ხელისუფლების გადაცემა ჯერ კიდევ არ მომხდარა, მომავლის კონტურები ნელ-ნელა იკვეთება. აზერბაიჯანში, როგორც ჩანს, უმაღლესი ხელისუფლება მამიდან შვილს გადაეცემა. შუა აზიაში კი, ჯერ შეიძლება პრეზიდენტებად არ იბადებიან, მაგრამ პრეზიდენტებად კვდებიან.

სამწუხაროდ, ყოფილი კომუნისტური ქვეყნები უფრო მეტად გვანან ერთმანეთს, ვიდრე ეს თვითონ სურთ, რომ აღიარონ. ისიც არ არის გამორიცხული, რომ, რა გზითაც არ უნდა მოხდეს ხელისუფლების გადაცემა, შედეგი მაინც ერთი იქნება. (საუბარია მაინც, ალბათ, მოკლევადიან პერსპექტივაზე). თუ ლიდერების ცვლა, ვითარებას დიდად არ ცვლის, ბუნებრივად ჩნდება კითხვა ის, რომ ამ ქვეყნებში თევზი თავიდან ყარს, არავისათვის არ არის საიდუმლო, რამდენად ყარს იგი ბოლოდანაც?

## მოკლედ

**მოსკოვი**. გუშინ რუსეთის "გოსატომნადზორის" ხელმძღვანელმა იური ვიშნევსკიმ ოფიციალურად დაადასტურა რუსეთის ბირთვული ობიექტებიდან ურანის დაკარგვის ფაქტები. მისი თქმით, დაკარგულია რამდენიმე გრამი სამხედრო დანიშნულებისა და რამდენიმე კილოგრამი მცირედგამდიდრებული ურანი. გარდა ამისა, მისი თქმით, დაცვამ რამდენჯერმე აღკვეთა უფრო დიდი ოდენობის სამხედრო დანიშნულების ურანის არალეგალურად გაყიდვის ფაქტი. გუშინვე ტანზანიის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ქვეყანაში დააკავეს 110 კილოგრამი მცირედგამდიდრებული ურანი, რომელიც სავარაუდოდ, მეზობელი კონგოს საბადოებიდან შემოიტანეს.

■ ■ ■

**მინსკი**. ბელორუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს, როგორც ჩანს, ძალიან უნდა ნატო-ს პრაღის სამიტზე მოხვედრა, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ეს თავად ალიანსს.

მას შემდეგ, რაც ჩეხეთის ხელმძღვანელობიდან გავრცელდა ხმები, რომ პრაღამ შესაძლოა უარი უთხრას ლუკაშენკოს ვიზის მიცემაზე, ბელორუსის პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, ჩეხეთის შანტაჟი დაიწყო. მან განაცხადა, რომ თუ ვიზას ვერ მიიღებს, ჩეხეთი ბელორუსში სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც დაკარგავს პოზიციებს. "ჩვენ უმოკლეს ვადაში მოვახდენთ უმკაცრეს რეაგირებას,"- განცხადა მან, - "ევროპელები ჩვენთან კი არ მოვლენ, მუხლებზე მოხოხდებიან და გვთხოვენ, ევროპა ნარკოტიკებისა და უკანონო ემიგრანტებისაგან დაიცვათ".

ამავე დროს, იგი რუსეთს სთხოვს თანამშრომლობას. "რუსეთმა უნდა მკაცრი და პრინციპული პოზიცია დაიკავოს. ჩვენ ნატო-სთან ურთიერთობაში ყოველთვის ერთად გამოვდიოდით. ახლა კი რუსებს უნდათ, ნატო-ს პირისპირ შეგვატოვონ".

ლუკაშენკოს მხურვალე ტირადებმა არც მოსკოვზე გაჭრა და არც პრაღაზე.

პრაღის რადიოთი გამოსვლისას, ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ცირილ სვობოდამ განაცხადა: იმის ალბათობა რომ ლუკაშენკო ვიზას ვერ მიიღებს, მაღალია. მართალია, ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული, მაგრამ ხელისუფლებას განზრახული აქვს სამიტზე მისი არდაშვება. თანაც, საქმე ეხება მხოლოდ ლუკაშენკოს, სხვა ნებისმიერი მინსკელი დიპლომატი ვიზას ყოველგვარი გართულებების გარეშე მიიღებს. რაც შეეხება პრეზიდენტის განცხადებას, სვობოდამ აღნიშნა, რომ ეს კიდევ უფრო არწმუნებს ჩეხეთის ხელისუფლებას თავისი გადაწყვეტილების სისწორეში.

ერთ-ერთი წინა სამიტის დროს, ლუკაშენკომ ისარგებლა მცველთა უყურადღებობით, მივიდა კლინტონთან, ხელი ჩამოართვა და ერთი-ორი სიტყვა უთხრა. ამის შემდეგ ორი თვე მინსკის ყველა ტელეარხი ატრიალებდა ამ კადრებს და "პრეზიდენტებს შორის მეგობრულ ატმოსფეროში გამართულ ხანგრძლივ და ნაყოფიერ შეხვედრაზე" საუბრობდა.

ლუკაშენკო უკვე მეორე აღმოსავლეთევროპელი პრეზიდენტია კუჩმას შემდეგ, რომელსაც ნატო-მ უბოდიშოდ მოუხურა კარი.

■ ■ ■

**ავღანეთი.** საფრანგეთი და აშშ, რომლებმაც უახლოეს ნახევარ წელიწადში ორი ათასი ავღანელი ჯარისკაცის მომზადება ითავეს, ავღანეთში ახალი შეიარაღებული ძალების შექმნას გეგმავენ. ამის შესახებ, საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენლების ინფორმაციაზე დაყრდნობით სააგენტო "ფრანს პრესმა" განაცხადა. ამ ორმა სახელმწიფომ 2009 წლისათვის 60-ათასიანი ავღანური არმიის ჩამოყალიბება დაისახა მიზნად. დღეისათვის უკვე შექმნილია ოთხი ბატალიონი - თითოეულში 300-500 ჯარისკაცი ირიცხება. მეხუთე ავღანური ბატალიონი ფორმირების პროცესშია. ნოემბრის დასაწყისში ფრანგმა სამხედრო სპეციალისტებმა მეექვსე ბატალიონის ჩამოყალიბება დაიწყეს. ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, თუ როგორ და რა სახით გაგრძელდება აღნიშნული პროცესი. **"ჩვენ განვიხილავთ სხვადასხვა ვარიანტს, მათ შორისაა ავღანეთში სამხედრო სპეციალისტების და კადრების იმ დონეზე მომზადება, რომ მომავალში მათ თავად შეძლონ საკუთარ ქვეყანაში შეიარაღებული ძალების თანამედროვე დონეზე ფორმირება და გაწვრთნა," -** განაცხადა საფრანგეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წარმომადგენელმა - გენერალმა ანდრე სუბირუმ, რომელმაც გუშინ ქაბულში თავისი ვიზიტი დაასრულა. მან იქ საფრანგეთის შეიარაღებული ძალების კონტინგენტი მოინახულა. ამ აზრს მისი სხვა კოლეგებიც ეთანხმებიან. **"თუ ჩვენ ავღანელი სამხედრო ინსტრუქტორების მომზადებას გადავწყვეტთ, პროცესი გაცილებით სწრაფად გაგრძელდება,"-** აღნიშნა ფრანგმა პოლკოვნიკმა ბერნარ რამბომ.

რაც შეეხება ამერიკელებს, მათ უახლოეს კვირეებში ავღანეთის მომავალი ეროვნული არმიის ნაწილების წვრთნის დაწყების შესახებ უკვე მიიღეს გადაწყვეტილება. ამერიკელი ინსტრუქტორები ავღანელებს უშუალოდ ანტიტერორისტული მიზნებისათვის მოამზადებენ. ამერიკელი გენერლის ბენჯამინ მიქსონის თქმით, ამ მისიაში, დაახლოებით, ასი შეიარაღებული ავღანელი ჯარისკაცი მიიღებს მონაწილეობას. ანტიტერორისტული მიზნების გარდა, ამერიკელების და ფრანგების მიერ გაწვრთნილ და აღჭურვილ ავღანურ არმიას ნარკოტიკების მწარმოებლების წინააღმდეგ ბრძოლაც დაეკისრება.

■ ■ ■

**სიდნეი.** გუშინ ავსტრალიის ქალაქ სიდნეის ქუჩები, პრაქტიკულად, პარალიზებული იყო. ანტიგლობალისტებმა, ქალაქში დაგეგმილი მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციების წევრი ქვეყნების ვაჭრობის მინისტრთა შეხვედრის გამო, მასობრივი საპროტესტო მანიფესტაციები გამართეს. აქციები ჩატარდა სიდნეის ცენტრალურ ობიექტებთან და შენობებთან, აშშ-ს საკონსულოს ჩათვლით, რომელიც ცენტრალურ მარტინ პლეის მოედანზე მდებარეობს. საპროტესტო გამოსვლებს თავიდან მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, თუმცა შემდეგ პოლიციასთან მსხვილმასშტაბიან შეტაკებაში გადაიზარდა. ქალაქის პოლიციამ 15 ადამიანი დააპატიმრა, მათ შორის - სამი ქალი, რომელთაც აშშ-ს საკონსულოსთან შეერთებული შტატების დროშა დემონსტრაციულად დაწვეს. აქციის მონაწილეები, გლობალიზაციის გარდა, ერაყში აშშ-ს სამხედრო კამპანიის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ.

■ ■ ■

**ეგვიპტე.** ქაიროში უმსხვილეს პალესტინურ ორგანიზაციებს "ფათჰსა" და "ჰამასს" შორის ოთხდღიანი კონსულტაციები დასრულდა. ყატარის ტელეკომპანია "ალ-ჯაზირას" ცნობით, ამ დაჯგუფებათა წარმომადგენლებმა შეხვედრაზე ერთობლივი განცხადება მიიღეს - "ფათჰი" და "ჰამასი" "ისრაელის აგრესიის და პალესტინის ოკუპაციის წინააღმდეგ" ბრძოლის გაგრძელების პირობას დებენ. გარდა ამისა, ორივე ორგანიზაცია შეთანხმდა, ყველანაირად შეუწყონ ხელი პალესტინელი ხალხის "ეროვნული ერთობის" შენარჩუნებას. აღსანიშნავია, რომ განცხადებაში არაფერია ნათქვამი ისრაელის ტერიტორიაზე უკანასკნელ დღეებში განხორციელებული ტერაქტების შესახებ.




# ჩინეთის 76 წლის პრეზიდენტმა ხელისუფლება ახალი თაობის ლიდერებს დაუთმო

*გუშინ ჩინეთის მმართველი კომუნისტური პარტიის ლიდერმა და ქვეყნის ხელძღვანელმა ძიან ძემინმა თანამდებობა დატოვა. ის პარტიის მე-16 ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში აღარ შეიყვანეს. თუმცა, ამის სურვილი თავად ძიან ძემინსაც არ ჰქონდა. წინა ცენტრალური კომიტეტის წევრებიდან, ერთადერთი პიროვნება, ვინც ახალ კომიტეტში აირჩიეს, ჩინეთის ვიცე-პრეზიდენტი 59 წლის ჰუ ძინტაოა, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ჩინეთის ახალი ლიდერი სწორედ ის გახდება. ძიან ძემინი და ძველი პოლიტბიუროს დანარჩენი ხუთი წევრი ჩინეთის კომპარტიის ყრილობის 2100-მა დეპუტატმა მხურვალე ოვაციებით გააცილა ხელისუფლების ავანსცენიდან. ამდენად, ჩინეთში ძიან ძემინის ეპოქა დასრულდა. უმაღლესი პარტიული პოსტიდან მის გადადგომას მალე ჩინეთის ლიდერობიდან წასვლაც მოჰყვება, რაც 2003 წლის მარტში დაგეგმილ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობაზე ოფიციალურად გაფორმდება.*



ძიან ძემინი

ლევან ღირსიაშვილი

76 წლის ძიან ძემინთან ერთად კომპარტიის პოლიტბიუროს წევრობა მისმა ხუთივე თანამებრძოლმა დატოვა. ყველა მათგანი თითქმის ერთი თაობის წარმომადგენელია: ლი პენი (74 წლის), ჩჟუ ჟუნცზი (74 წლის), ლი ჟუიხუანი (68 წლის), ვეი ძიანსინი (71 წლის), ლი ლალცინი (70 წლის). ძიან ძემინმა ყრილობის წინაშე სიტყვით გამოსვლისას დელეგატებს 66-მილიონიანი პარტიის სათავეში ახალი თაობის პოლიტიკოსების მოსვლა მიულოცა. **"პარტიის ძველი ცენტრალური ხელმძღვანელობის ახლით შეცვლა წარმატებით განხორციელდა,"-** განაცხადა ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ.

ძიან ძემინი პარტიის და ქვეყნის სათავეში ჩინეთის ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პერიოდში მივიდა. ეს იყო დრო, როდესაც 1989 წლის ზაფხულში პეკინში, ტიანანმენის მოედანზე სტუდენტური საპროტესტო გამოსვლები შეიარაღებული ძალით ჩაახშეს, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ბუნებრივია, ამის შემდეგ მმართველი პარტიის და ხელისუფლების რეიტინგი მოსახლეობაში საკმაოდ დაეცა. თუმცა, ძიან ძემინმა არა მარტო საკუთარი გავლენის და ძალაუფლების გამყარება შეძლო, არამედ ჩინეთში მასშტაბური სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებაც მოახერხა. თვით ის მოქალაქეებიც კი, ვინც ძიან ძემინის მიმართ აშკარა სკეპტიციზმს და უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ, იძულებულნი გახდნენ, ეღიარებინათ, რომ ქვეყნის ლიდერად ძემინის არჩევა ჩინური რეფორმების პატრიარქის, დენ სიაოპინის გონივრული და შორსგამიზნული ნაბიჯი იყო.

ძიან ძემინის პოლიტიკური კარიერა უმაღლეს პარტიულ ეშელონებში 1982 წლის სექტემბრიდან იწყება, როდესაც ის პირველად შევიდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგებში. უკვე ხუთი წლის შემდეგ ის პოლიტბიუროს წევრი გახდა, ხოლო 1989 წლის ივნისიდან კი პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტის წევრად და პარტიის გენერალურ მდივნად აირჩიეს. 1990 წელს ძიან ძემინი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეობდა. 1993 წელს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობაზე მან ჩინეთის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა.

მიუხედავად იმისა, რომ ძიან ძემინის მმართველობის ხანა ჩინეთისათვის საკმაოდ სასარგებლო გამოდგა და მისი მთავრობა დიდი სიმპათიებით სარგებლობდა, ის გადადგა. მასთან ერთად დატოვეს თანამდებობები მისმა თანამებრძოლებმაც და ჩინეთის სხვა ლიდერებმაც. მიზეზი მარტივია - ჩინეთში ერთი ძალიან კარგი კანონი არსებობს, რომლის მიხედვითაც - იმ სახელწმიფო მოხელეებმა და მაღალი თანამდებობის პირებმა, ვინც 70 წელს გადააბიჯა, პოსტები უნდა დატოვონ და ქვეყნის მართვის საშუალება ახალ თაობას მისცენ. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ძიან ძემინმა საბოლოოდ შეძლო ჩინეთში პიროვნების კულტის იმ ტრადიციის აღმოფხვრა, რომელიც, ჯერ კიდევ მაო ძე დუნის სურვილით, "პირველი თაობის" კომუნისტების დროს შეიქმნა. "მესამე თაობის" ძემინმა თავისი ბავშვობის სახლზე მემორიალური დაფის ჩამოკიდებაზეც კი კატეგორიული უარი განაცხადა.

ამდენად, ჩინეთის კომპარტიის რიგით მე-16 ყრილობა ამ ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში შევა, როგორც უმნიშვნელოვანესი პარტიული ფორუმი, რომელზეც 70 წლის ასაკს გადაცილებული "მესამე თაობის" ლიდერებმა გზა ახალ თაობას დაუთმეს.

# არგენტინას ახალი დეფოლტი ემუქრება

*არგენტინის ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, გადაუხდის თუ არა 800 მილიონ ამერიკულ დოლარს მსოფლიო ბანკს. არგენტინის ეკონომიკის მინისტრი რობერტო ლავანია ამჟამად ვაშინგტონში იმყოფება, სადაც ის მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან დაძაბულ მოლაპარაკებებს აწარმოებს. ორივე ორგანიზაციამ არგენტინას ფინანსური სახსრების გამოყოფა მას შემდეგ შეუწყვიტა, როდესაც გასულ წელს ოფიციალურმა ბუენოს-აირესმა საკუთარი ქვეყანა საგარეო ვალების გადახდის უუნაროდ გამოაცხადა. განხორციელდება თუ არა კიდევ ერთი დეფოლტი?*

ლევან ღირსიაშვილი

არგენტინის საგარეო ვალების მთლიანი მოცულობა, დაახლოებით, 140 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს. საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებსა და არგენტინის მთავრობის წარმომადგენლებს შორის ათთვიან მოლაპარაკებებს არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. მათ საკუთარი პოზიციების დაახლოებაც კი ვერ მოახერხეს. აღსანიშნავია, რომ თუ არგენტინა ამ ეტაპზე მსოფლიო ბანკისათვის 800 მილიონი ამერიკული დოლარის გადახდას ვერ მოახერხებს, ამ ქვეყანას საზღვარგარეთის ქვეყნებისგან არანაირი ფინანსური დახმარების იმედი აღარ უნდა ჰქონდეს, რაც, თავის მხრივ, სამხრეთ ამერიკის რეგიონში, კერძოდ კი - არგენტინის მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკური ვითარების გართულებასაც გამოიწვევს.

ბი-ბი-სი-ს ცნობით, არგენტინის ცენტრალურ ბანკს შეუძლია აღნიშნული თანხის მსოფლიო ბანკისთვის გადახდა, ოღონდ მას მთელი ხაზინის დაცარიელება მოუწევს. ასეთ შემთხვევაში კი, არგენტინის მთავრობამ ქვეყნის ეროვნული ვალუტის – პესოს კურსის სტაბილურობაზეც უარი უნდა თქვას. ეს იმ დროს, როდესაც არგენტინის ეროვნული ფული ისედაც უფასურდება და მის გადასარჩენად დამატებითი ღონისძიებებია განსახორციელებელი. არსებობს სხვა გამოსავალიც - კერძოდ, არგენტინამ, მსოფლიო ბანკთან მოლაპარაკებებით, ან ვალის გადახდის გადავადების უფლება მოიპოვოს, ანდა, "კეთილი ნების გამოვლენით", თანხის პროცენტის სახით მხოლოდ 280 მილიონი დოლარი გადაიხადოს.

უნდა ითქვას, რომ ასეთი შემთხვევების დროს საერთაშორისო სავალუტო ფონდი ქვეყნის მთავრობას კომუნალური მომსახურების სფეროზე გადასახადების და ტარიფების გაზრდას სთავაზობს ხოლმე. ეს მეთოდი, პოლიტიკური თვალსაზრისით, მთავრობისათვის, რასაკვირველია, მიუღებელია და დიდ რისკთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით იმ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის, თითქმის, ნახევარი სიღარიბეში ცხოვრობს, ხოლო შრომისუნარიანი მოქალაქეების ერთი მესამედი უმუშევარია. ექსპერტების ვარაუდით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არგენტინის ხელისუფლება საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინადადებას მიიღებს და ასეთ არაპოპულარულ ნაბიჯებს გადადგამს, ამ გადაწყვეტილებას სასამართლო ხელისუფლების ორგანოები აუცილებლად დაბლოკავენ. გასათვალისწინებელია მთავრობის რეიტინგის ფაქტორიც. უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, არგენტინის პრეზიდენტს ედუარდო დუალდეს მოსახლეობის, დაახლოებით, 10 პროცენტი უჭერს მხარს. ამდენად, არგენტინის მთავრობა საგონებელშია და, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება. მოსახლეობა კი ახალი კრიზისის მოლოდინშია. ერთადერთი, ვისაც არგენტინის ხსნა შეუძლია - ისევ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებია.

# „აქ აშენდება ტაძარი წმიდა მეფისა თამარისა"

მაია მოლიაშვილი

**"ეს ისტორიული დღეა, ეკურთხა ადგილი, სადაც აშენდება ტაძარი წმიდის მეფისა თამარისა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აქ ახლოს საზღვარია და თამარ მეფე იქნება მფარველი არა მარტო ამ საზღვრის, არამედ საერთოდ საქართველოს საზღვრებისა. ამასთან ერთად, ეს იქნება სათაყვანებელი ადგილი არამარტო ქართველთათვის, არამედ ყველა ადამიანისათვის, ვინც აქ გაივლის. მე როგორც ვიცი, თვითონ აზერბაიჯანელებიც დიდ პატივს სცემენ თამარ მეფეს. ასე რომ, ეს მართლაც სასიამოვნო და სასიხარულოა. ღმერთმა ინებოს, რომ წმიდა მეფის, თამარის შუნგენით აქ მალე აშენდეს ტაძარი,"** - ამ სიტყვებით მიმართა გუშინ წითელ ხიდთან შეკრებილ საზოგადოებას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან, წითელი ხიდის მიმდებარე ამაღლებულ ბორცვზე მართლმადიდებლური ეკლესიის აშენების იდეა პირველად იქ მომუშავე მებაჟეებს გაუჩნდათ. პროექტისათვის მათ ქვემო ქართლის არქიტექტურის სამხარეო სამსახურის უფროსს, ლადო ხმალაძეს მიმართეს, რომელმაც იდეაში "შეწირული" შეიტანა და მხოლოდ ეკლესია კი არა, მთელი სამონასტრო კომპლექსი დააპროექტა.

**"ეს კომპლექსი სამების ტაძარზე არანაკლები მნიშვნელობის იქნება თავისი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობით, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ადგილი ქრისტიანულ სამყაროში შემომავალი პირველი ზღურბლი და კარიბჭეა. მშენებლობა ეტაპობრივად განხორციელდება. პირველად წმინდა მეფე თამარის სახელობის ეკლესია აიგება მრევლისათვის, შემდეგ - მთლიანად კომპლექსი, რომელშიც შევა მცირე ეკლესია მონასტერში მცხოვრებ ბერთათვის, ასევე აშენდება სამრეკლო, კელიები და საპატრიარქოს რეზიდენცია. კომპლექსი 1300 კვ. მეტრს მოიცავს, რასაც დაემატება 4-5 ჰექტარი სამეურნეო ზონისათვის,"** - განაცხადა ხმალაძემ, რომელიც ერთად პროექტზე საპატრიარქოს არქიტექტორთან მუშაობდნენ.

არქიტექტორთა აზრით, კომპლექსის აგება, დაახლოებით, 6-7 მილიონი ლარი დასჭირდება. თანხა შემოწირულობებით შეგროვდება. ტაძრისათვის საძირკვლის ჩაყრას გაზაფხულზე აპირებენ და მშენებლობა, სავარაუდოდ, 3-4 წელს გასტანს. წითელი ხიდის საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის, გივა ხვიჩიას თქმით, მებაჟეების დიდი სურვილი იყო აქ ქრისტიანული ეკლესიის აგება, რადგან წითელი ხიდიდან იწყება ქრისტიანული სამყარო.

**"ჩვენ, როგორც სახელმწიფო სტრუქტურა, არანაირ ფინანსებს არ ვფლობთ, მაგრამ ყველანაირად შევეცდებით, რომ მოინახოს სპონსორი, შემოწირულობები საბაჟო სამსახურის მხრიდან. ჩვენ გვქონდა საუბარი იმპორტიორებთან, რომლებიც ხიდზე მოძრაობენ და თავისი ბიზნესი აქვთ. არამარტო ქრისტიანი, არამედ სხვა სარწმუნოების მქონენიც დადებითად შეხვდნენ ამას და გარკვეულ შემოწირულობებსაც გაიღებენ,"** - განაცხადა წითელი ხიდის საბაჟოს უფროსმა. მისივე თქმით, საბაჟოზე უკვე არსებობს შემოწირულობების ყუთი, სადაც გაღებული თანხა მოგროვდება და შემდეგ სპეციალურად შექმნილ ფონდში გადაირიცხება.

# განათლების სისტემაში კულტურა პრიორიტეტი არ არის

*კულტურის მუშაკთა ასეთი წარმომადგენლობითი ფორუმი საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ პირველად მოეწყო. ფორუმის მოწვევის მთავარი მიზეზი იყო ის ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც სახელოვნებო განათლების სფეროში წლების მანძილზე დაგროვდა და აუცილებელ გადაწყვეტას მოითხოვს.*

ეთერ ჩიგოგიძე

გუშინ კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა სახელოვნებო განათლების წარმომადგენელთა ფორუმი, რომელიც კულტურის სამინისტროს განათლების დეპარტამენტმა მოაწყო. დარგში არსებული პრობლემების მიზეზად კულტურის მუშაკები საკანონმდებლო ბაზას მიიჩნევენ: ქვეყანაში მოქმედი არც ერთი კანონი არ ითვალისწინებს სახელოვნებო განათლებას, როგორც დარგს, ის ნახსენებია, როგორც "დამატებითი". მართვის ყველა ფუნქცია განათლების სამინისტროს ხელშია, რაც, ხელოვნების დარგის სპეციფიკის გამო, მართვას ფორმალურ ხასიათს აძლევს.

ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ განათლების სისტემა უნდა იყოს ერთიანი, რომელიმე სფეროს პრიორიტეტულად გამოყოფა არასწორად მიაჩნია. მან არ გაიზიარა ფორუმის მონაწილეთა ზოგიერთი შენიშვნა ფინანსთა სამინისტროს მისამართით და აღნიშნა, რომ პედაგოგთა ხელფასების 30 პროცენტი მატება ეხებოდა კულტურის დარგის მუშაკებსაც.

პარლამენტის განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დავით კოღუაშვილმა დასვა შეკითხვა: როგორ გადავარჩინოთ კულტურა და თავადვე უპასუხა: ქალბატონი სესილი უნდა დავნიშნოთ ფინანსთა მინისტრად. მან სრული მხარდაჭერა გამოხატა იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებსაც კულტურის სამინისტრო ახორციელებს. მანვე გმირობა უწოდა მანანა დოიჯაშვილის მიერ კონსერვატორიისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებას. ევროსაბჭოს ექსპერტმა იან ბრაუნმა კულტურის უდიდეს მნიშვნელობაზე პრაქტიკული მაგალითები მოიყვანა. "კულტურა არ არის ფუფუნება. ის, რაც აერთიანებს ერს, არის კულტურა", - თქვა მან.

"გვინდა, ხელისუფლებას, საზოგადოებას ახსოვდეს, რომ არსებობს ასეთი დარგი - სახელოვნებო განათლება, რომელიც მეორე პლანზეა", - თქვა კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ. შემდეგ მან ხელფასების გათანაბრებასა და პროგრამულ დაფინანსებაზე ისაუბრა. ეს არის ახალი დამკვიდრებული ფორმა ევროპაში, ეს არის ის, რისი გაკეთებაც აუცილებელია. რაც შეეხება განათლების სამინისტროსთან ურთიერთობას, მინისტრმა აღნიშნა, რომ ერთიან სივრცეს მხარს უჭერს, მაგრამ მათ უნდა მოუსმინონ ჩვენს პრობლემებს. მისი აზრით, "კულტურა მხოლოდ დეკლარირებულია პრიორიტეტად, მაგრამ სახელმწიფოში კულტურა არ არის პრიორიტეტი".

# „მოგვისმინეთ, გაგვამხნევეთ და იმოქმედეთ!"

## უნარშეზღუდული ადამიანები სახელმწიფოს ყურადღებას ითხოვენ

*ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი გუშინ სავსე იყო. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (ინვალიდთა) და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია იქ პირველ ფორუმს მართავდა. "XXI საუკუნე ყველასთვის" - ასეთი იყო გუშინდელი შეხვედრის დევიზი.*

მაკა ჯაიანი


*პირველ ფორუმზე ფილარმონიაში*

XXI საუკუნის დადგომას საქართველოში მცხოვრები უნარშეზღუდული ადამიანები ვერაფრით გრძნობენ. გასულ საუკუნეში ითქვა და საერთაშორისო დოკუმენტებშიც ჩაიწერა, ამ ადამიანებს ყველა პირობა უნდა შეექმნას იმისთვის, რომ საზოგადოების დანარჩენ წევრებს გაუთანაბრდნენო. ჩვენს ქვეყანაში ეს პრინციპი დაცულია, ოღონდ, ჩვენებურად - აქ, თითზე ჩამოსათვლელების გარდა, ყველა სიღარიბის, დაუცველობისა და უიმედობის ნიშნითაა გათანაბრებული. გუშინდელ შეკრებაზე ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. ნაცვლად იმისა, რომ უსინათლო, ყრუ-მუნჯი, ჯანმრთელობის სხვა პრობლემების მქონე ადამიანები ხელისუფლებას მათი პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებას კი არა, ელემენტარულს სთხოვდნენ: სამსახურს, რომ შიმშილით არ დაიხოცონ, შესაძლებლობას, რომ ქუჩაში ხელგაშვერილები არ იდგნენ. "ჩვენ მათხოვრები არა ვართ. ჩვენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები ვართ. მოგვეცით ღირსეულად ცხოვრების საშუალება!" - ითხოვენ ისინი.

მათი მდგომარეობის გამო სახელმწიფო მწუხარებას გამოთქვამს. ეს წუხილი გუშინ ერთიმეორის მიყოლებით გამოხატეს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფო მინისტრმა და ქვეყნის პრეზიდენტმა.

*ნინო ბურჯანაძე:* "ბოდიშს გიხდით, პარლამენტშიც კი ვერ შევძელით, ისეთი გარემო შეგვექმნა, თავისუფლად გადაადგილების საშუალებას რომ მოგცემდათ. დადგა დრო, თქვენთან მიმართებაში სოციალური პოლიტიკა შეიცვალოს. სახელმწიფომ ყველა პირობა უნდა შექმნას საზოგადოებაში თქვენი სრულფასოვანი ინტეგრირებისთვის."

*ავთანდილ ჯორბენაძე:* "ბოდიშს გიხდით, რომ სახელმწიფო ვერ გაძლევთ იმ მაქსიმუმს, რაც მისგან უნდა მიიღოთ. დღეს ბიუჯეტი 66 მილიონს ხარჯავს თქვენი კატეგორიის ადამიანებისთვის, მაგრამ, სულ ცოტა, 57 მილიონი კიდევ არის საჭირო."

*ედუარდ შევარდნაძე:* "თქვენი ტკივილი არ არის მუდმივი ტკივილი, მისი განკურნება შეიძლება. იგი ჩემი ტკივილიცაა - ჩემი უფროსი ძმა მოძრაობაშეზღუდული დაიბადა. მე მშვენივრად მესმის თქვენი."

მიუხედავად ამისა, ხელისუფალთა თანაგრძნობა მხოლოდ თანაგრძნობას ჰგავდა. სახელმწიფო მინისტრმა იმ პროგრამების ჩამოთვლაც კი დაიწყო, რომელსაც სახელმწიფო უნარშეზღუდული ადამიანების დაცვის სახელით ახორციელებს. ეს აშკარა დისონანსს ქმნიდა თავად უნარშეზღუდული ადამიანების გამოსვლებთან. გაუსაძლისი ცხოვრებით შეწუხებულნი, ისინი მორიდებით უჩიოდნენ ხელისუფლების უყურადღებობას, ხელისუფლება კი, ლამის თავს იწონებდა, - რაც ასე დაბალი საბიუჯეტო შემოსავლების პირობებში თქვენთვის გავაკეთეთ, ცოტა არ არისო. თითქოს, სხვისი დამსახურებაა, საქართველოს ბიუჯეტი რომ წელში ვერა და ვერ გაიმართა. უნარშეზღუდულ ადამიანებს არ სჭირდებათ იმის შეხსენება, რომ მათი მდგომარეობა ბიუჯეტის შევსებაზეა დამოკიდებული. ისინი ამაზე ფიქრობენ. გუშინდელ ფორუმზე მათ საბიუჯეტო პრობლემის გადაწყვეტის ერთი გზაც მოხაზეს, თუმცა, მათ ინიციატივას ქვეყნის პირველი პირები დიდად არ აღუფრთოვანებია.

ეს ინიციატივა საავტომობილო საწვავის რეალიზების აღრიცხვის პრინციპულად ახალი მეთოდის დანერგვას გულისხმობს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (ინვალიდთა) და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის წინადადებით, სახელმწიფომ ბენზინგასამართ სადგურებში მოგებიანი ბილეთების - სპრინტის გაყიდვა უნდა დაიწყოს. საწვავის ჩასასხმელად მისული მძღოლი 50 თეთრად ყიდულობს სპრინტს და იქვე სინჯავს. მოგების შემთხვევაში, მონაგებს იღებს, წაგების შემთხვევაში კი, ამ ბილეთით ხელში, ბენზინს, საერთო ღირებულებაზე 75 თეთრით ნაკლებ ფასში ისხამს. ამ შემთხვევაში, წაგებული მძღოლი 25 თეთრს იგებს. 25 თეთრით მოგებული რჩება ბენზინგასამართი სადგურიც - საგადასახადო სამსახურები სპრინტის თითო ტალონს მისგან 1 ლარის ფასად იბარებენ. მოგებულია საგადასახადოც, რადგან ეს ბილეთები სახელმწიფოში რეალიზებული ბენზინის რეალურ რაოდენობას აფიქსირებენ. თამაშდება ეს ბილეთებიც და, წაგებულებს, მოგების კიდევ ერთი შანსი უჩნდებათ.

ავტომანქანების მფლობელთათვის ამ წამოწყებაში მიუღებელი არაფერი უნდა იყოს. საკითხავია, ამჯობინებენ თუ არა შეჩვეულ ათასებს 25-თეთრიან მოგებას ბენზინის საქმეში კარგად გაწაფული ქართველი ჩინიანი თუ უჩინო ბიზნესმენები. ქვეყნის პრეზიდენტმა კოალიციის ინიციატივაზე აზრის გამოთქმა არ იჩქარა, - ეს საკითხი იმ სამთავრობო კომისიაზე დავსვათ, რომელსაც, თქვენს საკითხებთან დაკავშირებით, აუცილებლად შევქმნით. ახალი კომისიის შექმნა ერთადერთი იყო, რასაც პრეზიდენტი ფილარმონიაში შეკრებილებს ნამდვილად დაჰპირდა. სხვა - საქართველოში მცხოვრები 250 ათასი უნარშეზღუდული ადამიანისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება, მათ დასასაქმებლად მეწარმეთათვის სავალდებულო კვოტის შემოღება, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და სიღარიბის დაძლევის სამწლიან პროგრამაში უნარშეზღუდული ადამიანების პრობლემატიკის მაქსიმალური გათვალისწინება - მსჯელობის საგანია. საქართველოში უყვართ მსჯელობა...

# ლეიბორისტები ტარიფის შემცირებას მოითხოვენ

*დღეისთვის დანიშნულ საკრებულოს პირველივე სხდომაზე ლეიბორისტული პარტია მოითხოვს, თბილისის თვითმმართველობის ორგანოებში შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია, რომელსაც ელექტროენერგიაზე არსებული ტარიფისა და ძველი დავალიანებების საკითხების კანონიერების შესწავლა დაევალება.*

ეთერ მამულაშვილი

გუშინ საკრებულოს ფრაქცია "ლეიბორისტმა", დედაქალაქის ენერგოსისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ სპეციალური შეხვედრა გამართა. ლეიბორისტები ელექტროენერგიის ძველი დავალიანებების გადახდის შეჩერებასა და მომატებული ტარიფის შემცირებას მოითხოვენ. ფრაქციის თავმჯდომარის, გიორგი გუგავას თქმით, ელექტროენერგიაზე ტარიფი გაიზარდა საკრებულოს ძველ შემადგენლობასთან შეუთანხმებლად, რაც იურიდიულად უკანონოა.

მისივე განცხადებით "ეი-ი-ეს თელასმა" და ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ ელექტროენერგიაზე ტარიფი ხელოვნურად გაზარდეს. "გაზრდილ ტარიფს მოსახლეობის უმრავლესობა ვერ გადაიხდის და მათი მიზანიც სწორედ ეს არის. "ეი-ი-ეს თელასი" ელექტროენერგიას სხვა ქვეყნებში უფრო ძვირად და სარფიანად გაყიდის", - გვითხრა გუგავამ.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) სამოქალაქო უფლებათა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ პაატა ვარდოსანიძემ განაცხადა, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფის ზრდის საკითხი კომპეტენტურმა პირებმა შეისწავლეს და მასში უკანონო არაფერია. ძირითადი მიზეზი, რის გამოც ელექტროენერგიის საფასური ცამეტ თეთრამდე გაიზარდა, "ეი-ი-ეს" კორპორაციის მიერ სერიოზული ინვესტიციების განხორციელება იყო. უკანასკნელ წლებში "ეი-ი-ესმა" თბილისის ენერგოსისტემაში, დაახლოებით, 250 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

ლეიბორისტები ფიქრობენ, რომ ამ რაოდენობის ინვესტიციების ჩადება აუცილებელი არ იყო. სპეციალურ საგამოძიებო კომისიას ამ საკითხის შესწავლაც დაევალება.

"ეი-ი-ეს თელასის" ლობისტი ირაკლი მელაშვილი აცხადებს, რომ "ეი-ი-ეს"-ს ინვესტიციები უკანონოდ არ განუხორციელებია, რადგან, 1998 წლის დეკემბერში სახელმწიფოსა და "ეი-ი-ეს" კორპორაციას შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ინვესტიციების რაოდენობა განსაზღვრული არ ყოფილა.

გუშინდელ შეხვედრაზე ლეიბორისტები ელექტროენერგიაზე დაგროვილ ძველ დავალიანებებსაც შეეხნენ. გუგავას თქმით: "იმ ქვითრებზე, რომლებსაც დღეს მოსახლეობა იღებს, არარეალური ციფრებია დაფიქსირებული. როგორ შეიძლება, მოსახლეობას 300-400 ლარის დავალიანება ჰქონდეს, როცა იმ წლებში, მთელ საქართველოში, ელექტროენერგია დღე-ღამეში მხოლოდ ორი-სამი საათით მიეწოდებოდა".

ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის 2001 წლის განკარგულებით, 1999 წლის იანვრის შემდეგ დაგროვილ დავალიანებას მოსახლეობა ეტაპობრივად გადაიხდის. ხოლო 1999 წლამდე არსებულ ვალებზე სემეკმა დროებითი მორატორიუმი გამოაცხადა.

ლეიბორისტებმა რამდენიმე თვის წინ საკონსტიტუციო სასამართლოში "თელასის" პრივატიზაციის კანონიერებაზე სარჩელი შეიტანეს. ლეიბორისტთა ლიდერი, შალვა ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის ის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც "თელასი" და საქართველოს სხვა ენერგოობიექტები გასხვისდა, არაკონსტიტუციურია.

21 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლო ლეიბორისტთა სარჩელის განხილვას იწყებს.

ხვალ საკრებულოს ლეიბორისტული ფრაქცია მთავრობისა და ქალაქის მერის იმპეჩმენტის საკითხს დააყენებს. გარდა ამისა, მოითხოვს ელექტროენერგიის ტარიფისა და დაგროვილი დავალიანების საკითხების გამოძიებისთვის სპეციალური კომისიის შექმნას. ამის შესახებ დღეს საკრებულოს სხდომაზე ფრაქცია "ლეიბორისტის" თავმჯდომარემ გიორგი გუგავამ განაცხადა.

დღევანდელ სხდომაზე კი ლეიბორისტებმა ენერგოსისტემაში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად სათბობენერგეტიკის სამინისტროს, ანტიმონოპოლიური სამსახურის, ენერგეტიკის საქალაქო სამსახურისა და სემეკის წარმომადგენლები და საკუთარი ამომრჩევლები მოიწვიეს, თუმცა, ამ უწყებებიდან საკრებულოში მხოლოდ სემეკისა და ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები გამოცხადდნენ.

ლეიბორისტებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ ტარიფი დისკრიმინაციულია და, მის გაზრდასთან ერთად, ენერგომომარაგება არ გაუმჯობესებულა. ამდენად, აუცილებელია მისი შემცირება. ლეიბორისტები ასევე აუცილებლად მიიჩნევენ დაგროვილი დავალიანების საკითხის მოწესრიგებას. როგორც კავკას-პრესს სემეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსმა პაატა ვარდოსანიძემ განუცხადა, სემეკი მზად არის, ყველა მასალა მიაწოდოს კომისიას, რომელიც შეიქმნება, თუმცა, ტარიფის შემცირება ამ ეტაპზე წარმოუდგენელია.

# დევნილები დანგრეულ შენობაში ცხოვრებას არჩევენ

*მანამდეც ავარიული და მიწისძვრისგან უარესად შერყეული შენობები ნელ-ნელა იშლება. თვე არ გავა, ერთ-ერთი მათგანი მაინც არ ჩამოინგრეს. მერია აცხადებს, რომ დაზარალებულებს, შეძლებისდაგვარად, ეხმარება და დანგრეული ბინების აშენებამდე რისი შეთავაზებაც შეუძლია, არ იშურებს. თუმცა, დაზარალებულთა ნაწილი ამ შეთავაზებებით იმდენად უკმაყოფილოა, რომ ისევ თავის დანგრეულ ბინაში ცხოვრებას არჩევს და დაბზარულ კედლებს ყოველდღე შიშით შეჰყურებს.*

ნანა ქადაგიშვილი



*ასე გამოიყურება პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ე.წ. "არამიანცის") ერთ-ერთი კორპუსი, სადაც ლტოლვილები ცხოვრობენ*

პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ე.წ. "არამიანცის") ერთ-ერთ კორპუსში, თავის დროზე, დევნილები რომ შესახლდნენ, ეს შენობა ჯერ კიდევ მაშინ იყო დასანგრევი. ექიმებს დევნილები გაუფრთხილებიათ, მანდ ცხოვრება ძალზე საშიშიაო. თუმცა, უსახლკაროდ დარჩენილი ხალხი აქ დღემდე ცხოვრობს. ამასობაში ზოგმა ბინა იყიდა და წავიდა, მათი ადგილი კი სასწრაფოდ სხვებმა დაიკავეს. ამჟამად კორპუსში 65 ოჯახია. ეს შენობა მიწისძვრამდეც ისე გამოიყურებოდა, შიგნით შესვლის შეგეშინდებოდა. არავის ეგონა, მიწისძვრას თუ გადაურჩებოდა. კორპუსი კი გადარჩა, მაგრამ შემოწმებაზე მისულმა მშენებლობის სამინისტროს კომისიამ გარედან შეხედვითაც კი მესამე კატეგორიის ავარიულად მიიჩნია და იქ მცხოვრებლებს ურჩია, სასწრაფოდ გასახლებულიყვნენ. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მათ რამდენიმე ადგილას შესთავაზა თავშესაფარი, მაგრამ დევნილებმა იქ გადასვლაზე უარი განაცხადეს.

მერიას და სამინისტროს სურთ, შეარჩიონ ისეთი შენობა, რომელშიც 65-ვე ოჯახი დაეტევა. დევნილები ცალ-ცალკე და ნელ-ნელა რომ გავიყვანოთ, გასახლებულთა ადგილს სხვები დაიკავებენ და დამატებითი პრობლემა შეგვექმნებაო. სამინისტრომ საავადმყოფოს კორპუსში მცხოვრებ დევნილებს თავშესაფარი ჯერ საგარეჯოში შესთავაზა. უარი რომ მიიღო, დიდი შენობები აეროპორტის ტერიტორიასა და გლდანის მე-7 მიკრორაიონში გამოძებნა. "წითელი ჯვრის" დახმარებით, სარემონტო სამუშაოებსაც ატარებს, მაგრამ დევნილთა უმრავლესობას არც იქ სურს გადასვლა. "რა თქმა უნდა, მუდმივ შიშში ყოფნას გლდანში ცხოვრება ჯობს, მაგრამ, გადასვლაზე მე რომ დავთანხმდე, ჩემი ბევრი მეზობელი არ დათანხმდება. აქ მეტროსთან ახლოს ვართ და მგზავრობა ნაკლები გვიჯდება. გლდანსა და აეროპორტის ტერიტორიაზე რომ გადავიდეთ, სამჯერ მეტი დაგვეხარჯება. თანაც, 10 წლის მანძილზე აქ ხალხმა საცხოვრებელი, ასე თუ ისე, მოიწყო. ზოგმა სამი ოთახი შეიერთა, საკუთარი ტუალეტი და აბაზანა გაიკეთა. სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ შენობებში კი ყველაფერი თავიდან არის გასაკეთებელი. აეროპორტის ტერიტორიაზე მოძებნილი შენობა ვნახეთ, სველი წერტილები და წყალიც კი არ იყო. თუ შენობა მაინც უნდა მოგვიცემა, [illegible] საავადმყოფოს ეზოში ნახევრად აშენებული კორპუსი მოგვიწყონ. ამ შენობას საავადმყოფოსთვის აშენებდნენ, მაგრამ, უსახსრობის გამო, მშენებლობა შეჩერდა, მხოლოდ კარკასია გაკეთებული", - ამბობენ დევნილები.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, თბილისში მცხოვრები 95 ათასი დევნილიდან 45 ათასი კომპაქტურად არის ჩასახლებული. მათ მიერ დაკავებული ხუთი შენობა (პირველი კლინიკური საავადმყოფოს ზემოთ აღნიშნული კორპუსი, საბავშვო ბაღ "ცისარტყელას" შენობა, ყოფილი პოლიციის შენობა ცოტნე დადიანის ქუჩაზე, ქარხანა "მეგობრობის" ადმინისტრაციული შენობა და ნორჩ ნატურალისტთა სადგური) მესამე კატეგორიის ავარიულია. დანარჩენი 56 კი - მეორე კატეგორიისა. თუმცა, ამ 56-დანაც ბევრი დღეს უკვე მესამე კატეგორიის ავარიული იქნება. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, "წითელი ჯვრის" დახმარებით, გლდანსა და აეროპორტის ტერიტორიაზე მდებარე ზემოთ აღნიშნული შენობების გარდა, ყოფილი ქარხნის - "ორიონის" შენობაში რამდენიმე სართულსაც არემონტებს და იქ მესამე კატეგორიის ავარიულ შენობებში მცხოვრებთა შესახლებას აპირებს. თუმცა, ამ შენობებში ყველა მათგანი ვერ დაეტევა და, თანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრი ქალაქის გარეუბნებში გადასვლაზე უარს აცხადებს. ამის გამო, უთავშესაფროდ 45 ოჯახი რჩება. "ყველა შენობა, რომელშიც დევნილებს თავშესაფარი გამოვუყავით, გარემონტდება და ელემენტარული საცხოვრებელი პირობები იქნება. სხვა საშუალება არც სამინისტროს აქვს და არც მერიას. ყველაზე უკეთესი აფხაზეთში დაბრუნებაა, მაგრამ მანამდე, რისი საშუალებაც გვაქვს, იმით ვეხმარებით", - აცხადებს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგისტრაციის განყოფილების უფროსი ელგუჯა გიორგაძე.

ასე რომ, ავარიულ შენობებში მცხოვრებ დევნილებს აფხაზეთში დაბრუნებამდე ერთადერთი გამოსავალი აქვთ - რასაც ხელისუფლება სთავაზობს, იმას დასჯერდნენ. თბილისის ცენტრში, დაშლის პირას მისულ შენობებში ყოფნას, ქალაქის გარეუბნებში, მყარ შენობებში ცხოვრება ნამდვილად სჯობს.

# დამალული თუ დაკარგული ჩეჩენი

## ლტოლვილი ქალი დაკარგულ შვილს ეძებს, უშიშროება - გაქცეულ დამნაშავეს

*ჩეჩენი ლტოლვილი ქალი უშიშროების იზოლატორიდან გაუჩინარებულ შვილს ეძებს, ხოლო უშიშროების სამინისტრო გამომძიებლები ეი ხელწერილით გათავისუფლებულ, საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისა და საბუთების გაყალბებაში ბრალდებულ ახალგაზრდა ჩეჩენს ეძებენ. დაკარგული შვილი და ძებნილად გამოცხადებული ერთი და იგივე პიროვნებაა – 23 წლის ჰუსეინ იუსუპოვი, რომლის ადვოკატებიც მის გაუჩინარებას ექსტრადირებული ხუთი ჩეჩნიდან ერთის სიკვდილის თაობაზე გავრცელებულ და შემდეგ უარყოფილ ცნობას უკავშირებენ.*



იუსუპოვის დედის სახელით ნოდარ ნათაძე საუბრობს.

სოფიკო ჩხაიძე

ჩვენი ინფორმაციით, ჰუსეინ იუსუპოვი 20 სექტემბერს დააკავეს. მისი დაკავების საფუძველი ხელახალი რეგისტრაციის არქონა და, შესაბამისად, ლტოლვილის ვადაგასული მოწმობა გახდა. დაკავებული იუსუპოვი თბილისში, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტულ ცენტრში გადმოიყვანეს. მოგვიანებით მისი საქმის ძიებას უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შეუდგა და წაუყენეს კიდეც ბრალი საბუთების გაყალბებისა და საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისთვის.

**"საბუთების გაყალბებაში" გამოძიება ლტოლვილის ძველი მოწმობის ქონას გულისხმობს, საზღვრის "უკანონოდ გადაკვეთაში" კი იმას, რომ ამ მოწმობით რამდენჯერმე გადავიდა აზერბაიჯანში და უკან დაბრუნდა",** - ასე აგვიხსნა გამოძიების მიერ იუსუპოვისთვის წარდგენილი ბრალდებები მისმა ერთ-ერთმა ადვოკატმა ალექსანდრე გულიაშვილმა.

უშიშროების სამინისტროში ამტკიცებენ, რომ მიუხედავად საკმაოდ სერიოზული ბრალდებისა, იუსუპოვისთვის აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდება არ მოუთხოვიათ და მხოლოდ ხელწერილის დაწერა აკმარეს, რომლის თანახმადაც, იგი გამოძიების პირველივე დაძახებისთანავე უნდა გამოცხადებულიყო.

**"ჰუსეინ იუსუპოვი უშიშროების საგამოძიებო სამსახურს 23 სექტემბერს გადაეცა, 25-ში კი იგი გათავისუფლეს. მან ხელწერილს ხელი მოაწერა საკუთარი ადვოკატის თანდასწრებით, ჩაიბარა პირადობის დამადასტურებელი საბუთები და წავიდა. ამის შემდეგ ჩვენ მასზე პასუხისმგებლობას ვიხსნით",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა.

საპირისპიროს ყვებიან იუსუპოვის დედა - აიბან იუსუპოვა და მისი ნდობით აღჭურვილი პირები, ჩეჩნურ-კავკასიური კომიტეტის წევრებისა და სახალხო ფრონტის ლიდერის სახით.

**"25 სექტემბერს შვილმა დედას დაურეკა და უთხრა, რომ ათავისუფლებდნენ. ქალი მაშინვე გაეშურა ანტიტერორისტული ცენტრის შენობისკენ. უკვე შენობასთან მდგომს შვილმა კვლავ დაურეკა და ისევ უთხრა, რომ გამოდიოდა. ქალი გვიან ღამემდე იდგა შენობასთან; თუმცა, შვილი არც იმ დღეს, არც მას შემდეგ აღარ უნახავს",** - განაცხადა ნოდარ ნათაძემ, რომელსაც ჰუსეინ იუსუპოვის მნიშვნელოვან ფიგურად მიჩნევის საფუძველს აძლევს მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ამ მოწმობის თანახმად, ორი წლის წინათ ჰუსეინ იუსუპოვი იჩქერიის პრეზიდენტთან არსებული წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა საქმეების შემსწავლელ სახელმწიფო კომისიაში, კომპიუტერების მთავარ სპეციალისტად მუშაობდა. იუსუპოვის წარსულს უკავშირებენ ნოდარ ნათაძე და ჩეჩნურ-კავკასიური კომიტეტის წარმომადგენლები მის გაუჩინარებას და ფიქრობენ, რომ იგი რუსეთის გარკვეული ინტერესების სფეროში ექცეოდა; ამიტომ, შესაძლოა, უკვე იყოს კიდეც რუსეთისთვის გადაცემული, ან მისი ექსტრადირება მზადდებოდეს. სულ სხვა ახსნას უძებნიან იუსუპოვის გაუჩინარებას უშიშროების სამინისტროში. ნიკა ლალიაშვილი:

**"ჰუსეინ იუსუპოვის გათავისუფლებიდან ორიოდ დღეში დედამისმა გვაცნობა, რომ მისი შვილი დაიკარგა და ამის გამო გამოძიებას უყენებს პრეტენზიებს. იუსუპოვის დაკარგვა ერთადერთ რამეს შეიძლება მიეწეროს – იგი თავს არიდებს გამოძიებას, იმალება. შვილის მაძებარი დედა კი მას უბრალოდ ხელს აფარებს. იუსუპოვის დაკარგვის შესახებ ცნობას უშიშროების სამინისტროს გამომძიებელთა ადეკვატური რეაგირება მოჰყვა. გამომძიებლები ჩავიდნენ დუისში, სადაც იუსუპოვი ცხოვრობდა. იგი იქ მართლაც არ აღმოჩნდა, რაც სრული საფუძველი გახლდათ იმისათვის, რომ გამოძიებას სასამართლოსთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა და იუსუპოვისთვის პატიმრობის შეფარდება მოითხოვა. სასამართლომ ეს თხოვნა დააკმაყოფილა. იუსუპოვს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა და ახლა მასზე ძებნა გამოცხადებული".**

რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ და შემდეგ საოლქოს მიერ ძალაში დატოვებულ გადაწყვეტილებას, ჰუსეინ იუსუპოვისთვის პატიმრობის შეფარდების თაობაზე, ფორმალობად მიიჩნევს ბრალდებულის ადვოკატი ალექსანდრე გულიაშვილი. მეტიც, მისი თქმით, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება პროცესუალური ნორმების დარღვევით მოხდა. იუსუპოვის დამცველებმა, მისი უფლებების დარღვევის გამო, უკვე მიმართეს ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს. მათი სარჩელის შინაარსი ჩვენთვის უცნობია, რადგან ადვოკატები სტრასბურგში გადაწყვეტილების მიღებამდე რაიმე კომენტარისგან თავს იკავებენ. თუმცა, ჩვენთან საუბარში ალექსანდრე გულიაშვილმა მაინც თქვა:

**"ჩვენ სხვადასხვა ვერსიები გვაქვს იუსუპოვის გაუჩინარებასთან დაკავშირებით. ყველა მათგანის დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, თუმცა, ერთს კი ვიტყვი: არ გამოვრიცხავთ, რომ იუსუპოვით იმ ჩეჩენის ჩანაცვლება მოხდა, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთში ექსტრადირებისას თვითმფრინავში გარდაიცვალა".**

# რამდენიმე დღეში საპროკურორო ციებ-ცხელება დაიწყება

*ქვეყანაში დაწყებული სამართლებრივი რეფორმის მეორე ეტაპი, სასამართლო რეფორმის შემდეგ, პროკურატურის სისტემის რეფორმა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ერთის მხრივ, თავად პროკურატურის წარმომადგენელთა წინააღმდეგობამ და მეორეს მხრივ, ქვეყანაში რეფორმისათვის საჭირო სახსრების არარსებობამ, სასამართლო ხელისუფლების მეორე შტოს რეფორმა რამდენიმე წლით გადაწია.*

თამარ კაციტაძე

საბჭოური პროკურატურა რომ რეფორმას საჭიროებდა, ამას პროკურორები სიტყვიერად აღიარებდნენ, მაგრამ რეფორმისათვის აუცილებელი პირობა - გამოცდის ჩაბარება სტაჟიან პროკურორებს შეურაცხმყოფელად მიაჩნდათ. თუმცა, საბოლოოდ, როგორც ჩანს, მთავარმა კანონდამცველებმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და ტესტირების სახით გამოცდის ჩაბარებასაც დათანხმდნენ.

შესაძლებელია, პროკურატურაში კვლავ არიან საკუთარი ცოდნის საჯაროდ აფიშირების წინააღმდეგნი, მაგრამ იუსტიციის საბჭოში შესული განცხადებების რაოდენობიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს პროკურატურის გარეშე დარჩენა არ უწერია, როგორც ამას რამდენიმე წლის წინ თავად მოქმედი პროკურორები წინასწარმეტყველებდნენ. დღეისათვის პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სურვილი პროკურატურის 730-მა თანამშრომელმა გამოთქვა. სულ კი საბჭოში გამოცდის ჩაბარების მსურველთა 1300 განცხადებაა შესული. თუმცა, განცხადებების მიღება 22 ნოემბრამდე გრძელდება და, სავარაუდოდ, "აბიტურიენტთა" რაოდენობაც გაიზრდება.

**"პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მიზანია თანამშრომელთა ცოდნის შეფასება და არა სისტემაში წმენდის დაწყება, როგორც ზოგიერთი ფიქრობს. ქვეყანაში ჩატარდა სასამართლო რეფორმა და, თუ მას პროკურატურის რეფორმაც არ მოჰყვება, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში სამართლებრივი რეფორმა საბოლოოდ არ შედგა. პროკურატურაში გამოცდების ჩატარებას და, საერთოდ, რეფორმების დაწყებას ელოდებიან საერთაშორისო ორგანიზაციებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ყოველგვარ დახმარებაზე უარს იტყვიან. არადა, ქართულ პროკურატურას ნამდვილად სჭირდება ფინანსური უზრუნველყოფა",**- აღნიშნა ჩვენთან საუბარში იუსტიციის საბჭოს მდივანმა ზურაბ აბაშიძემ.

ასეა თუ ისე, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულია. სამომავლოდ პროკურატურაში მუშაობის მსურველთ პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ხუთ საგანში მოუწევთ – სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსები, საკონსტიტუციო და სასჯელაღსრულებითი სამართალი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონი. როგორც იუსტიციის საბჭოს მდივანმა განაცხადა, ტესტები შედგენილია იურისპრუდენციაში მოქმედი მეცნიერების, პროკურორებისა და მოსამართლეების მიერ. ორი თვით ადრე გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ის ათასი ტესტი და მათი სწორი პასუხები, რომელსაც პირველ ეტაპზე გამსვლელები ჩააბარებენ.

პროკურატურის მუშაკთა პირველი საკვალიფიკაციო გამოცდები მიმდინარე წლის ნოემბერში დაიწყება და 2004 წლის ბოლომდე გაგრძელდება. ვინაიდან ტესტირებაზე გამსვლელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, ამიტომ 22 ნოემბრამდე შესული განცხადებების მიხედვით შედგება 250-კაციანი ჯგუფები. პირველი გამოცდა, რომელიც, სავარაუდოდ, პარლამენტის დარბაზში ჩატარდება, 30 ნოემბერს არის დანიშნული, შემდეგ 7 დეკემბერს, 25 იანვარს, 1 და 5 თებერვალს. იუსტიციის საბჭოს მდივნის განცხადებით, "გამოცდაზე პირველად გასვლის პრივილეგია თავად პროკურატურის თანამშრომლებს მიენიჭებათ, რადგან ამ ტესტირებას მაინც პროკურატურის მუშაკთა გამოცდა ჰქვია, შემდეგ კი დანარჩენი მსურველებიც შეუერთდებიან".

გამოცდას ჩაიბარებს ათკაციანი კომისია. აქედან ხუთს წარადგენს იუსტიციის საბჭო, ხუთს კი თავად გენერალური პროკურორი. გამოცდამდე ათი დღით ადრე კომისიის წევრებს პრეზიდენტი დაამტკიცებს. თუმცა, აბაშიძის მტკიცებით, პროკურორთა ბედს უშუალოდ მაინც კომპიუტერი გადაწყვეტს. **"გამოცდებისთვის შევქმენით სპეციალური პროგრამა. გამოცდის წინ კომპიუტერი ათასი ტესტიდან შეარჩევს ას ტესტს და გადაეცემა გამოსაცდელს, რომელიც ამ პროცესს თავისი თვალით უყურებს. ტესტებს საბოლოოდ ისევ კომპიუტერი შეამოწმებს. ვფიქრობთ, ამგვარი მექანიზმი გამოცდების გაყალბების ან ჩაწყობის ყველანაირ ეჭვს გამორიცხავს,"** – ამტკიცებს იუსტიციის საბჭოს მდივანი. გარდა კომპიუტერული კონტროლისა, გამოცდების დამკვირვებლად მოწვეულები იქნებიან როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებიც.

გამოცდების წესის მიხედვით "აბიტურიენტმა" ასი ტესტიდან სწორი პასუხი 75-ს მაინც უნდა გასცეს. ტესტების სწორი პასუხები გამოცდის დასრულებისთანავე გამოცხადდება. ჩაჭრილებს შეუძლიათ შედეგები კომისიაში გააპროტესტონ. ტესტირებაში ჩაჭრილ პროკურორებს ამ ეტაპზე განმეორებით გამოცდაზე გასვლა ეკრძალებათ, თუმცა, მომავალ ეტაპებზე, როცა ახალი ტესტები შედგება, მათ განმეორებით კვლავ შეუძლიათ გამოცდაზე გასვლა. თუ კვლავ ვერ მიაღწევენ შედეგს, შეუძლიათ საკუთარი თავი კვლავ გამოსცადონ, და ასე დაუსრულებლად...

პროკურორთა საკვალიფიკაციო გამოცდებში ბევრი საინტერესო დეტალია, მაგრამ განსაკუთრებით ერთ საკითხზე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ. როგორც ზურაბ აბაშიძემ აგვიხსნა, იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურის რომელიმე თანამშრომელი გამოცდას ვერ ჩააბარებს, მის თანამდებობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება, ანუ, თუ გენერალური პროკურორის სურვილიც იქნება, იგი კვლავ ძველ თანამდებობაზე დარჩება. გამოცდაჩაბარებულ და გამოცდაჩაუბარებელ პროკურორს შორის განსხვავება მხოლოდ სერთიფიკატი იქნება.

ერთი სიტყვით, რამდენიმე დღეში საპროკურორო ციებ-ცხელება დაიწყება, რომელსაც გენერალური პროკურორი, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები და პროკურატურის ის თანამშრომლები გადაურჩებიან, რომლებსაც სამეცნიერო ხარისხი ან სამოსამართლეო გამოცდები აქვთ ჩაბარებული.

ტესტირებაზე გასვლა გენერალური პროკურორის ორ მოადგილეს - გიორგი თვალავაძეს და გია ჯიქიასაც მოუწევთ. ბადრი ბიწაძე მოსკოვში დაცულმა დისერტაციამ გადაარჩინა, ვენედი ბენიძე კი - სამოსამართლეო გამოცდის წარმატებით ჩაბარებამ.

# ჩეჩნეთში წითელი ჯვრის წარმომადგენლები გაიტაცეს

ჩეჩნეთში მორიგი ხმაურიანი დანაშაული მოხდა. ნიღბებით სახედაფარულმა, შეიარაღებულმა პირებმა გროზნოს რაიონიდან გაიტაცეს საერთაშორისო ორგანიზაცია "წითელი ჯვრის" ჩრდილო კავკასიის კომიტეტის ორი თანამშრომელი "წითელი ჯვრის" წარმომადგენლების მანქანებს, რომლებსაც ჩეჩნეთში ჰუმანიტარული დახმარება მიჰქონდათ, თავდამსხმელებმა გზა გადაუკეტეს და გაჩერება აიძულეს. გამტაცებლებმა ერთი მძღოლი და ორგანიზაციის ერთი თანამშრომელი გაათავისუფლეს, ხოლო დანარჩენი ორი მძევლად აიყვანეს. გამტაცებლებმა თან წაიყვანეს ტყვედაყვანილი ალექსანდრა პანევასა და მუსუ სატუშევას ჯიპი.

ჩეჩნეთის პროკურორის ნიკოლაი კოსტუჩენკოს განცხადებით, დადგენილია გამტაცებელთა ავტომანქანის "ნივის" სახელმწიფო ნომერი. თუმცა, ჯერჯერობით, დაუდგენელია გატაცებულთა ადგილსამყოფელი და გამტაცებელთა ვინაობა. პროკურორმა გატაცების ფაქტის კომენტირებისას საერთაშორისო ორგანიზაციებს შეახსენა, რომ ჩეჩნეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მგზავრობისას მკაცრად დაიცვან უსაფრთხოება: ნუ იმგზავრებენ შეიარაღებული დაცვის გარეშე, რადგანაც ხშირ შემთხვევაში ჩეჩენ ბოევიკთა გადაადგილების გაკონტროლებას ხელისუფლება ვერ ახერხებს, რის გამოც გახშირებულია, როგორც უცხოელებზე თავდასხმები მანქანის გატაცების მიზნით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით.

"წითელი ჯვრის" კომიტეტი თანამშრომელთა გატაცების გამო შეშფოთებულია და რუსი სამართალდამცველებისგან ტყვეების გასათავისუფლებლად სპეცღონისძიებების ჩატარებას კატეგორიულად ითხოვს.

"წითელი ჯვრის" თანამშრომელთა გატაცებამდე ცოტა ხნით ადრე, გუშინ, ჩეჩნეთში, სამართალდამცველებმა დააკავეს საერთაშორისო ორგანიზაცია "ექიმები საზღვრებს გარეშე" წარმომადგენლის კენეტა გლაკას გამტაცებელი. ჩრდილოეთ კავკასიის კონტრტერორისტული ოპერატიული შტაბის წარმომადგენლის განცხადებით, დაკავებულია ახალგაზრდა ჩეჩენი მამაკაცი. ცოტა ხნის წინ სამართალდამცველებმა დააკავეს გლაკას კიდევ ერთი გამტაცებელი. არსებული ინფორმაციით, სულ ცოტა ხნის წინ ტყვეობას თავდაღწეული კენეტა გლაკა გროზნოში მოქმედი აბუბაკარ ჯუმაევის კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა გაიტაცეს. ჯგუფის დიდი ნაწილი რუსი სამხედროების მიერ ჩატარებული ოპერაციისას დაიღუპა.

გლაკას გატაცებაში ასევე ეჭვმიტანილი იყო ჩეჩნეთში მომხდარი თითქმის ყველა გახმაურებული გატაცების ორგანიზატორი, ცნობილი საველე მეთაური ლეჩი ისლამოვიც. მართალია, მას გლაკას გატაცება ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ სხვა ანალოგიური დანაშაულების ორგანიზატორობისთვის პატიმრობა არგუნეს. თუმცა, ისლამოვს რუსეთის უზენაესმა სასამართლომ კრასნოდარის სასამართლოს მიერ მისჯილი 9-წლიანი განაჩენი გუშინწინ შეუცვალა. უზენაესმა სასამართლომ ისლამოვის ადვოკატთა შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ცნობილი გამტაცებლის საქმე კრასნოდარის სასამართლოს ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნა.

სასამართლო დარბაზი

# რამდენიმე მკვლელობაში ბრალდებულს სამუდამო პატიმრობა ელოდება

*„სასამართლო კოლეგიას ვთხოვ, განსასჯელ გივი ნათელაშვილს მიუსაჯოს უვადო პატიმრობა, რადგან მის მიერ ჩადენილი დანაშაულებები შემამსუბუქებელ გარემოებებს არ ითვალისწინებს," – ასეთი იყო პროკურორის საბოლოო სიტყვა გუშინდელ სასამართლო პროცესზე, რომელსაც დაზარალებულთა მრავალრიცხოვანი არმია ესწრებოდა. განსასჯელ გივი ნათელაშვილის მიერ ჩადენილი სერიული დანაშაულებების სასამართლო გამოძიება თითქმის დასასრულს უახლოვდება და განსასჯელიცა და მოკლულთა ჭირისუფლებიც საბოლოო განაჩენს ელოდებიან.*
*გივი ნათელაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდებების ბოლომდე ჩამოთვლას ჩვენ ვერ შევძლებთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, ფაქტობრივად, სისხლის სამართლის კოდექსის მთლიანად მოშველიება დაგვჭირდება.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

საქმე ისაა, რომ ოთხჯერ სასჯელმოხდილ გივი ნათელაშვილს, უმძიმესი ბრალდებებით, უკვე მეხუთედ ასამართლებენ. ანანურელი ნათელაშვილი პირველად ყაზახეთის რესპუბლიკაში გაასამართლეს, მეორედ დუშეთის რაიონულმა სასამართლომ გამოუტანა განაჩენი, რომელიც მიმაგრებით შეუცვალეს და სასჯელის მოსახდელად როსტოვის ოლქში გაამწესეს. მესამედ იგი როსტოვის ოლქში გაასამართლეს ცოლ-ქმრის დახოცვისთვის და სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მსჯავრდებულს ეს განაჩენი ცოტა ხანში 15-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს და რამდენიმე წელში როსტოვის ოლქიდან საქართველოში გამოამგზავრეს. ამასობაში მას ამნისტია შეეხო - სასჯელი გაუნახევრდა, მაგრამ პატიმრობის ვადის გასვლამდე ხუთი წლით ადრე საგარეჯოს კოლონიიდან გაიქცა. მეოთხედ იგი სწორედ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევის გამო გაასამართლეს.

მთლიანობაში, განსასჯელ გივი ნათელაშვილს ამ წლების განმავლობაში ხუთი ადამიანის მკვლელობა ედება ბრალად.

განზრახ მკვლელობები, ქურდობები, განზრახ მკვლელობების მცდელობები – ეს იმ ბრალდებათა მოკლე ჩამონათვალია, რისთვისაც ცოტა ხანში გივი ნათელაშვილს უზენაესი სასამართლო განაჩენს გამოუტანს.

მან ორი უმწეო მოხუცებული მოკლა – ყაჩაღობის კვალის დასაფარად. ორივე მსხვერპლი სახლიდან იძულებით გამოიყვანა, ჯერ სასტიკად სცემა, სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენა და მერე ცოცხალ-მკვდარი მოხუცები მდინარე არაგვში გადაისროლა. "მექანიკური ასფიქსია," – ასეთი იყო ანანურელი მარტოხელა მოხუცის ბაბულია მაჭავარიანისა და ციხისძირელი იაშა კარიაულის ცხედრებზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნები. მარტოხელა მოხუცს, ბაბულია მაჭავარიანს მოძალადემ ჭურჭელი, ხოლო იაშა კარიაულს, 15 ლარი და სანადირო თოფი წაართვა. იაშა კარიაულის დაკარგვა-გაუჩინარების ამბავი ჯერ სოფელში არ იცოდნენ, როცა თავად მკვლელმა მიანიშნა სამართალდამცველებს ის ადგილი, სადაც დაკარგული მოხუცი უნდა ეპოვნათ. საქმე ისაა, რომ კარიაულისთვის წართმეული თოფით ნათელაშვილმა ორი დღის განმავლობაში კიდევ ჩაიდინა მძიმე დანაშაულებები – ყაჩაღობები და განზრახ მკვლელობის მცდელობები. მისგან მიზანში ამოღებული რამდენიმე მსხვერპლი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. სხვისი იარაღის უკანონო ტარებისთვის დაკავებულმა ნათელაშვილმა სამართალდამცველებთან უპრობლემოდ აღიარა რამდენიმე დღის წინ ჩადენილი მკვლელობა და მოხუცი იაშა კარიაულის გვამის ადგილსამყოფელიც გათქვა. არადა, ოჯახის წევრებსა და ახლობლებს კარიაული დაღუპული არ ეგონათ.

სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ პირველი დაკითხვა, როცა ნათელაშვილმა საკუთარი დანაშაულებების შესახებ დეტალურად ისაუბრა, მისი ადვოკატის დასწრებით ჩატარდა და არც არანაირ ზეწოლასა და იძულებას ჰქონია ადგილი. ადვოკატის თანდასწრებით მიცემული აღიარებითი ჩვენება ნათელაშვილმა წინასწარი ძიების სხვადასხვა ეტაპზე, ისევე, როგორც სასამართლო პროცესზე, რამდენიმენაირად შეცვალა. მან საქმეში მეგობარი ქალი ჩართო და მასთან დიდი ხნის რომანის შესახებაც მოუყვა სასამართლო კოლეგიას.

**"57 ბინა მაქვს გაქურდული, ნაქურდალი ამ ქალთან მიმქონდა, ხშირად თავადაც დამყვებოდა ხოლმე სახლებში "სანადიროდ,"–** ასეთი ჩვენება მისცა სასამართლო კოლეგიას გივი ნათელაშვილმა. ავტომატურად გაჩნდა მეგობარი ქალის დანაშაულებში თანამონაწილეობის ეჭვი, რასაც კიდევ უფრო ამყარებს სასამართლო პროცესზე დაკითხული მოწმეებისა და დაზარალებულების ჩვენებები. გუშინ პროკურორმა სწორედ ამ მეგობარი ქალის საქმის ცალკე გამოყოფა და გენერალური პროკურატურისთვის გადაცემა მოითხოვა - ქალის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად.

ერთი სიტყვით, სერიული მკვლელი ჩვენებებს ცვლის. თუმცა, მოსამართლის, დაზარალებულებისა და პროკურორის მიერ დასმულ შეკითხვებს, ის მაინც ჩადენილი დანაშაულების აღიარებამდე მიჰყავს. რაც შეეხება სასამართლო სამედიცინო და ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნებს - განსასჯელი ნათელაშვილი აბსოლუტურად ჯანმრთელი და შერაცხადია.

რას იტყვიან განსასჯელის ადვოკატები და თავად განსასჯელი საბოლოო სიტყვაში, ეს შემდეგ პროცესზე გაირკვევა. განსასჯელის ბოლო სიტყვას კი მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენი მოჰყვება.

## მოკლედ

**თბილისი.** ორი კვირით გადაიდო სასამართლო პროცესი სტავროპოლელი მილიციელების საქმესთან დაკავშირებით. გორის სასამართლოში განიხილებოდა სტავროპოლის მილიციის თანამშრომლების მიხეილ ტიჩკოვის, ვლადიმერ ბლინოვისა და იური უგრიუმოვისათვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხი. მოსამართლე გოჩა გოჩიტაშვილის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილებული იქნა ადვოკატების შუამდგომლობა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ არ იცნობენ საქმის მასალებს და პროცესის გადადება მოითხოვეს. უშიშროებამ სამივე მილიციონერი პანკისის ხეობაში, ივლისის დასაწყისში დააკავა, როცა ისინი საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარს უკანონოდ კვეთდნენ. სასამართლომ მათ სამთვიანი აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა. თავდაპირველად უშიშროება აცხადებდა, რომ სამივე მილიციელი, შესაძლოა, სპეცსამსახურების წარმომადგენლები არიან. თუმცა, მოგვიანებით ეს ბრალდება მოიხსნა და რუსეთის საელჩოს დახმარებით სამივე თავდებით გაათავისუფლეს. შეგახსენებთ, რომ მილიციელებმა საზღვარი ცხინვალის რეგიონთან გადალახეს, სადაც რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის შეღავათიანი პირობები მოქმედებს. რუსი მილიციელების საკითხი კიშინიოვში, საქართველო-რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის დროსაც წამოიჭრა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** კახეთის უშიშროების სამხარეო სამსახურში არ გამორიცხავენ, რომ უახლოეს დღეებში შეიძლება გაათავისუფლონ ერთი წლის წინ გატაცებული ბერი ბასილ მაჩიტაძე. როგორც კახეთის უშიშროების სამსახურის უფროსმა პაატა ბატიაშვილმა განაცხადა, არსებობს ინფორმაცია, რომ ბერი პანკისის ხეობაში ჰყავთ გადამალული. ცნობილია მისი სავარაუდო ადგილსამყოფელი და სერიოზული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს მძევლის გამოსახსნელად. ერთი წლის წინ დაუდგენელმა პირებმა, ბასილ მაჩიტაძესთან ერთად, კიდევ ორი ეკლესიიდან განდგომილი ბერი გაიტაცეს. მოგვიანებით ორი მათგანი გაათავისუფლეს, ხოლო მაჩიტაძე ამ დრომდე მძევლობაში იმყოფება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კახეთის უშიშროების სამხარეო სამსახურის მონაცემებით, ბრიტანელი ბანკირის პიტერ შოუს გატაცებაში ათკაციანი ჯგუფი მონაწილეობდა. როგორც "პრაიმ-ნიუსს" სამხარეო სამსახურის უფროსმა პაატა ბატიაშვილმა განუცხადა, უშიშროებისთვის ყველა ეჭვმიტანილის კონკრეტული ვინაობაა ცნობილი, დადგენილია პანკისის ხეობაში ის ადგილი, სადაც პიტერ შოუ ჰყავდათ დამალული, ცნობილია მისი შემნახველების ვინაობა. თუმცა, როგორც ბატიაშვილი აცხადებს, გამტაცებლებმა შოუს კიდევ რამდენიმეჯერ შეუცვალეს სამალავი. იგი დამნაშავეთა კონკრეტული ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებს იმ მოტივით, რომ ეჭვმიტანილები ჯერ დასაკავებლები არიან. პაატა ბატიაშვილის თქმით, გამტაცებელთა ჯგუფი ინტერნაციონალურია. მის ზოგიერთ წევრს კავშირი აქვს ორი წლის წინ გატაცებული და გასული წლის დეკემბერში გათავისუფლებული ესპანელი ბიზნესმენების საქმესთან. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ლეგიტიმური უშიშროების სამინისტრომ ჯართის ჩაბარების ერთ-ერთ პუნქტში ჩაბარებულ ორ ტყვიაგაუმტარ სეიფში კალაშნიკოვის ტიპის 6 ავტომატი აღმოაჩინა. როგროც გაირკვა, უცნობმა პირებმა ტყვიაგაუმტარი სეიფები ჯართის მიმღებ პუნქტში 60 ლარად ჩააბარეს. თუმცა, თავად პუნქტში არ იცოდნენ სეიფის შემცველობის შესახებ. უშიშროება ადგენს იმ სამი პირის ვინაობას, რომლებმაც სეიფები მიკროავტობუსით მიიტანეს. ასევე ადგენენ იარაღის წარმომავლობას. როგორც უშიშროების მინისტრის მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა განაცხადა, უშიშროებას უკვე აქვს გარკვეული ინფორმაცია ჩამბარებელთა ვინაობის შესახებ. სამინისტროში არ გამორიცხავენ, რომ ასეთი გზით იარაღის საზღვარგარეთ გატანას ცდილობდნენ. "ახლა ტარდება ყველა აუცილებელი პროცედურა, ექსპერტიზა. გამოძიება დაადგენს ყველა გარემოებას, რის შესახებაც საზოგადოებას ეცნობება", - განაცხადა ნაცვლიშვილმა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებისა და ზუგდიდის შს სამმართველოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ე.წ. სასაზღვრო ზოლში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები, რამდენიმეჯერ ნასამართლევი, ზუგდიდის რაიონში მცხოვრებნი: 24 წლის ბადრი ალფენიძე, რომლისგანაც ამოიღეს 9 გრამი მარიხუანა და 1 ხელყუმბარა „ფ-1", 22 წლის ომეხ კუკავა, რომლისგანაც ამოიღეს 8 გრამი მარიხუანა, 27 წლის მანუჩარ ბერნაძე, რომლისგანაც ამოიღეს 25 გრამი მარიხუანა. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის სამხარეო სამსახური. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორის მოადგილემ ვიქტორ კოლმოგოროვმა ხუთშაბათს დაასრულა თავისი ორდღიანი ვიზიტი საქართველოში, მანამდე იგი პანკისის ხეობას ეწვია.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ნიკა ლალიაშვილის თქმით, ვიქტორ კოლმოგოროვს და მის თანმხლებ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ დაეთვალიერებინათ ხეობის ყველა დასახლებული პუნქტი, რათა დარწმუნებულიყვნენ ამ რეგიონში ქართული მხარის მიერ, სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით, გატარებული ღონისძიებების ეფექტურობაში. ნიკა ლალიაშვილმა აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის სპეცსამსახურების ხშირი კონტაქტები ხელს უწყობს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დარეგულირებას. **პრაიმ-ნიუსი.**

# პრინცი



ავთო ჯოხაძე

ჩვენში გავრცელებული სააზროვნო სტერეოტიპის გავლენით, ამა თუ იმ მოვლენის არსის გარკვევას მუდამ ერთი აკვიატებული კითხვით ცდილობენ: ვინ დგას ყოველივე ამის უკან?

არადა, საკითხავი უფრო ის არის, ვინ დგას მოვლენების ეპიცენტრში!

არის ერთი გამორჩეული, თეთრი მელას ეპითეტით მონათლული პიროვნება, რომელიც ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის მთავარი პროტაგონისტია და, ოცდაათი წელიწადია, პოლიტიკური ორომტრიალის შუაგულიდან ფეხი არ მოუცვლია.

პოლიტოლოგებისთვის მელაკუდა კარგად ცნობილი მეტაფორაა, ის ჯერ კიდევ აღორძინების კლასიკოსმა, ნიკოლო მაკიაველიმ დაამკვიდრა, როგორც ტერმინ პრინცის (მთავრის) ნაირსახე.

პოლიტიკურ მოღვაწეთა შეფასების ერთ-ერთი ყურადსაღები მატრიცა ცნობილ ამერიკელ მოაზროვნეს ი. ჯენინქსს ეკუთვნის. მან პოლიტიკოსები სამ ძირითად თანრიგად დაახარისხა: **"ზეკაცებად"**, **"გმირებად"** და **"პრინცებად"**.

ზეკაცები იმ პოლიტიკოსებს ეწოდათ, რომლებიც ძველ ღირებულებებს და დრომოჭმულ სოციალურ წესრიგს ამსხვრევენ და ახალს ქმნიან; გმირები ზეკაცების შემოტანილი მაღალი იდეალების განსამტკიცებლად იბრძვიან, ხოლო პრინცები ყველანაირი საშუალებით ცდილობენ, შეინარჩუნონ ძალაუფლება. ეს მათთვის უზენაესი და **ერთადერთი იდეალია**.

"ზეკაცების" მაგალითად თომას ჯეფერსონი, აბრაამ ლინკოლნი, ფრანკლინ დელანო რუზველტი, ან თუნდაც ვუდრო ვილსონი გამოდგებოდა.

"გმირების" სიაში მარტინ ლუთერ კინგი ან მიხეილ გარბაჩოვი შეგვეძლო ჩაგვერიცხა, თუმცა, ეს უკანასკნელი გმირად, ანუ ჰუმანური პოლიტიკური იდეალების გამტარებლად, დასავლეთის თვალსაწიერიდან თუ შეირაცხება, რუსული თვალსაწიერიდან კი "ზეკაცის" ეპითეტს უფრო იმსახურებს, რადგან პოლიტიკური იდეალები, რომლისკენაც გორბაჩოვმა საჭე მიატრიალა, რუსეთისთვის სრულიად ახალი ხილი იყო; ახალი ღირებულებების შემომტანებს კი ჯენინგსმა "ზეკაცების" მაღალი ტიტული დაუმკვიდრა. თუ დღეს რუსეთში გორბაჩოვზე ასე არ ფიქრობენ, ეს იმიტომ, რომ რუსული სახელმწიფო დასავლური ცივილიზაციის კარიკატურული, გაუკუღმართებული ანარეკლია; დასავლური ღირებულებები აქ ხშირად დიამეტრალურად საპირისპირო შინაარსს იძენს და "ზეკაცი" გორბაჩოვიც რუსების დიდი ნაწილის თვალში დიამეტრალურად საპირისპირო "არაკაცად" გადაიქცა.

ტერმინ პრინცს (ანუ მთავარს) ჯენინქსი, როგორც ჩანს, ნიკოლო მაკიაველის ესესხა. მაკიაველი არ იცნობს გმირებს და ზეკაცებს, ისინი უფრო ახალი დროის პოლიტიკური გამოცდილების პირმშოებია. მაკიაველი მხოლოდ პრინცებს (მთავრებს) იცნობს და მათ ორ ქვეკატეგორიად ყოფს: **"მელიებად"** და **"ლომებად"**. ლომები იმ პოლიტიკოსთა მეტსახელია, რომლებიც ძალის გამოყენებით და ვერაგობით ახერხებენ პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებას, მელიები კი ცბიერებით, გარიგებით და გამუდმებული მანევრირებით ინარჩუნებენ საჭეს.

აგერ უკვე ოცდაათი წელიწადია, საქართველოს პოლიტიკური საჭისმპყრობელი ე.წ. თეთრი მელაა. საქართველოს "მეორე პოლიტიკურ ცენტრში" კი აჭარის ლომი ზის. მართალი თუ გნებავთ, ლომი მას თურქული სახელის ასლანის გამო დაარქვეს, (ასლანი ქართულად ლომს ნიშნავს), ისე კი, თავისი საქმიანობის შინაარსით, აჭარის ლომი მელის ეპითეტს უფრო იმსახურებს. ცნობილი რესპუბლიკელის, დავით ბერძენიშვილის შეფასება, რომ საქართველოს ორი მელა მართავს, რომლებსაც კუდი კუდზე აქვთ გადაბმული, საკმაოდ სწორად ასახავს ვითარებას და ეს სულ უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ნათელი.







შევარდნაძის პოლიტიკური ოპონენტებისათვის, ალბათ, მკრეხელობად ჟღერს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ თეთრ მელას პირადი ანუ მორალური ბრალი იმ პოლიტიკური წარუმატებლობის გამო, რაც ასე თანამდევია ჩვენი ქვეყნისთვის, ნაკლებად უნდა დავდოთ; ის პრინცია. პრინცს მისი სტიქია, ბუნება, მისი ხასიათი ავალდებულებს, გამუდმებით იბრძოლოს საკუთარი ძალაუფლებისათვის. ის მხოლოდ მაშინ არ იქნება მართალი საკუთარი სინდისის წინაშე, როცა ამას არ გააკეთებს. ჯერჯერობით, პრინცს თავისი სტიქიისთვის არ უღალატია. აი, ჩვენი საზოგადოება კი თავს იტყუებს და მწარედ ცდება.

ავადსახსენებელი საბჭოთა პერიოდის შემდეგ, უკე ათი წელიწადია ჩვენი საზოგადოება ერთსა და იმავე შეცდომას უშვებს – *პრინცისაგან ელოდება "გმირობას"* (რეფორმების გატარებას, ანუ ახალი ღირებულებების დამკვიდრებას), პრინცს მუხლმოდრეკილი ევედრება გმირობას, ან, უკეთეს შემთხვევაში, ცდილობს პრინცი აიძულოს, ჩაადენინოს გმირობა ("ახალგაზრდა რეფორმატორების" ცდა, გადმოებირებინათ შევარდნაძე). ეს ჩვენი საზოგადოების პრინციპული (მთავარი) შეცდომაა. პრინცი ვერ იქნება დემოკრატიული და ჰუმანური იდეალებისათვის მებრძოლი გმირი, შევარდნაძე ვერ იქნება მარტინ ლუთერ კინგი და არა იმიტომ, რომ ერთი შავკანიანია და მეორე – თეთრი, არამედ იმიტომ, რომ მეორე "თეთრი მელა", ანუ პრინცია და გმირად ვერ გადაკეთდება, საკუთარ თავზე მაღლა ვერც ერთი ადამიანი ვერ დადგება. როგორც ყორანი არ გათეთრდება, ისე თეთრი მელას გაშავება (მარტინ ლუთერ კინგად ანუ გმირად ქცევა) არ მოხერხდება, აი, მარტინ ლუთერის სიტყვები კი - აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს - შევარდნაძეზე მართლაც, ზედგამოჭრილია. ამას ტვინნაღრძობი ჟირინოვსკიც კი მიხვდა, როდესაც შარშან ნოემბრის არეულობის დროს საქართველოში შექმნილი ვითარება ასე შეაფასა: "ნაროდ ნე ხოჩეტ ა *პრეზიდენტ ნე მოჟეტ*".

მელიების პოლიტიკური ხელწერა შეფარული ავტორიტარიზმია, მაშინ როცა რეფორმები, ანუ ახალი ღირებულებების დამკვიდრება, ავტორიტარიზმთან გამოთხოვებას ნიშნავს. ჩვენი საზოგადოება გაორებულია: უმრავლესობას მოსწონს, ან თუ ახლა აღარ მოსწონს, აქამდე მოსწონდა, ავტორიტარიზმი და ამიტომაც ირჩევდა პრინცს, მაგრამ ამავე დროს მას გმირობასაც (რეფორმებსაც) სთხოვდა?! სთხოვდა არა იმიტომ, რომ ლიბერალური ღირებულებები გულზე ეჭდია, არამედ რეფორმებს ის, უპირველეს ყოვლისა, სიდუხჭირისაგან თავის დაღწევის საშუალებად აღიქვამდა და ერთგვარ კომპრომისზე მიდიოდა თავისი პოლიტიკური კრედოს საზიანოდ. ავტორიტარიზმი მაინც ჩვენი საზოგადოების უმრავლესობის სანუკვარი წყობილებაა. შემთხვევით როდია ჩვენი ქვეყანა ავტორიტეტების სამჭედლო...

ავტორიტარიზმისაგან განსხვავებით, სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლების მონაცვლეობას მოითხოვს. რეფორმა, ანუ საზოგადოების დაძვრა სამოქალაქო მიმართულებით, ხელისუფლების მუდმივ როტაციას მოიტანს. პრინცისთვის ეს პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასია. ცოცხალი თავით ის ამაზე ვერ წავა. კაცმა რომ თქვას, ამას ყველა გრძნობდა და ოპტიმისტები ქვეყნის რეფორმირების უკანასკნელ იმედს უკანასკნელ მომენტზე ამყარებდნენ: როდესაც პრინცის პრეზიდენტობის ბოლო ვადა მის ქმედუნარიანობის დასასრულს დაემთხვეოდა. მაგრამ პრეზიდენტი ბოლომდე თავისი თავის ერთგული დარჩა: რეფორმას ის არ გაატარებს და, როგორც მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზეც მიანიშნა – არც პრეზიდენტობის ბოლო ვადის გასვლის მერე გადადგება.

რუსეთის ანალოგიური სცენარით მოვლენათა განვითარების მოლოდინი ყალბი გამოდგა. ელცინი არ ყოფილა პრინცი, მას აშკარად გამოკვეთილი პროგრამული იდეალები გააჩნდა, ანუ "გმირის" თვისებებიც ამკობდა. ამიტომ იყო, რომ მან საჭირო მომენტში დათმო ძალაუფლება (ყოველ შემთხვევაში რამდენადმე მაინც, რადგან ე.წ. ოჯახი საკმაო გავლენას მაინც ინარჩუნებს). ელცინამდე გორბაჩოვმა დათმო – ისიც გმირი იყო და იმიტომ.

ელცინმა აირჩია და დანიშნა მემკვიდრე, შევარდნაძემ - ვერა.

ელცინს გმირის თვისებებიც რომ არ ჰქონოდა, მაინც დათმობდა ძალაუფლებას: ბოლოს და ბოლოს მას ჯანმრთელობა არ აძლევდა საშუალებას განეგრძო მართვა.

შევარდნაძე, ელცინისგან განსხვავებით ალკოჰოლს არ სვამს.

შევარდნაძე, ელცინისგან განსხვავებით, არც მემკვიდრეს არ სვამს - ჩვენდა სამწუხაროდ, "პრეზიდენტ ნე მოჟეტ".

გავიხსენოთ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას წერილი, რომლითაც მან გადამწყვეტ მომენტში ოფიციალურად მოუწოდა შევარდნაძეს რეფორმებისაკენ. პრეზიდენტმა სრულიად საპირისპირო მოიმოქმედა. დაუვიწყარი სცენის მოწმენი ვიყავით, როცა პრეზიდენტმა, გახდა რა იძულებული კორუმპირებული მინისტრების ხროვა დაეთხოვა, განაცხადა: ჩემი გადადგომა უპასუხისმგებლობა იქნება, ერთადერთი დავრჩი, ვინც ქვეყანას ვმართავო. ამას ოდნავ შემცბარი, მაგრამ მაინც დაუფარავი კმაყოფილებით ამბობდა, რაც მიანიშნებს ნათქვამის სიღრმისეულ, ხასიათისეულ განსაზღვრულობაზე.

ქვეყანა პრინცისთვის არის სარბიელი, მხოლოდ საშუალება და არავითარ შემთხვევაში მიზანი.

და ეს ერთნაირად ეხება სსრ კავშირსაც და საქართველოსაც.

პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზას მიუახლოვდა. ძალაუფლების განაწილების ოპტიმალური და ოპტიმისტური კომბინაცია შეიძლება არც ისე არარეალური გამოდგეს, მაგრამ უმთავრესი მიზანი: უსისხლოდ, ხავერდოვანი გზით დასრულდეს პრინცის განყენების პროცესი, იოლმისაღწევი ნამდვილად არ არის. არსებობს სამოქალაქო აყალ-მაყალის და ანარქიის საფრთხე. მაგრამ რა გაეწყობა, ამის გამო უარს სახელისუფლებო გადაჯგუფებაზე არავინ იტყვის.

ქვეყანას სჭირდება გმირები.

შევარდნაძის ერა დასასრულს მიუახლოვდა. მისი მმართველობა, დამოუკიდებლობის პერიოდში მაინც, იყო შესატყვისობაში ქართველი ხალხის უმრავლესობის პოლიტიკურ ნებასთან. პრინცის ზეობა გარანტირებული იყო ბაზრის პრინციპით: *მოთხოვნილება ბადებს პროდუქტს*. და თუ დღეს საზოგადოებას მისი ნომენკლატურული ფეოდალიზმი ყელში ამოუვიდა, ეს ამ ხალხის ნების ტრანსფორმირების მაუწყებელია. რამდენად რეალურია ეს ცვლილება, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.



23 ნოემბერს 21.00 საათზე რესტორან „დავით სარაჯიშვილში"

Image centre oriflame

„იმიჯ-ცენტრი" და „ორიფლეიმი"
წარმოგიდგენთ
შემოდგომა-ზამთრის
კოლექციის შოუ-ჩვენებას.
დიზაინერები: ფეხსაცმელი — მადონა ხარატიშვილი
ტანსაცმელი — ანა აბულაშვილი

გიორგობის აღსანიშნავად გიწვევენ:

მერაბ სეფაშვილი
ლელა წურწუმია
თემო რცხილაძე
ნუკრი კაკანაძე
ქეთა თოფურია
ჯგუფი „ფორტე"
და ყველაზე პოპულარული
„გიო"- მალხაზ ქვრივიშვილი.

ტელ: 53-69-11, 877 73-07-09, 899 28-96-53

"ფერმერის იურიდიული სახელმძღვანელო"
*იურიდიული და პრაქტიკული რჩევები ფერმერებისა და მიწის მესაკუთრეთათვის*




მიწის პრივატიზაცია, რეგისტრაცია, გადასახადები, მიწის დაცვა, კრედიტები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტრანსპორტირება.

საინტერესო ინფორმაცია და პასუხი თქვენს კითხვებზე.

***სახელმძღვანელო შეგიძლიათ უფასოდ მიიღოთ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის ცენტრალურ და რეგიონალურ ოფისებში.***

ტელ: 931276, 986291, 931681.
**Web-**მისამართი: **www.aplr.org,** ელ-ფოსტა: **aplr@caucasus.net**

www.24hours.ge 24 B

დღის პერსონა

# პარტიზანი დათო შენგელია გალის ქართულ ადმინისტრაციას ოფიციალურად აკონტროლებს...

*სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოსალოდნელ ანტიკრიმინალურ ოპერაციას, სრულიად მოულოდნელად, პარტიზან დათო შენგელიას გალის რაიონის გამგებლის მოადგილედ დანიშვნამ დაასწრო. ის პარტიზანია, მან ყოველთვის წამით უნდა დაასწროს მოვლენებს... მასთან საუბრისას აშკარად გამოჩნდა, რომ დღეს ეს ოპერაცია გარდაუვალია და შენგელიაც, აწ უკვე ხელისუფლების წარმომადგენელი, კონტრაბანდასთან და კრიმინალთან ბრძოლას ტყიდან კი არა, ახალი სავარძლიდან გეგმავს. იგი გალის ქართულ ადმინისტრაციას უკვე ოფიციალურადაც აკონტროლებს. საპარლამენტო ოპოზიციამ ცალსახად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ და ნადარეიშვილის პასუხისმგებლობის საკითხზეც ალაპარაკდა. სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლები კი პირიქით, ამ დანიშვნას მიესალმნენ.*

***დათო შენგელია:*** *დაიბადა გალში, 1954 წელს; დაამთავრა გალის პირველი საშუალო სკოლა; ერთხანს ქალაქ როსტოვში ეუფლებოდა იურისპრუდენციას. მერე შეეშვა. 1987 წელს დაამთავრა სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი კვების მრეწველობის ტექნოლოგის სპეციალობით (ეს ის უმაღლესი განათლებაა, რის შესახებაც, დათო შენგელიას გალის რაიონის გამგებლის მოადგილის პოსტზე დანიშვნისას, საგანგებოდ აღნიშნა ლონდერ ცაავამ). ომამდე გალის რაიონის სხვადასხვა კოლმეურნეობაში მუშაობდა ტექნოლოგად, ბოლოს კი - მთავარ ტექნოლოგადაც. ომის დროს იყო სამურზაყანოს ბატალიონის მეთაურის მოადგილე; 1994 წელს გახდა აფხაზეთის შშს-ს სპეცდანიშნულების რაზმის მეთაური და, ამავე დროს, აფხაზეთის შსს მინისტრის მოადგილე. 1993 წლიდან პარტიზანული მოძრაობის მეთაურია. 1994 წელს დაიჭირეს. თუ მის სიტყვებს დავუჯერებთ, ერთადერთი მიზეზით - პატრიოტობისთვის. თავად კი ეს გვიამბო:*

მაია ჭალაგანიძე

- რუსები (გვარებს არ დავასახელებ) საშუალებას გვაძლევდნენ, ოჩამჩირემდე აგველო აფხაზეთი. ამ ყველაფერს აკეთებდა სამშვიდობო ჯარების მაშინდელი მთავარსარდალი, იაკუშევი. ასეთ შემოთავაზებაზე ერთპიროვნულად ვერ დავთანხმდებოდი. ამიტომ მე და აფხაზეთის მაშინდელი შსს მინისტრი (არ დავაზუსტებ ვინ იყო), საქართველოს მაშინდელ შსს მინისტრთან, შოთა კვირაიასთან, თბილისში ჩამოვედით.

ამ დროს იაკუშევს თავისი შვილი და შვილიშვილი ჰყავდა ჩემთან დატოვებული, იმის ნიშნად, რომ სიტყვას შეასრულებდა. ოღონდ, სანაცვლოდ, ითხოვდა იმის გარანტიას, რომ, საჭიროების შემთხვევაში, საქართველო მას შეიფარებდა. ჰოდა, მეც ჩამოვედი კვირაიასთან ამ გარანტიის მისაღებად. ეს რომ მოისმინა, კვირაია გაფითრდა. ერთი კვირის მერე კი დამიჭირა. შემდეგ კვირას იაკუშევი მოხსნეს სამშვიდობო ჯარების სარდლობიდან.

**- ახლა რას იტყვით, რატომ მოხდა ასე?**

- ჩემი აზრით, იმიტომ, რომ კვირაია რუსებს ემსახურებოდა. მათ არ უნდოდათ, რომ გალი და ოჩამჩირე ქართველების ხელში ყოფილიყო. ეს რომ ასე მომხდარიყო, დღეს აფხაზეთი მთლიანად საქართველოს იურისდიქციაში იქნებოდა. ეს კი ხელს არ აძლევდათ რუსებსა და კვირაიას.

**- რა ხდება დღეს გალში? როგორ ცხოვრობენ ადამიანები? მოგეხსენებათ, ხშირია გატაცებები. თქვენ კი ახლა ხელისუფლება ხართ. როგორ იბრძოლებთ ამის წინააღმდეგ?**

- გამგებელი ავადმყოფობს. გამოვა ამ დღეებში საავადმყოფოდან, დავსხდებით, მოვილაპარაკებთ და გადავწყვეტთ(*როგორც ამბობენ, გამგებელს ინფარქტმა დაარტყა –* **რედ.)**

**- რაიმე კონკრეტული გეგმები გექნებათ შემუშავებული...**

- რა თქმა უნდა, გვაქვს. მთავარია, ეს გეგმები ხალხის საკეთილდღეოდ განვახორციელოთ. წინასწარ არ ვიცი, როგორი იქნება შედეგები, მაგრამ, მე მგონი, ყველაფერს მოვუვლით.

**- თქვენი ოჯახი როგორ შეხვდა ახალ თანამდებობას, მოგილოცეს?**

- ნორმალურად შეხვდნენ, თუმცა, ჩემს მეუღლეს არ მოსწონს, რადგან ცოტა ხმაურიანი კაცი ვარ და არ უნდა ეს ტელევიზორი, გაზეთები და ა.შ.

**- თქვენ, პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, თანამდებობაზე დაგნიშნეს. თქვენი აზრით, რას ნიშნავს ეს - ამ ნაბიჯით, პარტიზანები ხომ არ დაუქვემდებარეს ხელისუფლებას?**

- არა. არა აქვს მნიშვნელობა, ხელისუფლებიდან იქნება, ქუჩიდან, პატრიოტისგან თუ რომელიმე ბიზნესმენისგან, - თუ ნორმალურ იდეას მოგვაწვდის და მხარდაჭერას შემოგვთავაზებს, ყველასთან ვითანამშრომლებთ. მთავრობამ ისეთი რამ რომ შემოგვთავაზოს, რაც ხალხს და საქართველოს ავნებს, ჩვენ ამას არ გავაკეთებთ.

**- როგორც იცით, ხელისუფლება პანკისის მასშტაბის ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარებას აპირებს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. ის მიმართული იქნება კონტრაბანდისა და კრიმინალის წინააღმდეგ. ეს ხომ არ გააღიზიანებს პარტიზანებს, ამითი მათ ინტერსესებს ხომ არ შეეხებიან?**



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*დათო შენგელია*

- პირიქით. სანამ ეგენი დაიწყებენ, მანამდე ჩვენ დავიწყებთ კონტრაბანდასთან ბრძოლას.

**- თქვენ, ვინ, გამგეობა?**

- დიახ.

**- ხომ არ არის ეს პარტიზანული მოძრაობის დაბლოკვის მცდელობა?**

- მაგდენს ვერ ვწვდები. ნეტავი ყველაფერი დალაგდეს და, პარტიზანების მხრიდან პრობლემა არ იქნება. ერთ დღეში გავაჩერებთ ყველას. პარტიზანული მოძრაობა საქართველოს საკეთილდღეოდ არის მხოლოდ.

**- ამბობენ, თვითონ პარტიზანულ დაჯგუფებებს შორის კონფლიქტი და დაძაბულობააო.**

- ასეთი ინფორმაცია არ მაქვს. ტელევიზორში ისეთი ხალხი გამოჰყავთ, რომელსაც არც ომის დროს და არც მის შემდეგ იარაღი არ სჭერია ხელში. არც პარტიზანი ყოფილა არასდროს, ზურგით უჩვენებენ და დაწერილ ტექსტს აკითხებენ. აი, ეს არ მომწონს, სხვა არაფერი. ამის გაჭირვება არ არის პარტიზანებში. ისინი, ვინც ტელევიზიით აცხადებენ, რომ პარტიზანები არიან, მითხრან, ერთხელ მაინც თუ გადასულან ენგურს გადაღმა და ერთი ტყვია მაინც თუ გაუსვრიათ.

**- თქვენ ამ ხალხს, ალბათ, ზურგიდანაც სცნობთ.**

- რა თქმა უნდა, ვცნობ. შევხვედრივარ კიდეც. ყველა ასეთი ცრუ პარტიზანი გაფრთხილებულია - თუ ინტერვიუს მისცემენ, სხვანაირად მოველაპარაკებით. პირადად გავაფრთხილე ყველა ეგენი. თუ ნამდვილი პარტიზანი გამოვა, პრეტენზია არ მაქვს.

რუზგენ გოგოხიას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ის არც ადრე ყოფილა პარტიზანი და არც ახლაა. თუ მაგას პარტიზანობის დაბრალება უნდა, ერთი "პახოდი" მაინც გააკეთოს. რუზგენ გოგოხია ყოველთვის ამბობდა, რომ პარტიზანი კი არ იყო, არამედ მხარს უჭერდა პარტიზანულ მოძრაობას. ახლა რომ გამოდის და ასე ლაპარაკობს, მე ეს არ მომწონს. გოგოხია ნორმალური, ნაწამები კაცია, მაგრამ პარტიზანი არ არის.

**- თქვენ აფხაზეთთანაც გაქვთ ურთიერთობა. რა ხდება შიგნით, ხელისუფლებაში? სად არის არძინბა? ოზგანი აცხადებს, რომ მის გარეშე პრეზიდენტი ვერავინ გახდება...**

- ოზგანი ახლა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელია, იურიდიულადაც და რეალურადაც. არძინბა არის გადებილებული, თავში აქვს რაღაც, ვერ მოძრაობს, ვერ დადის, ვერ ლაპარაკობს...

**- თუ არიან აფხაზეთში ჯგუფები, რომლებთანაც კიდევ შეიძლება მშვიდობიანად საუბარი?**

- რა თქმა უნდა. აფხაზები არიან ჩვენი ძმები, ჩვენი მონათესავე ხალხი, მათთან არასდროს გვქონია და არც გვექნება ომი. ერთად უნდა ვიცხოვროთ. ჩვენ სეპარატისტებთან და ტერორისტებთან ვომობთ.

**- არის თუ არა შესაძლებელი, რომ ომის გარეშე მოგვარდეს ეს კონფლიქტი?**

- ჯერჯერობით, შეიძლება.

**- მოსახლეობა ასე ფიქრობს?**

- იქ არსებობს ორი-სამი ჯგუფი ადამიანებისა: არის ნორმალური ხალხი, რადიკალური და საშუალო. ყველა ერთ ჭკუაზე ხომ ვერ იქნება.

**- სააგენტოებით გავრცელდა თქვენი ნათქვამი, რომ აფხაზებთან სამშვიდობო მოლაპარაკებებში სიამოვნებით მიიღებდით მონაწილეობას. რაიმე უფლებამოსილებას ხომ არ მოგანიჭებენ ახლა?**

- არა და არც მინდა. გამორიცხულია. აფხაზეთის ტერიტორიაზე საბრძოლო ოპერაციებში ვიღებდი მონაწილეობას. მე ხომ არ ვიცი, სად რა მოხდა. შეიძლება შვილი დამხვდეს, ან მამა, ან ძმა. ამას კი, შეიძლება, ჩემს გამო გართულება მოჰყვეს და ურთიერთობა დაიძაბოს. ვისთანაც კავშირი მაქვს, იმასთან კავშირი ისევ მექნება.

**- რა შეიძლება გამოიწვიოს ამ ანტიკრიმინალურმა ოპერაციამ ისეთ რთულ რეგიონში, როგორიც სამეგრელოა?**

- მე მგონი, ყველაფერი დალაგდება. არანაირ სირთულეს ეს არ გამოიწვევს. საკმარისი კი არა, ზედმეტიცაა, რაც სამეგრელოში მოხდა. ამიტომ მივესალმები ამ ოპერაციას. დადიან ტყე-ტყე ვიღაცეები. აფხაზები დაჰყავთ. ვიღაც ზარანდიას რომ აფხაზეთის გმირის შემოყვანა უნდა ზუგდიდში, ვინ მისცემს ამის უფლებას?! სამეგრელოს წამყვანი ხალხი ყოველთვის ზუგდიდში ცხოვრობდა და ახლაც ცხოვრობს. ზუგდიდმა ერთხელ დაუშვა არეულობა და მეორედ აღარ დაუშვებს.

**- ვინ არის ეს ადამიანი?**

- ზარანდიაა, ვახო. ის არის გარეწარი, რომელსაც ზუგდიდში დაჰყავს აფხაზები. ტყეშია გახიზნული, ტერორისტებთან ერთად. თუ გახსოვთ, მესხია - პრეზიდენტს რომ ესროლეს, მაშინ, მაგათთან ერთად იყო.

**- ზარანდიაზე გამახსენდა. ჯაბა იოსელიანის გვერდით ადრე თქვენ გხედავდით, ახლა კი ბადრი ზარანდია გამოჩნდა.**

- ბადრი ზარანდია, ვინც ჯაბას გვერდითაა, ჩემი მეგობარი და ძმადნაფიცია. მე კი ბატონ ჯაბასთან ვიყავი და ვიქნები. მას დიდ პატივს ვცემ. უმრავლოს საქართველოს ეგეთი პატრიოტები.

**- თუ გაქვთ შემუშავებული ვითარების გამოსასწორებელი კონკრეტული გეგმა?**

- დიახ.

**- პირველ რიგში, რას გააკეთებთ?**

- ამის თქმისგან, ჯერჯერობით, თავს შევიკავებთ. ჯერ ჩვენ თვითონ დავსხდებით და მოვილაპარაკებთ.

**- რა ჯამაგირს დაგპირდნენ სახელმწიფო სამსახურში, ბატონო დათო?**

- არ ვიცი, დედას გეფიცებით.

სპორტი

# კავშირში ვაკანსიაა

## საახალწლოდ, შესაძლოა, მსოფლიო ჩემპიონი შეგვემატოს

*გახდება ოდესმე გიორგი კანდელაკი მსოფლიო ჩემპიონი? აქვს კი მას შანსი, შეებრძოლოს პლანეტის უძლიერეს მოკრივეებს? ეს ის კითხვებია, რომლებიც კრივის ქართველ მოყვარულებს აწუხებთ იმ დღიდან, რაც კანდელაკი სამოყვარულოდან პროფესიულ კრივში გადავიდა. პასუხი ამ კითხვას 21 დეკემბერს გაეცემა. ამ დღეს ქართველი სპორტსმენი სანკტ-პეტერბურგში პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის, 33 წლის ალექსანდრ ვასილიევთან, იბრძოლებს მსოფლიოს კრივის კავშირის (WBU) ვერსიით.*

პაატა თოთაძე

ასეთი განსაკუთრებული მოვლენა, თქმა არ უნდა, ქართული სპორტის მოყვარულთა ინტერესის სფეროში მოექცა, თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, პროფესიულ კრივში ბევრი კარგად გათვითცნობიერებული არ არის. გუშინ ვარიანში გამართული პრესკონფერენცია, რომელიც, ძირითადად, კანდელაკის მომავალ ბრძოლას მიეძღვნა, ნაწილობრივ, ამ საკითხების გარკვევასაც დაეთმო. პროფესიული კრივის პრეზიდენტმა ვახტანგ ყანჩაველმა, გიორგი კანდელაკის პირადმა მწვრთნელმა ზურაბ გუნიამ და თავად მოკრივემ ყველაფერზე დაწვრილებით ისაუბრეს.

### რას წარმოადგენს WBU?

კრივში რამდენიმე ფედერაცია არსებობს. შესაბამისად, ყველას თავისი ჩემპიონი ჰყავს, თუმცა ისეთებიცაა, რომელთაც ეს ტიტული, მიზეზთა გამო, ვაკანტური აქვთ. ბუნებრივია, ამ ფედერაციათა შორის ზოგიერთი მაინც გამორჩეულია. ვახტანგ ყანჩაველის თქმით, WBU შვიდ გამორჩეულ ფედერაციას შორისაა. სწორედ მისი ჩემპიონი ყოფილა ჰაშიმ რაჰმანი, რომელმაც თვით ლენოქს ლუისი დაამარცხა. კავშირი 1990 წელს ჩამოყალიბდა. მისი პრეზიდენტი კი ჯონ რობინსონი გახლავთ. დღეს ამ ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ვაკანტურია. ამის მიზეზია რაჰმანი. საქმე ის არის, რომ ჩემპიონმა თავისი ტიტული ექვს თვეში ერთხელ უნდა დაიცვას, რაჰმანი კი, ლუისთან მატჩის გამო, ამას არ დათანხმდა. WBU-ს რეიტინგში პირველია ლენოქს ლუისი. შემდეგ მოდიან: ევანდერ ჰოლიფილდი, ვლადიმირ კლიჩკო, დევიდ ტუა, მაიკ ტაისონი. ქართველი მოკრივე ამ რეიტინგის მეორე ათეულშია.

### მეტოქეები

გიორგი კანდელაკი 28 წლისაა. 193-სანტიმეტრიანი მოკრივე 108 კილოგრამს იწონის. 33 წლის ალექსანდრ ვასილიევი მისი წონისაა, თუმცა, ქართველზე 1 სანტიმეტრით დაბალია. ზურაბ გუნიას თქმით, მეტოქე ზანტი, მაგრამ საოცრად ტექნიკური მოკრივე ყოფილა. ამასთან,



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*გიორგი კანდელაკი*

ფიზიკურად ძალიან ძლიერი. სწორედ ამიტომ კანდელაკი ვარიანში, ძირითადად, ფიზიკურ გამძლეობაზე ვარჯიშობს. საჩემპიონო ბრძოლა 12-რაუნდიანია. რადგან მეტოქის ნოკაუტით დამარცხების შანსი მცირეა, გიორგი, ალბათ, ქულებით მოგებაზე ფიქრობს. ასეთ დროს კი მთავარი ფიზიკური გამძლეობაა. მისი მწვრთნელის თქმით, ვასილიევი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ, უმეტესწილად, უმუზარადოდ ვარჯიშობს. "ახლა გიორგი ფიზიკურად კარგად არის მომზადებული, მაგრამ, მანამ, სანამ წავალთ, გამძლეობაზე კიდევ ვივარჯიშებთ. 1 დეკემბერს გავემგზავრებით მინსკში. იქ, 17 დღის განმავლობაში, კანდელაკი სპარინგ-პარტნიორებთან ივარჯიშებს. ერთ-ერთი მათგანი დენის ბახტოვი იქნება. სანკტ-პეტერბურგში 18 დეკემბერს ჩავალთ. მეორე დღეს პრესკონფერენციაა დაგეგმილი, 20 დეკემბერს - აწონვა, მატჩი კი 21 დეკემბერს გაიმართება", - განაცხადა ზურაბ გუნიამ.

ბუნებრივია, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის კანდელაკს დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს. ეს ბრძოლა იმითაცაა გამორჩეული, რომ ქართველი მოკრივე მეტოქეს მის მშობლიურ ქალაქში ხვდება. "ვასილიევი სანკტ-პეტერბურგელია და, ცხადია, დიდი მხარდაჭერა ექნება. ორთაბრძოლა გაიმართება სპორტკომპლექს "იუბილეინიში" და, როგორც ვარაუდობენ, 15 000 მაყურებლის ტევადობის დარბაზი ბოლომდე

გაგრძელება A3 გვერდზე

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 კვირის TV-პროგრამა B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# ქართული მოდის მოსკოვური წარმატებები და საერთაშორისო გეგმები

## მაკა ასათიანი - მოსკოვის "მაღალი მოდის კვირეულის" ყველაზე კომერციული დიზაინერი

*გუშინ ქართველ ჟურნალისტებს მოსკოვის "მოდის კვირეულზე" მაკა ასათიანის დეფილეს ვიდეოჩვენება მოუწყვეს. დიზაინერის კაფეში ქართული მოდის აუტსაიდერები რუსულ შთაბეჭდილებებსა და საერთაშორისო მასშტაბების სამომავლო გეგმებზე ამაყად საუბრობდნენ.*

ვერა ნეფარიძე

ერთი კვირაა ადგილობრივი მედია ერთმანეთს ასწრებს ქართველი დიზაინერის მოსკოვური წარმატებების გაშუქებას. ის რომ, მაკა ასათიანის კოლექცია ერთადერთი იყო მოსკოვის "მოდის კვირეულზე", რომელიც ჩვენების დღესვე გაიყიდა, თბილისში იმ დღესვე იცოდნენ; რომ "მაკას გოგონები", ანუ სააგენტო "ნატალის" მოდელები კვირეულზე განსაკუთრებით მოეწონათ და მათთან რამდენიმე საქმიანი კონტრაქტის პერსპექტივაც გაჩნდა, არც ესაა ახალი. კომპანია "მაკა ასათიანში" გუშინ ამ ყველაფერზე უბრალოდ, უფრო დაწვრილებით ისაუბრეს, ხოლო ორგანიზატორებმა დაგეგმილი თბილისის "მოდის კვირეულის" შესახებ რამდენიმე სიტყვით თქვეს.

შეხვედრას არ ესწრებოდა მოსკოვის კვირეულის მონაწილე, მოდელი თაკო ჩხეიძე. როგორც "შინაურები" ამბობენ, იგი საფრანგეთში სწორედ იმ თანამშრომლობის პირობების გასაცნობადაა, რომელიც მოსკოვის კვირეულზე ქართველი მოდელების მიმართ გაუჩნდათ ფრანგული სამოდელო სააგენტოს წარმომადგენლებს. ეს ინფორმაცია გუშინ "ნატალის" წარმომადგენლებს არც დაუდასტურებიათ და არც უარყვიათ – ისინი დეტალების გახმაურებას ჯერ-ჯერობით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არ აპირებენ. ზოგადად როგორც გვითხრეს, კონტრაქტები მოსკოვის ჩვენების მონაწილე სააგენტოს ყველა წევრმა (კრისტი ყიფშიძე, თაკო ჩხეიძე, სალომე ღვინიაშვილი, ნინო ჩქარეული, სოფო ხუბერაშვილი, ნინო ჭინჭარაული) მიიღო. "გოგონებთან კონტრაქტებით პირდაპირ სცენაზე მოდიოდნენ", - მოდელების წარმატებებზე მათივე თავმდაბლობის გამო, მაკა ასათიანი საუბრობს. მოსკოვის "მოდის კვირეულზე" თავად დიზაინერმაც მიიღო კონკრეტული მიწვევები სხვადასხვა კვირეულებზე მსოფლიოს შვიდი ქალაქიდან.

გუშინდელ შეხვედრაზეც ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც თბილისში დაგეგმილი "მაღალი მოდის კვირეული" იყო. ხმები, რომ თბილისში ჟან-პოლ გოტიე და აცურო ტაიამა ჩამოდიოდნენ, ადრეულ შემოდგომაზე გავრცელდა. ფრანგი დიზაინერის სტუმრობა ჯერ-ჯერობით არ დასტურდება – როგორც გვითხრეს, რამდენიმე ცნობილ დიზაინერთან მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა. ამ დროისათვის კი თბილისის კვირეულში მონაწილეობაზე დათანხმდნენ: ბალენსიაგა, აცურო ტაიამა, ლაპიდუსი, ოლივიე თეისკენსი, პაველ კაპლევიჩი, სანდრა სტრაუკაიტე და დირკ ბიკემბერგსი. ჯერ-ჯერობით არც კვირეულის გამართვის ადგილია ცნობილი, "მაკა ასათიანის" მმართველი დირექტორის, ვანიკო თარხნიშვილის თქმით, ამჟამად ორგანიზატორები რამდენიმე ვარიანტს არჩევენ და წესით, ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

კომპანიის წარმომადგენლების აზრით, "თბილისის მოდის კვირეულზე" ძირითადი მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და მხოლოდ რამდენიმე დეტალია გასარკვევი. ამ დეტალებს შორისაა კვირეულის ვადებიც. მოდის სამყაროში გადატვირთული გრაფიკის გამო, ყველაზე მოსახერხებელი მაინც მარტის მეორე ნახევარი იქნება. ამ დროისათვის მოდის მსოფლიო ვარსკვლავებთან ერთად თბილისში წამყვანი მას-მედიის წარმომადგენლებიც ჩამოვლენ. ორგანიზატორებს კვირეულის გაშუქებაზე დათანხმდნენ: Fashin TV (შეთანხმების მიხედვით, არხი თბილისურ ლონისძიებას მთელი წლის განმავლობაში გააშუქებს); ჟურნალები: "ვოგი", "კოსმოპოლიტენი", L`Official, Harper`s Bazaar, ID. დარჩენილი დეტალების გარკვევის შემდეგ, კვირეულის ორგანიზატორები ადგილობრივი ჟურნალისტების მომზადებასაც აპირებენ – მათთვის დაგეგმილია მასტერ-კლასები. ვინ გამართავს ამ მასტერ-კლასებს, ჯერ-ჯერობით, არ დაუკონკრეტებიათ. "ყველაზე მასშტაბური ქართული საერთაშორისო" (ასე უწოდეს ორგანიზატორებმა მოდის კვირეულს) პროექტის მიხედვით, კვირეულის საკმაოდ სერიოზული სამზადისი მომავალი წლის დასაწყისიდან მასშტაბურად დაიწყება.

მანამდე კი, ვიდრე "მაკა ასათიანი" მსოფლიო საზოგადოებას საქართველოს საუკეთესო მხრიდან გააცნობს (რაც ლონისძიების ერთ-ერთი ძირითადი იდეაა), დიზაინერი კიდევ ერთ ჩვენებაზე მიიწვევს საზოგადოებას. 21 ნოემბერს მაკა ასათიანი სასტუმრო "მარიოტიში" შემოდგომა-ზამთრის კოლექციის ჩვენებას მოაწყობს.

### კომპოზიტორთა კავშირის ყრილობა

2002 წლის 30 ნოემბერს, 10 საათზე საქართველოს კომპოზიტორთა საერთო-ეროვნული შემოქმედებითი კავშირი ატარებს მორიგ ყრილობას. დღის წესრიგშია: გამგეობის, სარევიზიო კომისიის და თავმჯდომარის არჩევნები. მისამართი – დავით აღმაშენებლის გამზირი №123.

**"24 საათი"**

### კალენდარი

## 15 ნოემბერი



70-იან წლებში ევროპული პოპ-მუსიკის სამყაროში ABBA-ს შემოჭრამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, უამრავ პოპულარულ ჯგუფს შორის შვედური ოთხეულის წარმატება ყველასათვის მოულოდნელი და, რაც მთავარია, არც ისე ადვილი იყო. აღარაფერს ვიტყვით, ყოფილ საბჭოთა კავშირზე, სადაც ABBA-ს პოპ-მუსიკას მონატრებული უამრავი ფანი გამოუჩნდა... მაშინ კავშირის თხუთმეტივე რესპუბლიკაში ძნელად თუ იპოვიდით ოჯახს, ABBA-ს ფირფიტა რომ არ ჰქონოდა. ABBA-ს უსმენდნენ ყველგან, ნებისმიერი თავშეყრის ადგილზე, სახლში თუ ავტომანქანებში...

